სიმბოლური ლოგიკა ახალი ეტაპია ფორმალური ლოგიკის განვითარებაში. სიმბოლური ლოგიკა იგივე ფორმალური ლოგიკაა და არა რომელიმე სხვა მეცნიერება, მაგრამ ეს ახალი, უფრო მაღალი ეტაპია ამ მეცნიერების განვითარებაში. სიმბოლური ლოგიკა არის თანამედროვე ფორმალური ლოგიკა და უფრო აბსტრაქტულია, ვიდრე ტრადიციული ფორმალური ლოგიკა, მაგრამ იგი ამავე დროს უფრო კონკრეტულიცაა; სიმბოლურმა ლოგიკამ გააფართოვა და ამავე დროს დააკონკრეტა ლოგიკის მრავალი პრობლემა, როგორც ტრადიციული, ასევე — თანამედროვე. ე. ი. სიმბოლური ლოგიკის საგანია აზროვნების ფორმების სტრუქტურა. სიმბოლური ლოგიკა ტრადიციული ფორმალური ლოგიკის უშუალო მემკვიდრეა, იგი ამ უკანასკნელის ბაზაზე წარმოშობილი და განვითარებული.

სიმბოლური ლოგიკა, როგორც აღვნიშნეთ, ფორმალური ლოგიკის განვითარების ახალი, უფრო მაღალი ეტაპია, მაგრამ ეს სიახლე არ ზღის მას ტრადიციული ფორმალური ლოგიკისაგან განსხვავებულ მეცნიერებად. მართალია, სიმბოლოების გამოყენებას ლოგიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს ფაქტი სიმბოლური ლოგიკის საგანს არ განასხვავებს ტრადიციული ფორმალური ლოგიკის საგნისაგან. ფორმალური ლოგიკის ძირითადი ამოცანა არ იცვლება მისი ფორმალიზაციით.

ფორმალიზაციის მეთოდის ზოგადი და ძირითადი ნიშანია ლოგიკური სტრუქტურის შესწავლა მისი კონკრეტული შინაარსისაგან განყენებით. ფორმალიზაცია ისეთი მეთოდია, რომლის საშუალებით შინაარსობრივად განსხვავებული მოვლენები მათი სტრუქტურის მსგავსების საფუძველზე გაერთიანებული; ამიტომაც კვლევის ობიექტია არა შინაარსი, არამედ — სტრუქტურა, რომელიც განხილულია განსაზღვრულ წესებთან კავშირში მყოფ ნიშანთა სისტემების საშუალებით. სიმბოლური ლოგიკა აზროვნების ფორმებს მხოლოდ და მხოლოდ სტრუქტურის მხრივ შეისწავლის.

სიმბოლური ლოგიკა არის მეცნიერება აზროვნების ფორმების სტრუქტურის შესახებ.

აზროვნების ფორმებს მეცნიერების სხვადასხვა დარგი შეისწავლის (მაგალითად: აზროვნების ფსიქოლოგია, შემეცნების თეორია), მაგრამ ამ ერთ ობიექტში მათი საგანი განსხვავებულია. გარდა სიმბოლური ლოგიკისა არც ერთი მეცნიერება არ სწავლობს აზროვნების ფორმების სტრუქტურას ლოგიკური აღრიცხვის საშუალებით. მართალია, როგორც ტრადიციული, ასევე თანამედროვე ფორმალური ლოგიკის საგნის დადგენის დროს არის შემთხვე-



ვა, როცა ლოგია განსაზღვრულია როგორც მეცნიერება, რომელიც შეისწავლის აზროვნების ფორმებს, მაგრამ ასეთი განსაზღვრება არსებითად მიუღებელია ლოგიკისათვის, ვინაიდან ლოგიკის გარდა აზროვნების ფორმებს სხვა მეცნიერებანიც სწავლობენ. სიმბოლური ლოგია აზროვნების ფორმიდან შეისწავლის მხოლოდ მათს სტრუქტურას, კანონებსა და წესებს; იგი მხოლოდ იმ კანონებს შეისწავლის, რომლებსაც ძალა აქვთ აზროვნების ფორმების სტრუქტურის სფეროში. ლოგიკის კანონები, რომლებსაც აზროვნების ფორმების სტრუქტურა ემორჩილება, ობიექტური ხასიათის კანონებია და, აქედან გამომდინარე, ბუნებრივი და არანორმატიული კანონებია.

თანამედროვე ფორმალურ ლოგიკაში აზროვნების ფორმების სტრუქტურის განოსახატავად მიმართავენ სიმბოლოებს. სწორედ ამის გამო იწოდება თანამედროვე ფორმალური ლოგია სიმბოლურ ლოგიკად. მართალია, ასეთი სიმბოლოებს არისტოტელეც მიმართავდა, მაგრამ — მეტად განსაზღვრულ ფარგლებში, რის გამოც ამას არა ჰქონდა საყოველთაო ხასიათი. სიმბოლოების გამოყენებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ლოგიკური სტრუქტურის ცხადსაყოფად. სიმბოლოების ენა ლოგიკური სტრუქტურის ზუსტად გამოვლენის შესაძლებლობას გვაძლევს.

ლოგიკაში ფორმალიზაციას, სიმბოლოების გამოყენებას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ ჩვეულებრივი ენობრივი ფორმა ხშირად ვერ იძლევა ლოგიკური სტრუქტურის მიხედვით განსხვავებულის განსხვავებულად გამოთქმას: რაც ხშირად ლოგიკური სტრუქტურით განსხვავებულია, ჩვეულებრივი ენობრივი ფორმა იმას ერთგვაროდ გამოთქვამს; ჩვეულებრივი ენობრივი ფორმით ლოგიკურის ანალიზი ყოველთვის არ არის საკმარისი პირობა ლოგიკური სტრუქტურის განსხვავებულობის დასადგენად. სხვაგვარად, ჩვეულებრივი სალაპარაკო ენის ნაკლი იმაშია, რომ მასში ლოგიკური მიმართება ცხადად არ გამოითქმის: იგი არ არის ლოგიკური მიმართების ზუსტი გამოსახვის საშუალება, მას არა აქვს მკაცრად განსაზღვრული ლოგიკური სტრუქტურა, რის გამოც ხასიათდება არაინტუსტივითა და მრავალმნიშვნელოვანებით. საწინააღმდეგოდ ამისა, სიმბოლურ ლოგიკაში ფორმალიზებული ენა ხასიათდება მკაცრად სპეციფიცირებული სტრუქტურით. სწორედ ამიტომ ფორმალიზაციის, სიმბოლიზაციის ერთ-ერთ მთავარ ნიშნად ეს მხარე უნდა მივიჩნიოთ. მაგალითად, თუ ავიღებთ შემდეგი სახის დასკვნებს:

1. მე შევხვდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს  
 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ცნობილი მათემატიკოსია  
 მაშასადამე, მე შევხვდი ცნობილ მათემატიკოსს.
2. მე შევხვდი ვილაცას  
 ვილაცა რადიოს გამომგონებელია  
 მაშასადამე, მე შევხვდი რადიოს გამომგონებელს

მოცემულ დასკვნებს ერთი და იგივე ჩვეულებრივი ენობრივი ფორმა აქვთ, სინტაქსით ერთგვაროვანი არიან, — მაგრამ იმავე დასკვნების ლოგიკური სტრუქტურა განსხვავებულია. მხოლოდ პირველ დასკვნაშია დანასკვი ლოგიკურად ჰემპარიტი, მეორეში კი მცდარია. პირველი დასკვნის ორივე წინადადებაში — „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი“ — აღნიშნავს სრულიად განსაზღვრულ ინდივიდუალურ საგანს X, ხოლო მეორე

რე დასკვნის ორივე წინადადებაში სიტყვა „ვილაცა“ აღნიშნავს იმას, რომ არსებობს ასეთი საგანი X. მეორე დასკვნაში დანასკვი მცდარია იმიტომ, რომ გამოთქმა „არსებობს ასეთი X“, წინამძღვრებში ანუ ორივე წინადადებაში შეიძლება ეხებოდეს არა ერთსა და იმავე ინდივიდუალურ საგანს X-ს. პირველი და მეორე დასკვნა ჩვეულებრივი ენობრივი ფორმით იგივეობრივია, ხოლო ამ იგივეობის საფუძველზე თუ გავაიგივებთ მათს ლოგიკურ სტრუქტურასაც, ეს შეცდომა იქნებოდა.

მაშასადამე, ჩვეულებრივი ენობრივი ფორმა ამ ორი დასკვნისა ვერ აჩვენებს მათი ლოგიკური სტრუქტურით განსხვავებულობას, ამიტომაც ლოგიკური ანალიზი აუცილებლობით მოითხოვს ფორმალისტიკის, სიმბოლისტიკის. ფორმალურ ლოგიკაში სიმბოლოებისა და ფორმულების გამოყენება შემთხვევითი კი არ არის, არამედ სრულიად აუცილებელი და კანონზომიერია, რის გამოც იგი იწოდება სიმბოლურ ლოგიკად. სიმბოლური ლოგიკის საგნის განსაზღვრებასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ შემდეგიც:

1. ზოგიერთის აზრით, სიმბოლური ანუ თანამედროვე ფორმალური ლოგიკის საგანია დასაბუთების სტრუქტურა. სიმბოლური ლოგიკის დაყვანა მხოლოდ დასაბუთების სტრუქტურის შესწავლამდე მას მეტად ვიწრო მნიშვნელობისას გახდიდა, — მაშინ ამ ლოგიკიდან, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, უნდა ამოგვეგდო ფორმალური ლოგიკის ისეთი პრობლემები, როგორცაა მსჯელობის თეორია, განსაზღვრების თეორია; თანამედროვე ფორმალური ლოგიკა კი ამ საკითხთა გარეშე არ არსებობს;

2. კიდევ უფრო არასწორია მტკიცება, თათქოს სიმბოლური ლოგიკის საგანია დასაბუთება: **ჭერ ერთი**, როგორც ვთქვით, სიმბოლური ლოგიკის შესასწავლი ობიექტის მხოლოდ დასაბუთების სფეროთი შემოსაზღვრა მეტად ვიწროა, **და მეორე**, რაც მთავარია, სიმბოლური ლოგიკის საგნად ყოველგვარი დასაბუთების აღიარება მეტად ფართოა და არაზუსტია; დასაბუთებაც ისევე, როგორც მსჯელობა და დასკვნა, მხოლოდ ლოგიკის შესასწავლ ობიექტებს არ წარმოადგენენ, მათ შეისწავლიან განსხვავებული მეცნიერებანი; მაგალითად: შემეცნების თეორია, ფსიქოლოგია, — სწორედ ამის გამო მტკიცება, რომ ლოგიკის საგანია დასაბუთება, არაზუსტია. ლოგიკა დასაბუთებაში სწავლობს მხოლოდ ლოგიკურ სტრუქტურას და არა დასაბუთებას საერთოდ;

3. ფორმალური ლოგიკა ხშირად განსაზღვრულია როგორც დასკვნის შესახებ მოძღვრება: „ფორმალური ლოგიკა შეიძლება განისაზღვროს როგორც მეცნიერება ფორმალური დასკვნების შესახებ“; მართალია, ფორმალურ ლოგიკაში თეორიას დასკვნის სტრუქტურის შესახებ უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს დასკვნის სტრუქტურის თეორიამდე დაიყვანება თანამედროვე ლოგიკის ყველა პრობლემა; მოძღვრება დასკვნის სტრუქტურის შესახებ უმნიშვნელოვანესია, მაგრამ მანც ერთ-ერთი და არა ერთადერთი, ამიტომაც ვერ მოიცავს ლოგიკის ყველა პრობლემას, ლოგიკის სფეროს შემოსაზღვრა მხოლოდ დასკვნის სტრუქტურის თეორიით ლოგიკის მეტად ვიწროს გახდიდა, რის გამოც იგი ნაკლოვანია;

4. სიმბოლური (მათემატიკური) ლოგიკა ხშირად განსაზღვრულია როგორც მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მათემატიკურ დასაბუთებებს; „მათემატიკური ლოგიკა ამჟამად განისაზღვრება, როგორც მათემატიკურ დასაბუთებათა შემსწავლელი მეცნიერება“, „მათემატიკური ლოგიკა შეიძლება განსაზღვროთ როგორც მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მათემატიკურ დასა-

ბუთებებს“; ასეთ შეხედულებათა მიმართ უნდა ითქვას, რომ მათემატიკური დასაბუთება, როგორც ასეთი, არ არსებობს. დასაბუთება, რომელ მეცნიერებაშიც უნდა იყოს იგი, ყოველთვის ლოგიკურია, — აკადემიკოს კ. ბაქრაძის თქმით, — „დასაბუთება შეიძლება განსხვავებული იყოს განსხვავებულ მეცნიერებაში, მაგრამ ამის გამო ის არ გადაიქცევა ამა თუ იმ მეცნიერების სახედ“. ცნობილია, რომ იურიდიული მეცნიერების დასაბუთება განსხვავებულია მათემატიკურისაგან, მაგრამ ამის გამო დასაბუთება არ არის იურიდიული მეცნიერების სახე; არც იურიდიული და არც მათემატიკური მეცნიერება არ არის მოძღვრება დასაბუთების შესახებ. დასაბუთების სტრუქტურა მათემატიკურ ლოგიკაში — ისევე, როგორც ყველა სხვა მეცნიერებაში — არც მათემატიკის კუთვნილებაა და არც რომელიმე სხვა მეცნიერებისა, იგი ლოგიკის კვლევის ობიექტია, მის კომპენენტციას მიეკუთვნება. დასაბუთება, რომელიც მოხმარებულია ყველა მეცნიერებაში, მხოლოდ ლოგიკაში შესწავლენა ლოგიკური სტრუქტურის მიხედვით; ამიტომაც მტკიცება, — თითქოსდა არსებობს „მათემატიკური დასაბუთება“, რომელიც მათემატიკურ მეცნიერებას ეკუთვნის, — მცდარია. მათემატიკაში არსებული დასაბუთების სტრუქტურის ახსნის ამოცანა ლოგიკას ეკუთვნის. მათემატიკაში არსებულ დასაბუთებაში მათემატიკური მხოლოდ მათემატიკური წინადადებებია. მათემატიკური წინადადებების გამო მათემატიკაში მოხმარებული დასაბუთება არ შეიძლება მათემატიკური იყოს. მათემატიკური წინადადებები მართლა მათემატიკის კუთვნილებაა, მაგრამ ამ წინადადებების ლოგიკური მხარე — დასაბუთების სტრუქტურა — ლოგიკას ეკუთვნის. ვინც მათემატიკური დასაბუთების არსებობას და ამ დასაბუთებაზე მათემატიკური ლოგიკის, როგორც მათემატიკური მეცნიერების არსებობას ამტკიცებს, იგი უდავოდ ვერ ითვალისწინებს მათემატიკური წინადადებების ორ განსხვავებულ მხარეს, სახელდობრ: დასაბუთებაში — მათემატიკურ წინადადებებს, რომლებიც მათემატიკის კუთვნილებაა და მათემატიკური წინადადებებში — დასაბუთების ლოგიკურ მხარეს, რომელიც ლოგიკას ეკუთვნის. მათემატიკური წინადადებები და ამ წინადადებებში დასაბუთების ლოგიკური მხარე ორი სხვადასხვა მნიშვნელობის ცნებაა და მათი გაიგივება მცდარია. ასევე მცდარია მათემატიკური წინადადებების მოხმარების გამო ლოგიკური სტრუქტურის შემსწავლელი მეცნიერების მათემატიკისადმი მიეკუთვნება; მათემატიკის სფეროში შემავალი არც ერთი მეცნიერება არ შეიძლება იყოს მეცნიერება დასაბუთების სტრუქტურის შესახებ.

ისიც უნდა ითქვას, რომ სიმბოლური ლოგიკის განსაზღვრება, როგორც მეცნიერების, რომელიც შესწავლის მათემატიკურ დასაბუთებებს, მეტად ვიწროა. ლოგიკას მხოლოდ დასაბუთების სტრუქტურით შემოსაზღვრა მეტად ვიწროს ზღის, ხოლო კიდევ უფრო ვიწრო იქნება ლოგიკის შესწავლის ობიექტად მათემატიკურ დასაბუთებათა მიჩნევა, თუ კი დასაშვებია ასეთ დასაბუთებათა არსებობა.

ზემოაღნიშნული აზრისაგან განსხვავებით, რომ სიმბოლური (მათემატიკური) ლოგიკა არის თანამედროვე ფორმალური ლოგიკა, არსებობს საწინააღმდეგო შეხედულება, რომელიც ამტკიცებს: მათემატიკური ლოგიკა არის მათემატიკური მეცნიერება როგორც თავისი მეთოდით, ასევე — თავისი საგნით. მათემატიკის საგანი მოიცავს მათემატიკური ლოგიკის საგანს, რომელიც არ არის ფორმალური ლოგიკის განვითარების ახალი ეტაპი, არისტოტელისეულსა და სიმბოლურ ლოგიკის არაფერი აქვთ საერთო. ეს აზრი გამოთქმულია ასე:

არისტოტელისეული და სიმბოლური ლოგიკა არ არის ერთიმეორესთან თან-მობაში, ერთი არ არის მეორის გაფართოება და ერთმანეთს არ მიეკუთვნებიან როგორც მთელი — ნაწილი; თუ ერთი არის ლოგიკა, მეორე მხოლოდ ანალოგიით იწოდება ლოგიკად, ე. ი. სიმბოლური ლოგიკა არ არის ლოგიკა იმ აზრით, რა აზრითაც ლოგიკას წარმოადგენს არისტოტელისეული ლოგიკა. აქ სიმბოლური ლოგიკა გაგებულია როგორც წმინდა მათემატიკური მეცნიერება და, ამ შემთხვევაში მართლაც შეუძლებელია იგი ფორმალური ლოგიკის განვითარების ახალი ეტაპი იყოს. ზოგიერთის აზრით, მათემატიკური ლოგიკა მათემატიკის განვითარების ბუნებრივი და აუცილებელი ეტაპია. მართალია, ზოგი ავტორი თანამედროვე ფორმალურ ანუ სიმბოლურ ლოგიკას ხშირად უწოდებს მათემატიკურ ლოგიკას, მაგრამ სრულიად არ თელის მას მათემატიკურ მეცნიერებად, არამედ — აღიარებს ლოგიკად, რომელიც სწავლობს აზროვნების ფორმირების სტრუქტურას; მაგრამ, როგორც ვთქვით, არსებობს ისეთი შეხედულებაც, რომელიც მათემატიკური ლოგიკის მათემატიკურობას ასაბუთებს. მათემატიკური (სიმბოლური) ლოგიკის მათემატიკურობა მრავალი ერთიმეორისაგან განსხვავებული არგუმენტებითა დასაბუთებული:

1. მათემატიკური (სიმბოლური) ლოგიკა მათემატიკურია იმიტომ რომ მასში გამოყენებულია სიმბოლოები. ასეთი არგუმენტის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ სიმბოლოების გამოყენება სრულიადაც არ არის ის განსახვავებული ნიშანი, რაც მათემატიკურ (სიმბოლურ) ლოგიკას მათემატიკურ მეცნიერებად აქცევდეს. სიმბოლოები რამდენადმე იყო გამოყენებული ფორმალურ ლოგიკაში არისტოტელესა და სტოელების მიერაც; აზრის სიმბოლოებში გამოსახვის პირველობა ეკუთვნის ფორმალურ ლოგიკას. აზრის სიმბოლოზაცია მასთან ჩაისახა. შეიძლება ითქვას, რომ არისტოტელეს მიერ ფორმალური ლოგიკის სფეროში ერთ-ერთი დიდი აღმოჩენა ის იყო, რომ მან სილოგისმის ტერმინების აღსანიშნად სიმბოლოები გამოიყენა და ეს ცხადია მისივე მოძღვრებიდან სილოგისმის შესახებ. თუ მაინცდამაინც ტრადიციული ლოგიკისაგან სიმბოლური ლოგიკის განსახვავებელი ნიშნის ხაზგასმა ვვინდა, მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ლოგიკაში სიმბოლოები ყველგან და თანმიმდევრულადაა გამოყენებული. ზოგიერთის აზრით, სიმბოლოების გამოყენება ლოგიკას ამახინჯებს. სიმბოლოების გამოყენება ლოგიკის სფეროში არ ნიშნავს, რომ თვით ლოგიკა ხდება „სიმბოლური“, ისევე როგორც სიტყვების გამოყენება ლოგიკის ვადმოცემისას არ ნიშნავს, რომ თვით ლოგიკა „სიტყვიერია“. ეს არგუმენტი შეიძლება მართებულიადაც კი მივიჩნიოთ, ვინაიდან, თუნდაც ქიმიკაში სიმბოლოების გამოყენებას იგი არ გაუხდია სიმბოლურ მეცნიერებად; მაგრამ ლოგიკაში ასე არ დგას საკითხი, აქ სიმბოლოების მხოლოდ უბრალო გამოყენებასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ, ყველა სხვა მეცნიერებებისაგან განსხვავებით, სიმბოლოებისა და ფორმულების გამოყენება ლოგიკაში კანონზომიერების იმ აუცილებლობითაა განპირობებული, რომ ჩვეულებრივ ენობრივ ფორმაში გამოთქმული განსხვავებული მსჯელობები და დასკვნები, მიუხედავად ერთნაირი ჩვეულებრივი ენობრივი ფორმისა, ვერ იძლევიან ლოგიკურ განსხვავებულობას. ჩვეულებრივი ენობრივი ფორმით გამოთქმული არ არის ლოგიკური სტრუქტურის ადეკვატური; რომ ერთი და იგივე ჩვეულებრივი ენობრივი ფორმა ვერ გამოთქვამს განსხვავებულ ლოგიკურ სტრუქტურას, ამან განაპირობა სიმბოლოების გამოყენების აუცილებ-

ლობა და ეს, განსხვავებით სხვა მეცნიერებებისა, ლოგიკას ხდის სიმბოლურ ლოგიკად.

II. მათემატიკური (სიმბოლური) ლოგიკის მათემატიკურობას ასაბუთებენ იმით, რომ ის იყენებს ფორმალიზაციის მეთოდს და ეს ხშირად განხილულია როგორც დადასტურება იმისა, რომ მათემატიკური ლოგიკა არ არის ლოგიკა, არამედ მათემატიკური მეცნიერებაა. ის გარემოება, რომ ფორმალიზაციის მეთოდი სიმბოლურ ლოგიკაში საყოველთაო მნიშვნელობისაა, სრულიად არა ხდის მას მათემატიკურ მეცნიერებად. აღნიშნული არგუმენტი ლოგიკის მიმართ ძალის მქონე რომ იყოს, მაშინ რომელიმე მეცნიერება, მათემატიკური მეთოდის გამოყენებისთანავე უნდა გამხდარიყო მათემატიკურ მეცნიერებად. მაგალითად, თეორიული ფიზიკა, რომელიც იყენებს მათემატიკურ მეთოდს, უნდა იყოს მათემატიკური მეცნიერება; გეოგრაფიის ის სფერო, სადაც გამოყენებულია მათემატიკა, იწოდება მათემატიკურ გეოგრაფიად და განსაზღვრულია ასე: მათემატიკური გეოგრაფია არის მეცნიერება, რომელიც თავის საგნით არის გეოგრაფია, ხოლო მეთოდით — მათემატიკა, მიუხედავად ამისა, გეოგრაფიას არავენ თვლის მათემატიკურ მეცნიერებად. ცნობილი ამერიკელი მეცნიერის ვ. ბუნგეს, შრომაში — „თეორიული გეოგრაფია“ გეოგრაფიაში მათემატიკური მეთოდის გამოყენების ბრწყინვალე დასაბუთებაა მოცემული. თეორიული გეოგრაფია თანამედროვე ეტაპზე, — ამბობს იგი, — ფართოდ იყენებს მათემატიკურ მეთოდს, აღწევს განვითარების მაღალ საფეხურს და ამით განსხვავდება ტრადიციული აღწერიითი გეოგრაფიისაგან; ამასთან ვ. ბუნგე, რომელსაც ამერიკის გეოგრაფიული მეცნიერების ნოვატორს უწოდებენ, არა თვლის თეორიულ (მათემატიკურ) გეოგრაფიას მათემატიკად ან მათემატიკური მეცნიერების რომელიმე დარგად.

III. მათემატიკური ლოგიკა მათემატიკური მეცნიერებაა იმიტომ, რომ განვითარების თანამედროვე ეტაპზე მრავალ განსხვავებულ სისტემას მოიცავს: კლასიკურ აღრიცხვას, კონსტრუქციულ აღრიცხვას, მოდალურ ლოგიკას და სხვ. მათემატიკურ ლოგიკას ეს განსაკუთრებულობა აძლევს მათემატიკურ მეცნიერებად მისი აღიარების უფლებას. ასეთი მოსაზრების შესახებ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული გარემოებანი სიმბოლურ ლოგიკას ვერ გახდიან მათემატიკურ მეცნიერებად. მართალია არსებობს მრავალგვარი ლოგიკური აღრიცხვა, მაგრამ ყველა ისინი ლოგიკური აღრიცხვებია. ერთ ლოგიკას — სიმბოლურ ლოგიკას — აქვს მრავალი სახის ლოგიკური აღრიცხვა ლოგიკური სტრუქტურისა, ამიტომაც მათ ფორმალური ლოგიკა სწავლობს და არა რომელიმე სხვა მეცნიერება (მაგალითად, მათემატიკა). განსხვავებული ლოგიკური აღრიცხვები, რამდენადაც ერთიან ლოგიკურ სტრუქტურას ეხებიან, ვერ შექმნიან მრავალ ლოგიკას; ეს იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ სხვადასხვა აღრიცხვები ლოგიკურ სტრუქტურას კი არ გამოთქვამდნენ, არამედ — რაღაც მისგან განსხვავებულს; სინამდვილეში, რამდენადაც ყველა ლოგიკური აღრიცხვა ლოგიკურ სტრუქტურას ეხება, ლოგიკის მრავლობა კი არა გვაქვს, არამედ. ერთ ლოგიკაში — ლოგიკური აღრიცხვების მრავლობა. თუ განსხვავებულ ლოგიკურ აღრიცხვებს გავიგებდით როგორც განსხვავებულ ლოგიკებს, მაშინ მართლაც გვექნებოდა ლოგიკის სიმრავლე და ამ სიმრავლეს ვერაფრით შევაჩერებდით; ორი ლოგიკა მესამეს მოითხოვდა, მესამე მეოთხეს და ა. შ. — უსასრულოდ. მრავალი ლოგიკის აღიარება ნამდვილად მიუღებელია. ლოგიკა, თუ იგი ნამდვილად ლოგიკაა და არა სხვა რაიმე (მაგალითად, — გრამატიკა), ერთი უნდა

იყოს. ლოგიკა ნამდვილად ერთია და ეს არის თანამედროვე ფორმალური ლოგიკა, რომელიც აზროვნების ფორმების სტრუქტურას სწავლობს. მრავალი ლოგიკის აღიარება იმ არგუმენტით, რომ არსებობს მრავალი ლოგიკური აღრიცხვა, ლოგიკური აღრიცხვების განსხვავებულ ლოგიკებად დაშვებას ემყარება. ლოგიკურ აღრიცხვებს თუ მართლაც მივიჩნევთ სხვადასხვა ლოგიკებად, მაშინ ნამდვილად გვექნებოდა ლოგიკის სიმრავლე, მაგრამ მათი სხვადასხვა ლოგიკებად მიჩნევა შეუძლებელია იმიტომ, რომ ისინი ლოგიკური სტრუქტურის მხოლოდ სხვადასხვა მხარის აღრიცხვებია, იმ ლოგიკური სტრუქტურისა, რომელსაც მხოლოდ ერთი ლოგიკა — თანამედროვე ფორმალური ანუ სიმბოლური ლოგიკა სწავლობს. ყოველი ლოგიკური აღრიცხვა, როგორი განსხვავებულებაც არ უნდა იყოს იგი, ლოგიკურის გამოთქმულია. ლოგიკური სტრუქტურის განსხვავებული მხარეების აღრიცხვები მრავალ ლოგიკას ვერ შექმნიან.

IV. მათემატიკური (სიმბოლური) ლოგიკის როგორც ლოგიკის საწინააღმდეგოდ წამოყენებულ არგუმენტთა შორის, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო ძლიერია, რა თქმა უნდა, თუ იგი მართალია, შემდეგი: მათემატიკურ ლოგიკას საქმე არა აქვს აზროვნებასთან, მის ფორმებთან, მას საქმე აქვს საგნობრივ მიმართებებთან. მათემატიკური ლოგიკა არ სწავლობს ცნება-მსჯელობადასკვნას როგორც აზროვნების ფორმებს, იგი სწავლობს საგნობრივ მიმართებებს. საგნობრივი მიმართებების ლოგიკის საგნად გამოცხადება აუქმებს ლოგიკას. მათემატიკური ლოგიკის წარმოდგენა ლოგიკად, ეს არის ლოგიკის გაიგივება ონტოლოგიასთან, რადგან მათემატიკურ ლოგიკას საქმე აქვს საგანთა მიმართებასთან, ხოლო საგანი ონტოლოგიის კატეგორიაა. ამ არგუმენტის დასასაბუთებლად მათემატიკური ლოგიკის როგორც ლოგიკის მოწინააღმდეგენი მიუთითებენ იან ლუკასევიჩის შრომაზე — „არისტოტელისეული სილოვისტიკა თანამედროვე ფორმალური ლოგიკის თვალსაზრისით“, რომელიც არ ცნობს გარდა მათემატიკური ლოგიკისა, არც ერთი სხვა ლოგიკის არსებობას. მართალია, ლუკასევიჩი ამბობს, რომ ლოგიკას საქმე არა აქვს აზროვნებასთან, მაგრამ საკითხავია: რა აზრით ამბობს იგი ამას? ამიტომაც ზემოაღნიშნული არგუმენტის უმართებულობის დასასაბუთებლად საჭიროა იმის ჩვენება, თუ როგორ არის იგი ლუკასევიჩთან გადაწყვეტილი; ეს კი ცხადს ვახდის ლუკასევიჩის აზრის არასწორ ინტერპრეტაციას და დასაბუთებს, რომ სიმბოლურ ლოგიკას საქმე არა აქვს საგნებთან. უნდა ითქვას, რომ ლუკასევიჩთან აღნიშნული საკითხი ნამდვილად ისე არა დგას, როგორც ეს ზოგიერთს წარმოუდგენია. იგი სულაც არ ამბობს, რომ ლოგიკას საქმე აქვს საგნებთან და არა აზროვნების ლოგიკური ფორმების სტრუქტურასთან. საქმე სულ სხვა რამეშია. ლუკასევიჩი არკვევს საკითხს თუ რას სწავლობს ლოგიკა, როგორია მისი დამოკიდებულება ფსიქოლოგიასთან, ფილოსოფიასთან, იმისათვის რომ განასხვავოს ლოგიკის სპეციფიკურობა სხვა ისეთი მეცნიერებებისაგან, რომლებიც აზროვნებას სწავლობენ, იგი ლოგიკის სპეციფიკურ ბუნებას აჩვენებს და კითხვას სვამს: რა არის ფორმალური ლოგიკა? ამ შემთხვევის გასარკვევად მას წინასწარ მოყავს ორი ციტატა: ერთი — ფორმალური ლოგიკის სახელმძღვანელოდან და მეორე — „ფილოსოფიის ისტორიიდან“; ხოლო თითოეულში ნათქვამია: ლოგიკა ფორმალურია, რამდენადაც მას საქმე აქვს აზროვნების ფორმებთან; არისტოტელეს ლოგიკას უწოდებენ ფორმალურს, რამდენადაც არისტოტელეს ლოგიკა არის აზროვნების ფორმების ანა-



ლოზი. ორივე ციტატაში, ამბობს ლუკასევიჩი, არის გამოთქმა აზროვნების ფორმა, რომელიც არ მესმის. გამოთქმა „აზროვნების ფორმა“ არაზუსტია და ეს არასიზუსტე წარმოშობილია ლოგიკის არასწორი გაგებიდან. ვინც ფიქრობს, რომ ლოგიკა არის მეცნიერება აზროვნების კანონების შესახებ, იგი მიემხრობა აზრს, რომ ფორმალური ლოგიკა არის აზროვნების ფორმების კვლევა. არ არის სწორი, რომ ლოგიკა არის მეცნიერება აზროვნების კანონების შესახებ, აზროვნებასთან ლოგიკას უფრო მეტად არა აქვს საქმე, ვიდრე მათემატიკას. აქვე ლუკასევიჩი იხილავს სტოელებისა და პერიპატეტული სკოლის აზრს ლოგიკისა და ფილოსოფიის ურთიერთდამოკიდებულების საკითხზე და აღნიშნავს, თუ რატომ ეწოდება არისტოტელეს ლოგიკას ფორმალური: ამაზე უპასუხეს არისტოტელეს მიმდევრებმა — პერიპატეტული სკოლის წარმომადგენლებმა, რომელთა აზრით, ლოგიკას მიეკუთვნება მხოლოდ ცვლადებში გამოთქმული სილოგისტური კანონები და არა — მათი დართვა კონკრეტული ტერმინებისათვის. კონკრეტული ტერმინები, ე. ი. ცვლადების მნიშვნელობანი იწოდებიან სილოგიზმების მასალად. ლუკასევიჩი მხოლოდ აღნიშნული გაგებით ამბობს, რომ ლოგიკა არ ეხება აზროვნებას, და არა იმ აზრით, თითქოს ლოგიკას აზროვნების ფორმების სტრუქტურასთან არ ჰქონდეს საქმე. განა მან არ იცის, რომ არისტოტელეს სილოგისტიკის კანონები და წესები მატერიალურ საგანთა კანონები და წესები არაა? რომ იგი არ ეხება მატერიალურ საგანთა მიმართებას. ეს მან კარგად იცის, მაგრამ იგი მხოლოდ ამახვილებს ყურადღებას, რომ ლოგიკის კანონები აზროვნებას კი არ ეხება, არამედ — აზროვნების ფორმების სტრუქტურას. ეს გარკვევითაა ნათქვამი სილოგიზმის მიმართ: თუ სილოგიზმიდან განდევნით ყველა კონკრეტულ ტერმინს, შეცვლით მათ ასოებით, ჩამოაცილებთ სილოგიზმს შინაარსს, — ის რაც დარჩება არის ფორმა. ზემოთქმულის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ უმართებულთა შეხედულება, თითქოს ლუკასევიჩის მტკიცებით ლოგიკას არისტოტელეს ლოგიკას, არავითარი დამოკიდებულება არა აქვს მსჯელობადსაკენთან. ლუკასევიჩი ამტკიცებს, რომ ლოგიკა შეისწავლის არა აზროვნებას, არა მსჯელობას და დასკვნას როგორც აზროვნების ფორმებს. არამედ, იგი სწავლობს აზროვნების ფორმათა სტრუქტურას: მსჯელობის, დასკვნის სტრუქტურას; ამის დასაბუთებას ემსახურება მისი წიგნი მთლიანად. ზემო აღნიშნული არგუმენტი, რომელიც ლუკასევიჩითაა დამოწმებული, მის არასწორ ინტერპრეტაციას ემყარება. უნდა ითქვას, რომ მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე თავის მხრივ ესოდენ განვითარებული ლოგიკის საგნად „აზროვნების ფორმების“ მიჩნევა მართლაც გაუგებარია, აქ ლოგიკის საგანი არ არის გამოკვეთილი. „აზროვნების ფორმებს“ გარკვეული მხრით აზროვნების ფსიქოლოგიაც სწავლობს, ასევე — შემეცნების თეორიაც. სწორედ ამის გამო მკვეთრად უნდა გამოიყოს ლოგიკის საგანი აზროვნების ფორმების სფეროში. ლუკასევიჩი, ჩვენი აზრით, სწორედ ამას აღნიშნავს, რაშიც იგი უდავოდ მართალია.

V. მათემატიკური (სიმბოლური) ლოგიკის მათემატიკურობას ასაბუთებენ იმ არგუმენტითაც, რომ მათემატიკურ ლოგიკას აქვს მნიშვნელოვანი გამოყენება ტექნიკაში. უნდა ითქვას, რომ სიმბოლური ლოგიკა გამოიყენება ტექნიკაში, მაგრამ სიმბოლური ლოგიკის მათემატიკურობას ეს ვერ ასაბუთებს. ტექნიკაში მნიშვნელოვანი გამოყენება ლოგიკური აღრიცხვებისა არ არის საბუთი, რომ ამის გამო იგი მათემატიკაა. საკმაოდ ცნობილია, რომ

წინადადებათა აღრიცხვა გამოყენებულია რელეურ-კონტაქტური სქემების ანალიზ-სინთეზისათვის. მათემატიკური ლოგიკის სიმბოლოები პირველად გამოიყენეს ელექტრონული რელეურ-კონტაქტური სქემების მიმართ. ლოგიკის სიმბოლოები არა თუ გამოყენებულია რელეურ-კონტაქტური სქემების ასაგებად, არამედ მათ შორის არის ორგანული შესაბამისობაც: სიმბოლური ლოგიკის ძირითადი ოპერაციების — კონიუნქციისა და დისიუნქციის — გამოყენებამ მეცნიერებს საშუალება მისცა ელექტრონული სწრაფგამომთვლელი მანქანა გამოეყენებიათ ლოგიკური ოპერაციების შესასრულებლად, ამან კი დასაბამი მისცა „მოაზროვნე მანქანის“ შექმნას; მაგრამ ეს ფაქტები სრულიადაც ვერ ასაბუთებენ სიმბოლური ლოგიკის მათემატიკურობას. ცნობილია, რომ ფორმალური ლოგიკის, კერძოდ სილოგიზმის პრაქტიკული მნიშვნელობა ისტორიულად ყოველთვის სადავო და საეჭვო იყო. მართალია, არისტოტელე და შუა საუკუნეების მოღვაწენი სილოგიზმს დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდნენ, მაგრამ მისი ის პრაქტიკული მნიშვნელობა რეალურად მაინც არ ჩანდა, რაც ამ უკანასკნელ პერიოდში მიიღო, ამის დამადასტურებელია საყოველთაოდ ცნობილი „სილოგისტური მანქანები“. სილოგიზმის პრაქტიკაში გამოყენება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ სილოგიზმი, რომელიც ტრადიციული ფორმალური ლოგიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს, მათემატიკური მეცნიერების ნაწილად გადაიქცა. სწორედ იგივე ითქმის საერთოდ ლოგიკაში გამოყენებულ ლოგიკური აღრიცხვის შესახებ.

VI სიმბოლური ლოგიკის მათემატიკურობის დასაბუთებლად მიუთითებენ, რომ სიმბოლური ლოგიკა გამოყენებულია მხოლოდ მათემატიკაში და, ამდენად, მათემატიკის ლოგიკაა; ამიტომაც იგი განიხილება როგორც გამოყენებითი მათემატიკის გარკვეული შემთხვევა: „ლოგიკური აღრიცხვები არის გამოყენებითი მათემატიკის კერძო შემთხვევა“. მათემატიკური ლოგიკა არის მხოლოდ მათემატიკის დაფუძნების საშუალება, მისი მიზანია იმ ლოგიკური პროცესების განმარტება და სისტემატიზაცია, რომლებიც მოხმარებულია მათემატიკურ მსჯელობებში და მათემატიკურ ცნებათა განმარტებებში. სიმბოლური ლოგიკის ასეთი დახასიათება ნამდვილად მიუღებელია ლოგიკისათვის. მართალია, სიმბოლური ლოგიკა გარკვეულ პერიოდში განსაკუთრებული მიზნების გამო მხოლოდ მათემატიკის კუთვნილებად იყო მიჩნეული და მათემატიკის დაფუძნებას ემსახურებოდა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ გარკვეულ პერიოდში და ამჟამად მისი გამოყენების სფერო მეტად ფართოა. ამის გამოც სიმბოლური ლოგიკა არის არა მხოლოდ მათემატიკის ლოგიკა, არამედ იგი ზოგადლოგიკური ხასიათისაა. ის ფაქტი, რომ სიმბოლური ლოგიკა გამოყენებული იყო მათემატიკის დაფუძნებისათვის, სრულიად არ ასაბუთებს იმას, რომ იგი არ არის ლოგიკა, არამედ მათემატიკური მეცნიერებაა. ყველა მეცნიერებისათვის ლოგიკა ერთია. თუ იმას დავუშვებდით, რომ არსებობს მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიისა და სხვათა ლოგიკები როგორც საკუთრივ მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის მსჯელობათა და დასკვნების განმარტებანი, მაშინ ეს ნიშნავს, რომ დაფუძნაობა მრავალი ლოგიკის არსებობა, რაც ლოგიკის საწინააღმდეგო ლოგიკაა. მრავალი ლოგიკის აღიარება აუქმებს ლოგიკას როგორც მეცნიერებას აზროვნების ფორმების სტრუქტურის შესახებ. აზროვნების ფორმების სტრუქტურას ერთნაირი ძალა აქვს ყველა მეცნიერებაში მათი კონკრეტული შინაარსისაგან დამოუკიდებლად. ა. ტარსკის თქმით, — ლოგიკა მართებულიადაა მიჩნეული ყველა სხვა მეცნიერების საფუძვლად, თუნდაც იმიტომ, 3. „მაინე“, ფილოსოფიის..., სერია, 1972, № 2





ფრეგეს შემდეგ მათემატიკის ლოგიკაზე დაყვანის ახალ ცდას ბ. რასელი მიმართავს. რასელისა და მისი სკოლის აზრით, მათემატიკა მთლიანად დაიყვანება ლოგიკაზე. ეს კი დასაბუთებულია წმინდა მათემატიკის აპრიორული ხასიათით. წმინდა მათემატიკა არავითარ სხვა მუდმივს არ მოითხოვს გარდა ლოგიკურისა. მათემატიკის ყველა კეშმარტებანი მხოლოდ ლოგიკური მუდმივების ტრივიალური თვისებაა, რომელიც ერთნაირად სწორია ყველა „შესაძლებელ სამყაროში“. მათემატიკის ყველა წინადადება ეფექტურად გამომდინარეობს წმინდა ლოგიკური პრინციპიდან. ლოგიკური ფორმა არის ის ზოგადი, რომელიც ყოველგვარ ცვლილებაში მის შემადგენელ ნაწილებს შემოინახავს; ლოგიკური მუდმივებიც ლოგიკურ ფორმებს მიეკუთვნება. ლოგიკა არის მეცნიერება ლოგიკური მუდმივების შესახებ. მათემატიკის ლოგიკასთან გაიგივება კი შესაძლებელია იმიტომ, რომ წმინდა მათემატიკაში გვაქვს მხოლოდ ლოგიკური მუდმივები და არ არის არავითარი მათემატიკური ტერმინები. ყოველ ემპირულ მეცნიერებას, გარდა ლოგიკური ტერმინებისა, აქვს თავისი სპეციფიკური ტერმინები; მათემატიკას კი არა აქვს ასეთი რამ, მას აქვს მხოლოდ ლოგიკური მუდმივები, ამიტომაც მათემატიკა ლოგიკის იგივეობრივია. ლოგიკური მუდმივები კი ისეთი ცვლადებია, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ ერთი და მხოლოდ ერთადერთი მნიშვნელობა. ლოგიკური მუდმივები განისაზღვრება იმ თვისებით, რომ უცვლელი რჩება მაშინაც კი, როდესაც ამა თუ იმ წინადადებაში ყველა შემადგენელი ნაწილი იცვლება ან იგი კიდევ გამოთქმულია ასე: მუდმივი წარმოადგენს ლოგიკურს თუ წინადადებები, რომლებშიც იგი გვხვდება, მაშინაც კი განაგრძობენ მის შენარჩუნებას, როდესაც ჩვენ ვცდილობთ მის შენაცვლებას ცვლადებით. რასელი ერთ-ერთ შრომაში განიხილავს ბულის შრომას — „აზროვნების კანონების გამოკვლევა“ და სწერს, რომ ბული თავის შრომაში ეხება ფორმალურ ლოგიკას, ე. ი. მათემატიკას. მთელი წმინდა მათემატიკა: არითმეტიკა, გეომეტრია — აგებულია ლოგიკის მარტივი იდეებისაგან და მისი წინადადებები გამოიყვანება ლოგიკის ზოგადი აქსიომებიდან, ე. ი. სილოგიზმებისაგან და დასკვნის წესებისაგან. ფორმალური ლოგიკის საგანი მათემატიკის იგივეობრივია. მათემატიკის ლოგიკაზე დაყვანით ლოგიკა განდება უფრო მათემატიკური და მათემატიკა უფრო ლოგიკური; ამის შედეგად მათ შორის არ შეიძლება სახურის გავლება: მათი არსება ერთი და იგივეა, ისინი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან ისე, როგორც ყმაწვილი და მამაკაცი. ლოგიკა მათემატიკის სიკაბუჯეა, ხოლო მათემატიკა ლოგიკის სიმწიფე. მთელი წმინდა მათემატიკა, გეომეტრიის ჩათვლით, ემთხვევა ფორმალურ ლოგიკას. ბ. რასელის ფორმულა „ფორმალური ლოგიკა, ე. ი. მათემატიკა“ შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: პირველი — ლოგიკა, რომლისგანაც შეიძლება გამოიყვანებოდეს მთელი მათემატიკა, არის არა ტრადიციული ფორმალური ლოგიკა, არამედ — სიმბოლური (მათემატიკური) ლოგიკა, როგორც ეს წარმოდგენილია ნაშრომში Principia Mathematica; მეორე — მათემატიკის ლოგიკაზე დაყვანა ანუ მათი იგივეობა კი არ ნიშნავს სიმბოლური ლოგიკის დამოუკიდებლად არსებობის მოსპობას, არამედ — ლოგიკა-მათემატიკის ერთიანი დედუქციური სისტემის აგებას, რომელიც დააკმაყოფილებდა მთელ მათემატიკას და თავის ამოსავალ პუნქტში დაიყვანებოდა ლოგიკაზე. სხვაგვარად, თეზისი: წმინდა მათემატიკა დაიყვანება ლოგიკაზე, ლოგიკა აღებულია განსხვავებული ფორმალური სის-

ტემებით ანუ აღრიცხვებით, სადაც წმინდა ლოგიკური ტერმინები და აქსიომები არ განსხვავდებიან მათემატიკური ტერმინებისა და აქსიომებისაგან.

ასეთ შეხედულებათა საწინააღმდეგოდ სრულიად სამართლიანი მოსაზრება გამოთქვა კ. გიოდელმა. მან საკმაო სიცხადით აჩვენა, რომ თუ ლოგიკურ მუდმივები (ტერმინები) შეიძლება სისრულით განისაზღვროს ფორმალური სისტემების აქსიომებისა და დასკვნის წესებით, არითმეტიკის ყველა ტერმინის მიმართ ასეთი შესაძლებლობა არ არსებობს. გიოდელი ცხადყოფს იმას, რომ რიცხვი, მისი თვისებები და მიმართებები შეუძლებელია ისეთივე სისრულით განისაზღვროს, როგორც ლოგიკური მუდმივები. ასეთივე ხასიათისაა ტერმინები: „შორის“, „სწორია“, — არც ერთი ეს ტერმინი არ არის ლოგიკური ბუნებისა, ისინი სპეციფიკური გეომეტრიული ტერმინებია; ამიტომაც არის ორი სახის ტერმინები: ლოგიკური და არალოგიკური. არალოგიკურ და ლოგიკურ ტერმინებს შორის განსხვავება იმაშია, რომ, მაგალითად, არითმეტიკული ტერმინები შეიძლება სხვადასხვა საზრისით განიმარტოს, სხვადასხვაგვარად იყენენ ისინი ინტერპრეტაციაში; ლოგიკურ ტერმინებს კი ყოველგვარ ინტერპრეტაციაში ერთი და იგივე საზრისი (მნიშვნელობა) აქვს. სწორედ ამიტომ არითმეტიკას გააჩნია საკუთარი შინაარსი, რომელიც არ დიყვანება ლოგიკაზე.

მეორე შეხედულების, — რომლის მტკიცებითაც ლოგიკა არის მათემატიკის ნაწილი, — ცნობილი წარმომადგენელია პ. კარი და პ. ლორენცენი. კარი ამოდის დებულებიდან: მათემატიკა არის ყველა ფორმალური სისტემის ერთობლიობა. მათემატიკური ფორმალური სისტემა მოიცავს ყოველგვარ ფორმალურ სისტემას (აღრიცხვას), რომელიც აგებულია განსაზღვრული ფორმალური წესების საფუძველზე. რაც შეეხება ლოგიკურ აღრიცხვებს, მაგალითად: წინადადებათა, პრედიკატთა აღრიცხვასა და სხვ., — ესენი ფორმალური სისტემების კლასიკური სახეებია; აქედან გამომდინარე, ლოგიკა არის მათემატიკის ნაწილი ანუ, სხვა სიტყვებით, მათემატიკა არის მეცნიერება ფორმალურ სისტემათა შესახებ, ხოლო ფორმალური სისტემები, რომლებიც მათემატიკურ (სიმბოლურ) ლოგიკაშია, კერძო ნაწილია საერთოდ ფორმალური სისტემებისა, რომელთა შესახებ მეცნიერება მათემატიკაა; აქედან გამომდინარე, ლოგიკა არის მათემატიკის ნაწილი.

ასეთი შეხედულების არსებითი შეცდომა ის არის, რომ ამოსავალი დებულება მცდარია. მტკიცება, — რომ მათემატიკა არის ყველა ფორმალურ სისტემათა ერთობლიობა და, რომ ყველა აღრიცხვა მათემატიკის სფეროში შემოდის, — მცდარია. სწორედ ამ მცდარი ამოსავალი დებულებიდან ვღებულობთ მცდარ აზრს, თითქოსდა ლოგიკა მათემატიკის ნაწილია. სინამდვილეში მათემატიკა არ არის ყველა ფორმალური სისტემის ერთობლიობა, ყველა აღრიცხვა არ არის მათემატიკის კუთვნილება. მათემატიკა მხოლოდ ფორმალური მათემატიკური სისტემების, ფორმალურ-მათემატიკური აღრიცხ-

ვების ერთობლიობაა და არა ყოველგვარი ფორმალური აღრიცხვებისა. ფორმალური აღრიცხვები მხოლოდ მათემატიკური კი არ არის, არამედ, გარდა მათემატიკურისა, არსებობს ლოგიკური აღრიცხვებიც. სიმბოლურ ლოგიკაში გამოყენებული აღრიცხვები ლოგიკური აღრიცხვებია. ფორმალურ-მათემატიკურ აღრიცხვებსა და ფორმალურ-ლოგიკურ აღრიცხვებს საერთო ის აქვთ, რომ ორივე აღრიცხვაა, მაგრამ ერთიმეორისაგან განსხვავდებიან. ჰილბერტის სამართლიანი თქმით, ლოგიკური აზროვნება აისახება ლოგიკურ აღრიცხვებში.

(წარმოადგენს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის კათედრამ)



ლევან ჩიქოვანი

პეგელის ნოქლვრება სანელმწიფოს შესახებ

პეგელისათვის სახელმწიფო არის მსოფლიო სულის, გონის, ნუსის ნამდვილობის სრული ფორმა<sup>1</sup>. ამიტომ, ბუნებრივია, რომ სახელმწიფოს ბუნების, მისი არსის გაგებისათვის საჭიროა გონის ცნების სწორი გააზრება. ფილოსოფიის ისტორიაში ეს ცნება ანაქსაგორამ შემოიტანა; ძველი იონელები, წერს პეგელი, აზროვნებდნენ, მაგრამ არ სვამდნენ კითხვას თვითონ აზროვნების თაობაზე; ატომისტებმა საგნების არსება გადააქციეს აზრებად, მაგრამ მათთვის ეს აზრები მხოლოდ აბსტრაქციები, სუფთა არსებები იყო<sup>2</sup>; ანაქსაგორამ კი პირველსაწყისად აღიარა აზრი, რომელიც მასთან ასრულებს ყოვლისშემოქმედი ცნების როლს; მან აჩვენა, რომ აზრი არის სამყაროს შინაგანი ჰარმონიის, მისი წესრიგის საფუძველი, სადაც არსებული ერთეული საგანი მიმდინარე და სასრულოა. პეგელი ამბობს, რომ აზრის ჩათვლა სამყაროს შინაგან არსებად არ ნაშნავს ბუნებრივი ნივთებისადმი ცნობიერების მიწერას: „ჩვენ უსიამოვნებას ვგრძნობთ, — წერს პეგელი, — იმიტომ, რომ ნიუთონა შინაგან მოქმედებას აზროვნებად იგებენ, ვინაიდან ჩვენ ვამბობთ: ადამიანი აზროვნებით განირჩევა ბუნებრივისაგან“. ამის თანახმად, ბუნებაზე უნდა ვილაპარაკოთ როგორც არა-ცნობიერ აზრთა სისტემაზე, როგორც ისეთ ინტელექტზე, რომელიც, — როგორც შეღონვი ამბობს, — გაქვევებულია. იმისათვის, რომ სწორად გავიგოთ დებულება აზრის როგორც სამყაროს არსების შესახებ, პეგელი გვიჩვენებს მივმართოთ ნუსის ცნებას: „აზროვნებისა და მისი განსაზღვრებების ეს მნიშვნელობა ზუსტად არის გამოხატული, როდესაც ანტიკური მოაზროვნეები ამბობენ: Nus-ი მართავს სამყაროს. სწორედ ამ აზრით უნდა ითქვას, რომ სამყაროს არსება არის გონი, ცნება, ზოგადი“<sup>3</sup>.

ამრიგად, ცნება პეგელისათვის არ არის საგნის არსებით ნიშანთა ერთობლიობა; იგი მართო ადამიანში არსებული აზრი კი არ არის, არამედ საგანთა არსება: ცნება წარმოადგენს იმ განსაზღვრებების ერთიანობას, რომლებიც რეალიზდება ბუნებისა და გონის სფეროებში; ცნება არის შემოქმედი, იგი თვით ადგენს თავის ფორმებს, რადგან იგი დაპირისპირებულ მომენტთა შემცველია, ცნება არის მარტივი, ის ზომ მთლიანობა და ერთიანობაა, მაგრამ მასში იდეალიზებულია ყველა მომენტი და, ამდენად, ის განსხვავების შემცველიცაა; ეს წინააღმდეგობა სიმარტივესა და განსხვავებულობას შორის უნდა მოიხსნას, კერძოდ, ცნებამ უნდა მოხსნას თავისი სიმარტივე და გაშალოს შინაგანი მომენტები — მასში მყოფი განსაზღვრებანი, გადააქციოს სინამ-

<sup>1</sup> Герель, Соч., т. VIII, стр. 17.

<sup>2</sup> Герель, Соч., т. X, стр. 34.

<sup>3</sup> პეგელი, ლოგოს მეცნიერება, თბ., 1962, გვ. 85—86.

დვილედ ის, რაც მასში იდეალიზებული იყო. ყველაფერი, რასაც ქეშმარიტი არსებობა აქვს, ცნებისა და სინამდვილის შესატყვისობაა; ამ აზრით, საგნები და მოვლენები ცნების ხორცშესხმანი არიან.

პეგელი აღნიშნავს: ის რეალობა, რომელიც ცნების შესატყვისი არ არის, შემოთყვევითი, თვითნებური, არაქეშმარიტი მოვლენაა, რადგან ქეშმარიტებად იწოდება ცნებისა და მისი სინამდვილის შესატყვისობა<sup>4</sup>. ცნება ძალაა, ეს არის მისწრაფება, უნარი, გამოავლინოს მასში ჩამარბული განსაზღვრებანი ანუ გამოავლინოს ის, რაც თავისთავად არსებობს. ცნება უპირობოა, პირველადია, ყველაფრის თავის თავში შემცველია; როგორც ამ ყველაფრის ერთიანობა ის არის ზოგადი, ხოლო როგორც მჭარმოებელი — კონკრეტული; მაგრამ როგორც თავისთავად მყოფი, იგი ჭერ კიდევ არაფერია, რადგან მასში არსებული განსაზღვრებანი მხოლოდ შესაძლებლობაა სინამდვილისა. ცნება სიკეთეა, ღმერთია, გონია, მაგრამ სინამდვილის გარეშე იგი ცარიელი სიტყვაა, რადგან აზრი მას მხოლოდ მაშინ მიეცემა, როცა მასში არსებული წინააღმდეგობის საფუძველზე ის რეალობად გადაიშლება, მოხსნის თავის სიმარტივეს, ცალმხრივობას, ნაკლოვანებას და აქცევს თავის თავს მთელად, რომლის შესაძლებლობასაც წარმოადგენდა იგი დასაწყისში; ე. ი. განხორციელებამდე ცნება არაფერია. განხორციელებული ცნება კი არის იდეა: „სტრუქტურა, რომელიც გააჩნია ცნებას თავის განხორციელების პროცესში, არის ცნების შემცენებისათვის მეორე არსებითი მომენტი იდეისა. ეს მომენტი განსხვავებულია იმ ფორმისაგან, რომელიც არის მხოლოდ ცნება“<sup>5</sup>.

მაშასადამე, არსებული სინამდვილე ყოფილა იდეა. სინამდვილის მრავალსახეობა იდეის განვითარებით შექმნილი განსხვავებულობანია. ბუნება პირველი საფე<sup>6</sup>ურია იდეის განვითარების გაზაზე, მისთვის დამახასიათებელია საგანთა ერთმანეთის გარეთ ყოფნა. ბუნება გონიერულია, ღეთაებრივია, მაგრამ იგი მოკლებულია თავისუფლებას, მასში მხოლოდ გარეგანი აუცილებლობა ბატონობს. მართალია, ეს აუცილებლობა საგნის შინაგანი ბუნებიდან გამოდის, მაგრამ, საგნები განცალკევებულნი არიან ერთმანეთისაგან, ამიტომ მათ შორის დამოკიდებულება განცალკევებულთა დამოკიდებულებაა, გარეგანი დამოკიდებულებაა; ე. ი. ბუნებაში არსებული აუცილებლობის პირობა არის საგანთა ერთმანეთისაგან განცალკევებული არსებობა. „ცნება ანუ საგანთა არსება ბუნებაში არსებობს გაუცნობიერებლად, „თავისადა“; ბუნების უბედურება მის ობიექტურობაშია, იგი ცნებაა თავისთავად და არა თავისი თავისათვის“<sup>6</sup>; მაგრამ შემდგომი განვითარება იდეისა აღადგენს ცნებას ისე, როგორც იგი თავისში არის, კერძოდ, აღადგენს მას როგორც ზოგადს, როგორც განსხვავებულთა იგივეობას, როგორც იდეალურს, ამ საფეხურზე იდეა არსებობს როგორც გონი, რომელიც ბუნებაში ჩნდება ადამიანთან ერთად. ბუნებიდან გონზე ასკლის მთავარ პირობას წარმოადგენს საგანთა ერთმანეთის გარეთ ყოფნის უარყოფა. ბუნებაში გაბატონებული მიზეზშედეგობრიობა ცხოველთა სამყაროში გადადის ურთიერთქმედებაში, ხოლო ეს უკანასკნელი თვითგანხორციელებაში, რომელიც სუბიექტურობაა. დასაწყისში გეჭონდა ცნება, ზოგადობა; ბოლოში ვიღებთ იმავე ზოგადობას, მაგრამ ისეთს, რომელიც შეიცნობს საკუთარ თავს:

<sup>4</sup> Hegel, *Соч.*, т. III, стр. 30.

<sup>5</sup> Hegel, *Соч.*, т. VII, стр. 23.

<sup>6</sup> Hegel, *Соч.*, т. X, стр. 284.

ეს არის აზროვნება, ცნობიერება, „მე“ და ეს მე არის ის, რაც თავიდან განვითარების საფუძველად იდო; მხოლოდ იგი ეხლა თვითცნობიერია, მან იცის თავის თავი, იგი დაშლილია ანუ ჭეშმარიტია: „განვითარება გონისა სხვა არაფერია ვარდა მისი ამაღლებისა თავის ჭეშმარიტებადღე“<sup>7</sup>. ეს ცნობიერება როგორც „მე“ ბუნებაში არსებული ცნებისაგან განსხვავდება თავისი იდეალობით. ჰეგელი ამ განვითარების პროცესს აღარებს მარცხლის განვითარებას: დასაწყისში გვაქვს მარცვალი, რომელიც მცენარის ამოსვლის შემდეგ ისევ თავის თავს გვაძლევს, მაგრამ ბოლოში მიღებული მარცვალი სხვაა; ხოლო ცნების განვითარების შემთხვევისას, ბალოში მიღებული იგივეა, რაც დასაწყისში იყო; აქ გვაქვს სწორედ იდეალობასთან საქმე: იდეალობა ორის არსებობაა, მაგრამ — ამავე დროს — ორივეს იგივეობაა.

ჩვენ ბევრჯერ ვიხმარეთ გამოთქმა: „დასაწყისში გვაქვს ცნება და ბოლოს ვიღებთ იმავე ცნებას“; ხომ არ ნიშნავს, რომ თითქოს ჰეგელი ცნობს სინამდვილეზე ადრე არსებულ ცნებას — გონს, რომლისგანაც შემდეგ ჩნდება სინამდვილე, რეალობა? თუმცა ჰეგელი ხშირად ამბობს, რომ საგნებს უსწრებს ცნება, რომ ცნებაა ყველაფრის შემქმნელი და სხვ., — ეს არ უნდა გავიგოთ პირდაპირი აზრით. სუბსტანცია არის სუბიექტი, გონი, მე; თავის არსებობას იგი იწყებს მაშინ, როცა სინამდვილე სახეზეა, როცა იდეასთან გვაქვს საქმე. „ცნება და მისი განხორციელება არის სხვადასხვა მხარე განსხვავებული ერთმანეთისაგან და ამავე დროს ერთიანი როგორც სული და სხეული“<sup>8</sup>; მანამდე იგი არაფერი არ არის. ჩვენ ვიგებთ, რომ ეს მე, რომელიც ბოლოს მიიღება, უნდა იყოს საგანთა არსება, რომ სხვანაირად არ შეიძლება.

ჰეგელმა აღწერა თუ როგორ წარმოიშობა მე ბუნებიდან: ამის მთავარ პირობას წარმოადგენს საგანთა ერთმანეთის გარეთ ყოფნის უარყოფა, სუბიექტის ანუ იდეალობის დადგენა; ბუნებაში ამ უარყოფის ყველაზე მაღალი საფეხურია ცხოველთა სამყარო. ორგანიზმი არის ერთი მთლიანი რამ, რომელიც, მართალია, არსებობენ განსხვავებულობანი. მაგრამ ეს განსხვავებულობანი ერთმანეთის იგივეობრივია და, ამდენად, ზოგადიც. ეს ზოგადი ანუ იგივეობრივი მრავალში ამავე დროს გარკვეული განსაზღვრულობაც არის, ამ განსაზღვრულობაში იგი თავის თავთანაა: ეს ნიშნავს იმას, რომ ერთი ნაკვეთი სხეულისა არის მთელიც და ზოგადიც, რადგან ყველა ნაკვეთი ერთმანეთის იგივეობრივია, ერთი ხორციელდება მეორეში და ეს მეორე მის განამდვილებას წარმოადგენს მხოლოდ; ე. ი. ნაკვეთი ზოგადია და ამავე დროს ვარკვეული განსაზღვრულობაც არის ანუ ზოგადია იმ ვარკვეულ განსაზღვრულობაში, რომელიც გარეგანი მისთვის და თავის თავთანაა; ზოგადი იგივეობრივია მისი გარეგანისა, მისი სხვისი და ამიტომ ამ თავის სხვაში თავის თავს ხედავს. ანუ რეფლექსიას აკეთებს თავის თავზე. აქ ჩვენ მივადექით შეგრძნებას: „რაიმე, შეგრძნებას ფლობს იმის საფუძველზე, რომ თავის განსაზღვრულობაში რჩება როგორც ზოგადი“. შეგრძნება არის ზოგადის გაჩენა, რაჟა ეს ზოგადი თავის თავზე გააკეთებს რეფლექსიას, მაშინ გვექნება „მე“ როგორც სუბიექტურობა, გონი, ცნობიერება. სწორედ ამას აქვს ადგილი აზროვნების პროცესში. აზროვნებით წარმოიშობა ის, რაც თავის თავს ასხვავებს თავისივე თავისაგან, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთი სული, ჯერ მხოლოდ აბსტრაქტული, თავის თავში

<sup>7</sup> Гегель, Соч., т. III, стр. 30.

<sup>8</sup> Гегель, Соч., т. VII, стр. 23.



არსებული ზოგადია ანდა ეს არის მისი თავის თავთან მარტივი დამოკიდებულება. მართალია, მასში არის განსხვავება, იგი თავის თავს ასხვავებს თავისივე თავისაგან, მაგრამ ეს არ არის ნამდვილი განსხვავების არსებობა მასში. ნამდვილი განსხვავებულობა სხვაა. ვიდრე მარტივი მე, როდესაც სულში ნამდვილი განსხვავებულობა შევა და როდესაც იგი ამ სხვას მოხსნის, აი მხოლოდ ამის შემდეგ იქნება იგი გარეგანის იდეალობა, პეგელის სიტყვებით, იგი იქნება: „თავის შიგნით განსხვავების მქონე და ამ თავის განსხვავებულობაში, თავის თავთან და თავის თავისათვის მყოფი საყოველთაო“. სხვა არის ბუნება: სული დაძლევის ამ ბუნებას და გახდება თავისუფალი, მაშინ სულისათვის ბუნება უცხო კი აღარ იქნება, არამედ მასში სული თავისივე თავის უშუალო რეალობას დაინახავს. აღამიანი იკვლევს საგნებს, იგებს მათ შინაარსს, ეს შინაარსი ადამიანში შედის როგორც წარმოდგენა; თითოეული წარმოდგენა ზოგადია ანუ აზროვნების საკუთრებაა, მაგრამ ამავე დროს საგანსაც ასახავს. აზროვნება ხდება და მისი განსაზღვრებები საგნის განსაზღვრებებია. მისი შინაარსის გამომხატველია და, პირიქით, საგნის განსაზღვრებები ამ აზროვნების განსაზღვრებებია. როდესაც აზროვნება მიხვდება მასში არსებული განსაზღვრებებისა და საგანში არსებული განსაზღვრებების იგივეობას, აი, მაშინ იქცევა ეს აზროვნება ნებისყოფად. პეგელი წერს: ინტელიგენცია, რომელმაც იცის თავისი თავი როგორც განსაზღვრული საწყისი შინაარსისა, რომელი შინაარსიც ისეთივე ზომით ეკუთვნის მას, რა ზომითაც ეს შინაარსი რეალურ არსებობას ეკუთვნის, ასეთი ინტელიგენცია არის ნება<sup>9</sup>.

მაშასადამე, წარმოიშობა ახალი საფეხური ცნების განვითარებისა; ესაა ნებისყოფა, იგია პირობა ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობისა, რაც იწყება იმით, რომ მე თავის თავს განსაზღვრავს რაიმე საქმით. მაგ.: ვმუშაობ წიგნზე, ამ დროს ეს ჩემი მე არის წიგნზე მომუშავე გარკვეული რაღაცა, რომელიც განსხვავდება სხვა განსაზღვრებებისაგან — ვთქვათ — სახლის მშენებელი შესაგან, ამ შემთხვევაში ნებისყოფა ასაგნებს თავის თავს. თუ დავაკვირდებით თეორიულ დამოკიდებულებას, ვნახავთ, რომ საგნების შინაარსის დადგენა შეუძლებელია, თუ აზროვნება ანუ მე არ მოქმედებს. პრაქტიკული დამოკიდებულება ანუ მეს ნებისყოფის განსაზღვრება, რაღაცად მისი გასაგნება შეუძლებელია, თუ ნებისყოფამ არ წარმოიდგინა ის, რაღაც იგი უნდა გასაგნდეს. ნებისყოფას როგორც თეორიულ აზროვნებას თვალწინ უღვას ის, რაღაც ის უნდა იქცეს; ე. ი. ნებისყოფა თეორიული აზროვნებაა, ის მოქმედია როგორც აზროვნება, მაგრამ იგი სხვანაირი მოქმედებაა: იგი აზროვნებით დადგენილი მიზნის განხორციელებაა. ეს არის რეალიზაციაქმნილი მიზნის საწყისი გონის ფილოსოფიაში.

პეგელი ნებისყოფის რაობას შემდეგნაირად ხსნის: სუფთა აზროვნება თავიდან არის საგანში არსებული შინაარსის გამრჩევი, მძებნელი. იგი ირკვევს ამ შინაარსს და ამდენად არის მოქმედება, იგი პროცესია, ქმედების გამოვლენა. ეს მოღვაწეობა — ქმედება, თვით ამ ქმედებისათვის საგნობრივი ხდება და, აი, როგორ — საგნების შინაარსის ძებნისა და გარჩევის დროს აზროვნებაში მიმდინარეობს შემდეგი პროცესი: თავიდან იგი უპირისპირდება საგანს, შემდეგ ეძებს ამ საგნის ნიშნებს, აღგენს მის შინაარსს და ეს შინაარსი თუ ნიშნები გამოიხატება წარმოდგენებით; წარმოდგენა ზოგადია და აზროვნების საკუთ-

<sup>9</sup> Гегель, Соч., т. III, стр. 105, 279.

რება, მაგრამ ამავე დროს იგი საგანსაც ასახავს. აზროვნება ხედება, რომ მისი წარმოდგენები საგნის ნიშნებია, საგნის შინაარსის გამოხატველია და, პირ-  
იქით, საგნის ნიშნები, ამ საგნის შინაარსი აზროვნებაში არსებული წარმოდგე-  
ნებია; როდესაც იგი მიხედვება მასში არსებული განსაზღვრებებისა და საგნებ-  
ში არსებული განსაზღვრებების იგივეობას, მაშინ ის იქცევა ნებისყოფად. ნე-  
ბისყოფა შეიცავს ორ მომენტს: ჭერ ერთი, ის არის სუფთა აზროვნება, მე,  
რომელმაც იცის, რომ მასში გათქვეფილი და გამჭარალია ყველა გარკვეულობა  
ანუ განსაზღვრულობა, ყველაფერი, რაც არსებობს როგორც ბუნების საგნე-  
ბის შინაარსი, როგორც მოთხოვნილებისა თუ მისწრაფების შინაარსი, იგი-  
ვეობრივია ამ მესი, ამდენად ეს ნებისყოფა არის თავისუფალი, მას შეუძლია  
გამოეყოს ყველაფერს, დადგეს განზე ყველაფრისაგან; მეორე მომენტი ნების-  
ყოფისა ის არის, რომ ნებისყოფა რაიმე საქმით განსაზღვრავს თავის თავს, გახ-  
დის რაიმე მიზანს რეალურს და ნებისყოფა ამ დროს ამ საქმითაა დაკავებული  
და განსაზღვრული, მაგრამ მან ისიც იცის, რომ ეს მიზანი ან ეს საქმე, რომ-  
ლითაც იგი უნდა შემოისაზღვროს ამ მომენტში, უცხო კი არ არის მისთვის,  
არამედ ერთ-ერთი შესაძლებლობაა, რომლითაც მას თუ უნდა არც შემოისაზღვ-  
რება: ე. ი. თუ უნდა დააკეთოს თავის თავს ამ საქმით, უნდა არა. ნებისყოფა  
არაა დამოკიდებული არც ერთი განსაზღვრებისაგან, არ უკავშირდება არც ერთ  
მიზანს და მხოლოდ იმიტომ ახორციელებს ამა თუ იმ მიზანს, იმიტომ იმყოფე-  
ბა ამა თუ იმ განსაზღვრებაში, რომ თვითონ უნდა მასში შესვლა; სწორედ ეს  
მოწმობს მის თავისუფლებას. ნებისყოფა თვითონ აკავებს, ახორციელებს, გან-  
საზღვრავს თავის თავს ამა თუ იმ მიზანში, ამასთან, მას შეუძლია სულ სხვა რა-  
მითაც განისაზღვროს; ე. ი. ნებისყოფის არსება თავისუფლება ყოფილა. ეს იმას  
არ ნიშნავს, რომ ნებისყოფა თავისუფალია მაშინაც კი, როცა განსაზღვრულობა  
არ არსებობს. არა, ნებისყოფა მხოლოდ არჩევანის თავისუფლებაა და ეს არ-  
ჩევანის თავისუფლება იმიტომა გვაქვს, რომ ნებისყოფა სუფთა აზროვნებაა,  
ზოგადია, საყოველთაოა და მასში ყველა ასარჩევი განსაზღვრულობა იდეალი-  
ზებული სახით შენახულია; ამიტომ რომელი გარკვეულობითაც არ უნდა განი-  
საზღვროს ნებისყოფა, იგი მაინც თავის თავთან იმყოფება, რადგან თვითონ  
მოიცავს თავის თავში ამ განსაზღვრულობას. თავისუფლება კი სწორედ თავისი  
თავით განსაზღვრულობაა, თავის თავთან ყოფნაა. ჰეგელს მოყავს მეგობ-  
რობისა და სიყვარულის მავალით: სიყვარულში ჩვენ სხვა პიროვნებით ვი-  
საზღვრებით, მაგრამ მასში ჩვენს თავს ვხედავთ. „თავისუფლება მდგომარეობს  
რადღაც განსაზღვრულობის ნდომაში და ამ განსაზღვრულობაში მაინც შენ თავ-  
თან უნდა რჩებოდე“. აზროვნება აძლევს საშუალებას ნებას, რომ თავის გან-  
საზღვრებაში საკუთარი თავი დაინახოს. მისწრაფება და განსაზღვრულობა,  
რომლითაც შემოისაზღვრება ნება, აზროვნებას აჰყავს ზოგადამდე, ამ მისწრა-  
ფების ქეშმარიტებამდე. — ე. ი. აჰყავს თავის თავამდე, რადგან აზროვნება  
თვითონაც ზოგადია და ის ხდება ნება, თავისუფალი<sup>10</sup>.

მაშასადამე, წარმოიშვა ნება, რომელიც თავისუფალია, ის უნდა განამ-  
დვილდეს, რეალიზებული უნდა გახდეს და მან უნდა გაანამდვილოს ყველა ის  
განსაზღვრულობა, რომელიც მასშია. ეს არ არის ერთეული ადამიანის ნება,  
იგი საყოველთაო ნებაა, იგი შემდგომი საფეხურია გონის განვითარების გზაზე.  
აი, ეს ნება იღებს სინამდვილის სახეს იმდენად, რამდენადაც იგი თავისუფა-

<sup>10</sup> Hegel, *Соч.*, т. VII, стр. 39, 50.

ლია; მისი ნამდვილობა არის თავისუფალი ნების განამდვილება, რეალიზაცია. თავისუფალი ნების ყველა განსაზღვრულობის (რომლებიც მასში არსებობენ იდეალიზებული სახით) რეალიზაცია, არის სამართალი; მაშასადამე, სამართალი იღეა, იგი არის თავისუფალი ნების როგორც ცხების განხორციელება და ეს ცხება როგორც ზოგადი ზოციელება ცალკეული ადამიანების ნების მეშვეობით; ადამიანის არსებობისათვის კი საჭიროა როგორც ფიზიკური არსებობის შენარჩუნება ანუ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ასევე სხვა ადამიანებთან ურთიერთობაც, რადგან ამ სხვების გარეშე ადამიანს არსებობა არ შეუძლია. მაშასადამე, საყოველთაო თავისუფალი ნების როგორც ცხების რეალიზაცია მოითხოვს რეალური ცხოვრების არსებობას; როდესაც აღნიშნული ცხოვრება გაუმენდილია ადამიანთა პირადი, სუბიექტური მისწრაფებისაგან, შემთხვევისაგან, მაშინაა იგი თავისუფალი ნების ნამდვილობა ანუ სამართალი და ეს მართი იურიდიული კანონების ერთიანობა კი არ არის, იგი მომცველია ყველა იმ განსაზღვრებისა, რომელსაც ახორციელებს, ანამდვილებს თავისუფალი ხება.

კიდევ უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ თავისუფლების განსაზღვრებები არ არსებობენ ინდივიდუალური ადამიანების გარეშე, ისინი მხოლოდ სუბიექტური ნებისა საშუალებით ხორციელდებიან; ისინი არიან ამ სუბიექტურ ნებაში არსებული ის ზოგადები, რომელთა მიხედვითაც მოქმედებენ, რომლებსაც მისდევებს, რომლებითაც ხელმძღვანელობენ ადამიანები ცხოვრებაში; ეს განსაზღვრებებია ადამიანების მოვალეობები, მათი ჩვევები და მათი შეხედულებები ცხოვრებაზე. ახლა ვნახოთ, როგორი იქნება თავისუფლების ეს განსაზღვრებები, რომელთა ყოფნა სამართლის არსებობაა. თუ საყოველთაო თავისუფალი ნება არ არსებობს ინდივიდის გარეშე, უნდა დავიწყოთ ამ ინდივიდებით. ადამიანი, რომელსაც აქვს ნებისყოფა. არის თავისუფალი, რადგან იგი მალდება ყველა იმ განსაზღვრებებზე, რომლებიც ბუნებაში არსებობს. სამართალი არის თავისუფლების ყველა განსაზღვრებების ნამდვილობა, რადგან გონი ცალკეული ინდივიდის საშუალებით ადამიანთა ურთიერთობის სფეროში ქმნის თავისუფლების თბიქტურ სამყაროს ანუ სამართალს. გონი აქ გვევლინება როგორც საყოველთაო ნება; აი, ეს საყოველთაო ნება ცალკეული ინდივიდის ნებისა ს შუალებით ქმნის თავისუფლების სამყაროს. საყოველთაო ნება, გონი, აზროვნება ანდა თავისუფლება — ნამდვილდება, იდეალ იქცევა სამართალში. სამართლის იდეის განვითარება არის გონის სიცოცხლის ერთ-ერთი საფეხური, რომელიც სახელმწიფოს სახით არსებობს. ეს არის გონის სამყარო თვით-ცნობიერების ელემენტში. თვითცნობიერება ის სულია, რომელიც ყველა ადამიანში იგივეობრივი და საყოველთაოა, რაც, ჭველის გაგებით, იმას ნიშნავს, რომ შენ სხვა ადამიანში შენს თავს ცნობ, მიუხედავად იმისა, რომ ორივე განსხვავებული ინდივიდები ხართ. ეს თვითცნობიერება არის სწორედ გონის, საყოველთაო ნების, ძირითადი სახეების, ანუ მისი სინამდვილედ ყოფნის დროს მიღებული ნაირსახეობების, — კერძოდ, — ოჯახის, სამშობლოს, სახელმწიფოს, სიყვარულის, მეგობრობის, მამაკობის, სინდისის, დიდების, არსების, სუბსტანციის, ცნობიერების ფორმა<sup>11</sup>. თვითცნობიერება გონიერული ნებაა, რომელმაც იცის თავის თავი როგორც მე, რომელსაც აქვს უნარი ყველაფრისაგან აბსტრაქტირება მოახდინოს, რადგან ყველაფერს თავის თავში მოიცავს და

<sup>11</sup> Гершен, Соп. т. III, стр. 22—227.

თავისუფალია. ეს თვითცნობიერება ინდივიდში, ერთეულ ადამიანში არსებობს; სწორედ იმის გამო, რომ ადამიანს გააჩნია უნარი რომ იყოს მე, იგი არის პიროვნება.

თავისუფლების ობიექტური სამყარო ანუ სამართალი პიროვნების ურთიერთობათა სფეროში იქმნება საყოველთაო სულის ბაზაზე. ჰეგელს კარგად ესმის, რომ საზოგადოების გარეშე შეუძლებელია ადამიანთა გონიერულ ცხოვრებაზე ლაპარაკი ანდა თავისუფლების ობიექტურ სამყაროზე ლაპარაკი; ამიტომ ჯერ უნდა აიხსნას ადამიანთა ერთად ცხოვრების წარმმართველი წესები, სულ ერთია, როგორნი იქნებიან ამ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანები: კეთილნი თუ ბოროტნი ანუ, იქნებიან საყოველთაო ნების იგივეობრივნი. თუ — თვითნებური სურვილების გამტარებლები. მაშასადამე, ჯერ იმას არა აქვს მნიშვნელობა: ადამიანები თავიანთი შინაგანი ხმის თანხმობით ასრულებენ ქვეყის არსებულ ნორმებს, თუ — ამ ხმის საწინააღმდეგოდ. მთავარია ჯერ საზოგადოებაში არსებული ქვეყის წესების წარმოშობის ბუნება ახსნას ჰეგელმა.

მაშასადამე ჰეგელს ესმის, რომ საზოგადოებას თავისი ცხოვრების გარკვეული ნორმები აქვს და ადამიანები ნებით თუ უნებლიეთ ემორჩილებიან ამ ნორმებს, მაგრამ თუ ყველაფერი საყოველთაო ნების საფუძველზე იქმნება, თუ ყველაფერი გონის, ნუსის, აზროვნების, თავისუფლების, ხორცმცხსმია, — როგორ ახსნას ჰეგელმა ადამიანისა და საზოგადოების კანონების დაპირისპირება? ამ გონის, ნუსის, თავისუფლების, მატარებელი ხომ თათოუელი პიროვნებაა და ხომ ვიცით, რომ ამ პიროვნებების გარეშე არ არსებობს საყოველთაო ნება; მაშ რატომ არსებობს ეს წინააღმდეგობა? იმიტომ, — ამბობს ჰეგელი, — რომ გონი ჯერ აბსტრაქტული სამართლის სახით გვევლინება, რაც იმას ნიშნავს, რომ გონი თავის უშუალობაშია, გარეგანად არსებობს. გონი არსებობს პიროვნების ინდივიდუალობის გაუთვალისწინებლად. პიროვნებები ემორჩილებიან არსებულ კანონებს თუმცა არ იციან, რომ კანონის შესრულება მათი თავისუფლებაა. ეს უნდა მოხდეს, მაგრამ მანამდე პიროვნებამ ბევრი გზა უნდა გაიაროს, კერძოდ, ჯერ მან უნდა დაინახოს თავისში არსებული ინდივიდუალური. გამოყოს იგი საზოგადოებრივისაგან, ზოგადისაგან და შემდეგ მოახდინოს ინდივიდუალურის ამოღება საზოგადოებრივამდე, ზოგადამდე; აი, მაშინ მოიხსნება ყოველგვარი დაპირისპირებულობა. სწორედ განვითარების ამ გზის აღწერას წარმოადგენს ჰეგელის სამართლის ფილოსოფია.

აბსტრაქტული სამართლის საფუძველია აბსტრაქტული ნება, რაც ნიშნავს პიროვნებას, მეს. აბსტრაქტული ნება ადამიანში არსებობს პიროვნული ნებისათვის დამახასიათებელი ისეთი თვისებებით, როგორიცაა: ჰირვეულობა, მოთხოვნილება, მისწრაფება, — ეს ყველაფერი თუმცა ადამიანის ნებისათვის დამახასიათებელია, მაგრამ ყველაფერი ეს მას აქვს როგორც რაღაც განსხვავებული აბსტრაქტული ნებისაგან. იმ მესაგან, რომელიც ზოგადი და თავისუფალია. სამართალი კი სწორედ იმ აბსტრაქტული ნებისაგან გამოდის, რომელიც მე არის, რომელიც თუმცა შესაძლებლობის სახით ყველა განსაზღვრულობას ფლობს თავის თავში, მაგრამ ჯერ არცერთი არ გაუშლია და ამიტომ მარტივი და აბსტრაქტულია. აბსტრაქტული სამართალი სწორედ ამ აბსტრაქტული ნების, აბსტრაქტული მეს ნამდვილობაა, ამიტომ ადამიანის ნების მეორე, ბუნებრივი მხარე უყურადღებოდ რჩება, მას არ ეწევა არავითარი ანგარიში. თუ ეს ასეა. მაშინ სულერთია, ეთანხმება თუ არა ადამიანის ინდივიდუალურ სურვილებს, მოთხოვნებს, ჰირვეულობას — ეს მეორე მხარე იმავე ადამიანის ნე-

ბისა, მხარე, რომელიც ადამიანის ზოგადობაზე მოუთითებს, რომელიც წარმოდგენილია ყველაში იგივეობრივი ნების სახით ანუ აბსტრაქტული ნების სახით. ამ აბსტრაქტული ნების, ანუ მეს საფუძველზე პიროვნება იგივეობრივია ყველა სხვა პიროვნებისა, როგორც იმავე ბუნების პატრონი, რა ბუნებაც სხვებს აქვთ.

პირველი კანონი, რომელიც აბსტრაქტული ნების თავისად მყოფი შინაარსისაგან გამოდის ასეთია: იყავი პიროვნება და პატივი ეცი სხვებს როგორც პიროვნებებს. ზემოთ ითქვა, რომ აბსტრაქტული ნება, მე სუბიექტი — თავისუფალია, რადგან იდეალიზებული სახით მოიცავს თავისში ყველა განსაზღვრულობებს (იგი ხომ ნებისყოფაა, რომელიც ამაღლდა ყველაფერზე და შეუძლია ყველაფერს გამოეყოს; ყველაფერი, — რაც არსებობს როგორც ბუნების საგნების შინაარსი, როგორც მოთხოვნალების თუ მიწრაფების შინაარსი, — იგივეობრივია ამ მესი და ამდენად ნებისყოფა თავისუფალია). ეს სწორია, მაგრამ ვიდრე აბსტრაქტული ნება არ გაანამდვილებს, არ დაამტკიცებს საკუთარ თავისუფლებას, მანამ იგი მხოლოდ მარტივი აბსტრაქტული ნება ჩნება და მეტი არაფერი; ამ განამდვილებას აბსტრაქტული ნება ბუნების საგნების მეშვეობით ახერხებს. სამართალი უპირველესად არის ერთეული პიროვნების აბსტრაქტული ნების როგორც ზოგადის თავისუფლება, — აღნიშნავს ჰეგელი სამართლის ფილოსოფიაში, — ეს ზოგადი კი თავისუფლებას სხვაში ყოფნით მოიპოვებს; ამიტომ სამართალი არის მფლობელობა, რომელიც უნდა გვესმოდეს როგორც საკუთრება.

მაინცადამაინც ბუნების საგნებში რატომ უნდა განამდვილდეს აბსტრაქტული ნების თავისუფლება? იმიტომ, რომ მხოლოდ ბუნებაა ის სხვა, რომელიც სულს უპირისპირდება, თავისუფლება კი სხვის გარეშე შეუძლებელია, რადგან სხვაში უნდა იგრძნოს. ნებამ თავი თავისთან. აქ ჰეგელი ორ ფრონტზე იბრძვის: ჯერ ერთი, იგი აცხადებს საკუთრების აუცილებლობას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში სული ვერ გაანამდვილებს თავისუფლებას, მისი მიზანი კი სწორედ თავისუფლების მუნყოფაა, — მაშასადამე საკუთრების აუცილებლობა ჰეგელის მთელი ფილოსოფიითაა გაპირობებული; მეორე, თავის თავს ბუნების საგნებში ანამდვილებს სული და ამით ამტკიცებს თავის უზენაესობასა და ბუნების მეორადობას. ბუნების საგანში აბსტრაქტული ნების შესვლა ნიშნავს ამ საგნის მიზნის შეცვლას, მის გამოყენებას პიროვნების ინტერესების მიხედვით, რითაც ამ საგნების არააბსოლუტურობა მტკიცდება, — აცხადებს ჰეგელი. საკუთრება ისაა, რასაც ნება ქმნის და ის, რაშიაც ნება თავის მიზანს ანხორციელებს, რამდენადაც ადამიანის ნება გასაგნობრივია, ამდენად ნება ნამდვილად თავისუფალი გახდა: „თავისუფლება არსებობს იმდენად, რამდენადაც პიროვნებას უფლება აქვს ფლობდეს საკუთრებას“<sup>12</sup>. მართალია, აბსტრაქტული ნება ზოგადია, მაგრამ იგი მაინც რომელიმე ინდივიდში არსებობს. სწორედ ამ ერთეულ ადამიანში არსებული ნება ობიექტურდება საკუთრებაში ანუ იღებს თავისუფლებას. იმის გამო, რომ ეს ნება ერთეულ პიროვნებაში არსებული ნებაა, საკუთრება უნდა იყოს კერძო: „პიროვნება დებს თავის ნებას საგანში, ამაში მდგომარეობს საკუთრების ცნების საზრისი“<sup>13</sup>. სა-

<sup>12</sup> Гегель, Соч. т. X, стр. 219.

<sup>13</sup> Гегель, Соч., т. VII, стр. 73—77.

კუთრება არის როგორც საგნის ფლობა, ასევე შესაძლებლობა ამ საგნის მოხმარებისა და გასხვავებისა.

მაშასადამე, საკუთრება პირველი საფეხურია თავისუფლების ცნების განმდევლების გზაზე, მასზეა დაფუძნებული აბსტრაქტულ ნების თავისუფლება ანუ აბსტრაქტული სამართალი. გონის განვითარების ამ საფეხურზე სამართლის შინაარსი შემდგენიერად გაიშლება: პიროვნება არის ყველანაირი სამართლის წყარო; სამართლის ყველა სახე პიროვნებას ეკუთვნის იმდენად, რამდენადც პიროვნება არის ის, ვისაც შეგნებულ აქვს თავისი ზოგადობა და თავისუფლება და ამდენად ყველა პიროვნება თანასწორია. პიროვნება როგორც თავისუფალი ნება ბატონობს ყველაფერ იმაზე, რაც ნებას უპირისპირდება, ამიტომ მას უფლება აქვს დაუფლოს იმ საგნებს, რომელსაც სხვა ჯერ არ დაუფლებია. საგანი, რომელსაც პიროვნება დაუფლა და ნათელყო საჭაროდ ეს დაუფლება, შედის პიროვნების საკუთრებაში, თავისუფალი ადამიანები როგორც პიროვნებები თანასწორნი არიან, მაგრამ როგორც ინდივიდები ისინი არ არიან თანასწორნი ნიჭით, შესაძლებლობებით, ფიზიკური. მონაცემებით და სხვა. პიროვნებათა თანასწორობიდან გამომდინარეობს უფლება, რომ ყველა იყოს შესაკუთრე, მაგრამ — არა ერთნაირი ქონებისა და საკუთრების პატრონი. პიროვნების თავისუფლება ჯერ კიდევ არ ნიშნავს საკუთრების თავისუფლებას, თუმცა უკანასკნელი გამომდინარეობს პირველიდან. საკუთრება არის პიროვნების ბატონობა საგანზე. ეს ბატონობა ვლინდება საგანში პიროვნების ნების ყოფნით. ნების საგანში ყოფნის ან არ ყოფნის ხანგრძლივობა ან აკარგვინებს პიროვნებას საკუთრებას ანდა მოაპოვებინებს მას და ბოლოს ის, რაც ექვემდებარება ხანგრძლივობას შეიძლება განსხვავდეს, ის კი, რაც არ ექვემდებარება ხანგრძლივობას არ განსხვავდება.

ნებისმიერი ადამიანი როგორც აბსტრაქტული ნების პატრონი საგანში რომელიც სხვისი საკუთრებაა, ცნობს სხვის ამ თავისუფლებას. საკუთრების ანუ სხვისი თავისუფლების ცნობა ხორციელდება აბსტრაქტული ნების ზოგადობის საფუძველზე. საკუთრების ცნობის ფაქტი უძველეს საფუძველად, საკუთრების განსხვავებას; სწორედ ამიტომ შეუძლიათ ადამიანებს ქონების გაყვლა, ჩუქება და სხვა, რაც ხელშეკრულების საშუალებით ხორციელდება. ხელშეკრულება, ჰეგელის აზრით, არის უფლების მოპოვება საკუთრებაზე არა ფიზიკური დაუფლებით, არამედ — სხვა ნების საშუალებით, — მაშასადამე, — ორი შესაკუთრის საერთო ნებით. ხელშეკრულება არის ორი განსაკუთრებული ნების მოლაპარაკება, შეთანხმება. ხელშეკრულებაში ორი მომენტია: ერთი — თანხმობა ანუ საერთო ნება და მეორე — პიროვნების ცალკეულ ნება; სწორედ ამ უკანასკნელმა უნდა შეასრულოს ხელშეკრულება. პიროვნების ცალკეულ ნებას შეუძლია არ განახორციელოს ხელშეკრულება, ამით მას შესაძლებლობა აქვს, დაარღვიოს სამართალი, კანონი; ეს კანონი არსებობს ხელშეკრულების არსებობის ფაქტში, კერძოდ, ესაა კანონი ხელშეკრულების შესასრულებლად რაიმე მოეთხოვოს პირებს. თუ პირი არ ასრულებს ხელშეკრულებას იგი არღვევს საერთო ნების მოთხოვნას და სწორედ აქ შეიცნობს პირი თავისში არსებული ნების ორ მომენტს: ერთია საყოველთაო ნება, რომელიც საერთო ნების ფორმით არსებობს; მეორე არის ინდივიდის სპეციფიკური ნება, რომელიც შესაძლებელია დაუპირისპირდეს საყოველთაო ნებას. ეს დაპირისპირება ზოგადისა და ერთეულისა სამი სახისაა: პირველი, როცა პიროვნება უსამართლობა სჩადის, მაგრამ სიმართლე თავის მხარეს ჰკონია; მეორე, როცა



პიროვნება არაა მართალი, იცის კიდევ ეს, მაგრამ სხვა დააჯერა თავის სი-  
მართლესი, ესაა მოტყუება და შესამე, როცა პიროვნება არ არის მართალი,  
მშვენიერად იცის ეს, მაგრამ მაინც არღვევს კანონს და იგი არც მალავს ამას,  
ესაა დანაშაული.

დანაშაული არის თვითნებური, სუბიექტური, მხოლოდ ერთეული პირო-  
ვნების დამახასიათებელი ნების ნამდვილობა. იგი არაგონიერია და სამართალს  
ეწინააღმდეგება. დანაშაული ხდება ემპირიულ ქვეყანაში, რადგან ცალკეული  
პირი თავისუფალია და შეუძლია იმოქმედოს სამართლის წინააღმდეგ. ასეთი  
ნების ნამდვილობა საწინააღმდეგოა იმ პროცესისა, რომლის განხორციელების  
გზაზედაც წარმოიშვა გონიერი, არსებობის უფლების ჰქონე საყოველთაო  
ნება. დანაშაული მხოლოდ შემთხვევითი რაღაცაა, რომელსაც არავითარი სა-  
დღუველი არა აქვს ცნების განვითარების ამ უდიდეს გზაზე. ცნების განვითარ-  
ების აუცილებელი პროცესა მოითხოვს გონიერი ნების რეალიზაციას. ესაა  
აუცილებელი, დანარჩენი ყველაფერი მოჩვენებითია და უნდა მოისპოს გაქ-  
რეს. მაშასადამე, უნდა მოისპოს დანაშაულიც, თვითნებობაც. გონიერმა ნებამ  
უნდა მოხსნას თავისი ხოთმდა მეტოქე, რომელიც პრეტენზიას აცხადებს არ-  
სებობაზე. ეს მოხსნა ფორციელდება სასჯელით. სასჯელი ახალი თვითნებობა  
კი არაა, — როგორც შურისძიებაშია, სადაც ზღვებზე გვხვდება პირო-  
ვნული ნებისა და საყოველთაო ნების დაპირისპირება, — არა, იგი გონიერა  
ნების შესადერისი საქციელია, რომელიც ითვალისწინებს დანაშაულის რო-  
გორც რაოდენობრივ, ისე — თვისებრივ მხარეებს. სასჯელის სწორად განხორ-  
ციელება მოითხოვს სუბიექტური მიდგომის მოხსნას, იგი მოითხოვს სამარ-  
თლიანობას; სამართლიანობა უნდა იყოს დამსჯელი და არა შურისმგებელი.  
ე. ი. ადამიანთა განვითარების პროცესში დგება მოთხოვნა სასჯელი დამნაშა-  
ვეს დაადოს იმ პიროვნებაში, რომელსაც აქვს სამართლიანობის ცოდნა. ჰეგელ-  
ლის სიტყვებით რომ ვთქვათ, აქ ჩვენ გვაქვს ისეთი ნების არსებობის მო-  
თხოვნა ანუ ისეთი ნების საპირობება, რომელიც ადამიანში, კერძოსუბიექტურია,  
მაგრამ ნებას საყოველთაო, ზოგადი; ნებას გონიერი ნება. ადამიანმა უნდა  
იცოდეს, რომ მას ასეთი ნება აქვს და იხელმძღვანელოს მისით, სასჯელის  
დროს. მაშასადამე ადამიანმა თავისსავე თავში უნდა ეკებოს სამართალი, გო-  
ნიერი ნება, ე. ი. — ნება, რომელიც ადამიანის სახით არსებობს და ადამიანში-  
ვე ეძებს გონიერ ნებას; ასეთი ნების პოვნა არის თავის თავში თავისუფლების  
შიღწევა. რადგან მე უცხო სავანში კი არ ვდებ ჩემს ნებას, არამედ ჩემს ნებას  
ჩემს აწროვნებაში არსებულ გონიერს ვაზიარებ. ეს არის თავისუფლების უსა-  
სრულო სუბიექტურობა, რომელიც მორალის პრინციპია.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, აბსტრაქტულ სამართალში ნების თავი-  
სუფლებას გარეგანი ნამდვილობა ჰქონდა. მორალში ნების თავისუფლებას აქვს  
შინაგანი ნამდვილობა, რადგან აქ ერთეული ნება ეზიარება ზოგად ნებას, ე. ი.  
ერთეული ნება ნამდვილდება ზოგადი ნების შინაარსით, ორივე პიროვნების  
კუთვნილებაა, მაშასადამე ნება პიროვნების გარეშე არ გამოდის, იგი რეფლექ-  
სირებულია თავის თავში, რადგან ერთეული ნება თავის თავში ზოგადს ეძებს  
და პოულობს, ან ვერ პოულობს მას. ეს რეფლექსია პიროვნებას სუბიექტად  
აქცევს. სუბიექტური ნების გამოყვანება საქციელაა. ეს საქციელი შეიძ-  
ლება კარგი იყოს, შეიძლება — ცუდი, ორივე შემთხვევაში ერთია მთავარი:  
ორივე განამდვილებს სუბიექტური ნებისა ანუ ისეთი ნებისა, რომლის ში-  
ნაარსიც თვით სუბიექტშია მოქმენილი: „თავისუფლებას მხოლოდ სუბიექტში



შეუძლია განხორციელება, რადგან სუბიექტია ის რეალური ნადაგი, რომელშიც რეალიზდება იგი, მაგრამ ნების ეს ნამდვილობა, რასაც ჩვენ სუბიექტურობას ვუძახით, განსხვავდება თავისად და თავისი თავისათვის არსებული ნებისაგან<sup>14</sup>.

მაშასადამე, მორალური ნება არის სუბიექტური ნება, იგი ნამდვილობაა ამ საფეხურზე მყოფი ნების ცნებისა, მაგრამ რამდენადაც სუბიექტს მასში შეაქვს საყოფიერ პიროვნებისათვის დამახასიათებელი მისი ცოდნითა და კულტურითა გაპირობებული თავისებურებები, ამდენად იგი შეიძლება არ დამთხვავს საყოველთაო ნებას. სუბიექტური ნება ისწრაფვის ამ ერთიანობისაკენ, დამთხვევისაკენ და ეს დამთხვევა უნდა მოხდეს ქცევის განვითარებით, ანუ სუბიექტური ნების განამდვილების ზოგადამდე ასვლით. ქცევა როგორც სუბიექტური ნების გამოვლენა თუ ავა გონივრულ ნებამდე, თუ იქნებამ ამ გონივრული ნების განამდვილება, მაშინ განხორციელდება ზნეობრიობა. ეს გონივრული საყოველთაო ნება ყველა ინდივიდის არსებაა. ეს არსება ცალკეული ინდივიდებისა ერთიანია, იგივეობრივია; ეს ერთიანობა სულთერი ერთიანობაა და თვითცნობიერების სინამდვილეა, ზნეობა<sup>15</sup>. თვითცნობიერების ობიექტური შინაარსი სინამდვილეში ხორციელდება როგორც სამართალი და მოვალეობა, როგორც ზნე-ჩვევა და ეს უკვე განსხვავებული საფეხურია გონის განვითარების გზაზე. აბსტრაქტული სამართლის საფეხურზე ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება განსაზღვრულია არა სუბიექტის თვითნებობით, არამედ — ობიექტური კანონებით; იქ ეს კანონები შეადგენენ თავისუფალი ნების არსებობის გარეგან სფეროს. მორალში მოცემულია ქცევის სუბიექტური მხარე, ამიტომ მორალი არის თავისუფალი ნების არსებობის შინაგანი სფერო. ზნეობაში საყოველთაო ნება ანუ გონივრული ნება, — რაც იგივე თავისუფლებაა, — განხორციელებას იღებს, სინამდვილედ იქცევა სუბიექტური ნების მოქმედებით; აქ სუბიექტურ ნებას არა აქვს სხვა შინაარსი გარდა ამ თავისუფლებისა, ამიტომ ზნეობის სფერო არის თავისუფალი ნების ობიექტური და სუბიექტური არსებობის ერთიანობა. ეს თავისუფლება, ჰეგელის გაგებით, არის ზნეობრივი სუბსტანცია, რომელიც სუბიექტური ნების მოქმედებით კონკრეტული ხდება, მაგრამ, თუ ეს თავისუფლება ანუ საყოველთაო ნება თვითცნობიერების ობიექტური მხარეა და არ შეიცავს განსაზღვრებებს, მაშინ სუბიექტური ნება ვერ აქცევს მას სინამდვილედ. სინამდვილე, — ამბობს ჰეგელი, — ყოველთვის მოითხოვს რაღაც განსაზღვრულს, მაშასადამე ეს განსაზღვრულობა თაყვიდანვე უნდა არსებობდნენ თავისუფლების ცნებაში და ეხლა მხოლოდ ხორცს შეისხამენ, ქვეყანას მოველინებთან, რითაც თავისუფლებას კონკრეტულს გახდიან.

„კონკრეტული თავისუფლების სინამდვილე არის სახელმწიფო“. სახელმწიფო არის ზნეობრივი მთელი. იგი თავისუფლების განხორციელებაა, ეს თავისუფლება უნდა გვესმოდეს, როგორც თვითცნობიერების არსების რეალიზაცია, რომელიც ინდივიდების მეშვეობით ხორციელდება. როდესაც სახელმწიფო კანონების ობიექტურ არსებობაზე ვლაპარაკობთ, უნდა ვიცოდეთ, რომ იგი არის სუბიექტის თვითცნობიერება, რომელშიც სუბსტანცია თავის თავს ხედავს და იცის იგი მხოლოდ როგორც ცნობიერებაში განამდვილებული, თა-

<sup>14</sup> Гегель, Соч., т. VII, стр. 128, 125.

<sup>15</sup> Гегель, Соч., т. IV, стр. 188.

ვისი თავის მცოდნე, როგორც არსებული საგნისა; აი. ასეთი გონია სახელმწიფო<sup>16</sup>. სუბიექტი ნაზიარები ამ სუბსტანციაზე მასში ყველაზე მაღალ ავტორიტეტსა და ძალას ხედავს. ზნეობის კანონებთან შეფარდებით ბუნების არსებობა გონიერს მალავს შემთხვევითში, ზნეობა კი გონის პირდაპირი არსებობაა. აი, სწორედ ამიტომ წარმოადგენს სუბიექტისათვის ეს კანონები მეტ ავტორიტეტს. სუბიექტი მათში თავის არსებას, თავის კუშმარტ ბუნებას ხედავს; სუბიექტი ზნეობაში ყოფნით თავის სტიქიაში იმყოფება და სიამაყის გრძნობით ივსება. სუბიექტი განახლებებს თავის თავს კანონებისაგან — როგორც ბუნებრივი ნების პატრონი, როგორც ცოცხალი არსება — თავისი მისწრაფებებისა და მოთხოვნილებებით, ამდენად ზნეობის კანონები როგორც სუბიექტის თვითცნობიერების არსებები მისთვის ვალდებულებებს წარმოადგენენ; ამ ვალდებულებებით უნდა შებოჭოს მან თავისი ბუნებრივი ნება და ამ ვალდებულებების სახელმწიფოში სრული განამდვილებით უნდა განამდვილოს მან თავისი კუშმარტი თავისუფლება; განამდვილებული თავისუფლება, ადამიანთა ურთიერთობის წესები და ნორმებია მათი ცხოვრების კანონაა. ცხოვრობს რა ამ წესებისა და კანონების მიხედვით, ადამიანი ცხოვრობს თავისი არსების მიხედვით როგორც თვითცნობიერი სუბიექტი და, ამდენად, ეს კანონები კი არ ზღუდავენ მას, პირიქით, მათი განხორციელებისას ადამიანი თავის შინაგან ბუნებასაც ანხორციელებს და სწორედ ამიტომ არის თავისუფალი; მაშასადამე, ადამიანის თვითცნობიერება ქმნის საზოგადოების არსებულ წყობას.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ჰეგელისათვის სამართალი არის ადამიანებში მყოფი სული. ის ზოგადი თვითცნობიერება, რომელიც ყველა ადამიანს იგივეობრივი აქვს. ცალკეული ადამიანის სული არსებობს და ცოცხლობს. ცალკეული ადამიანის სხეულის საშუალებით ზოგადი სული, რომელიც ცალკეულ ადამიანებშიც არის, განსხვავდება ერთეული ადამიანის სულისაგან (იმ თავისებურებებისაგან, რომლებიც მხოლოდ ერთეული ადამიანის სულისათვის არის დამახასიათებელი) და ეს ზოგადი სული ხორცს შეისხამს ანუ მოვლენად იქცევა სამართალში. იგი არსებობს და ცოცხლობს როგორც ერთეული, როგორც მოვლენა სახელმწიფო დაწესებულებებში. სახელმწიფოც და მისი კანონები ამ ზოგადი თვითცნობიერების ნამდვილობაა. ეს თვითცნობიერება კი ღმერთის, ნუსის, გონის განვითარების ერთ-ერთი საფეხურის სინამდვილეა. გამოვიდა რა თავისი გაუცხოებიდან, ბუნებიდან, გონი თავის თავს დაუბრუნდა. ადამიანის მეშვეობით იგი ავიდა თავისუფალი ნების საფეხურამდე. თავისუფალი ნების ცნება თავისში შეიცავს ყველა იმ განსაზღვრებას, რომლებიც სინამდვილეში ადამიანთა ურთიერთობის კანონებად ხორციელდებიან. რაც შეეხება რეალობას, ცხოვრებას, სინამდვილეს, ჰეგელისათვის იგი ამ განვითარებაში მყოფი სულის გაშლის, მისი განხორციელების საშუალებაა.

ფ. ენგელსი აკრიტიკებდა ჰეგელს და გამოთქვამდა აზრს, რომ საზოგადოებაში არსებული კანონები მასთან ისტორიიდან კი არ აიხსნებიან, არამედ იგი თავს ახვევს ცხოვრებას ამ კანონებს აზროვნების კანონების სახით. სწორედ ამიტომ ჰეგელისათვის ეს ქვეყანა უნდა შეეფერებოდეს ლოგიკურ სისტემას. იმ დროს, როდესაც ეს უქანასკნელი სხვა არაფერია, თუ არა პროდუქტი ადამიანური აზროვნების განვითარების გარკვეული საფეხურისა<sup>17</sup>. კ. მარქსი

<sup>16</sup> Гегель, Соч. т. VII, стр. 268, 270.

<sup>17</sup> Архив Маркса и Энгельса, т. II, стр. 221.

4. „მაცნე“, ფილოსოფიის..., სერია, 1972, № 2

ნაშრომში — „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის“ წერდა: „ჰეგელისათვის მთავარია სახელმწიფოს მეშვეობით გაამართლოს თავისი ლოგიკა, სადაც აზრი თავის წმინდა ფორმაშია განხილულა“. ჰეგელის მთელი სამართლის ფილოსოფია აბსტრაქტული ნებით იწყება, და მის განვითარებას წარმოადგენს. რაა სინამდვილეში ეს აბსტრაქტული ნება? — ესაა პიროვნება. ჰეგელისათვის პიროვნების ცნება არის გონის განვითარების გარკვეული საფეხურის შედეგი. მარქსი ფარდას ხდის ჰეგელის მისტიციზმს და ნათლად გვიჩვენებს პიროვნების ცნების რეალურ საფუძველს: პიროვნების ცნება წარმოიშევა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, სადაც შრომის პროდუქტი საქონლის სახეს იღებს. საქონელი არის საგნობრივი ფორმა ცალკეული კერძო შრომისა. იმის გამო, რომ საქონელი ერთმანეთზე იცვლება, ეს ცალკეული შრომა წარმოგვიდგება როგორც ერთნაირი ადამიანური შრომა<sup>18</sup>. აბსტრაქტული შრომის გადასახვას წარმოადგენს აბსტრაქტული პიროვნება. პიროვნება იმ შრომის გარდასახვაა, რომელიც ღირებულების საფუძველად ძვეს. პიროვნების, სუბიექტის, ნების თავისუფლების გარეშე, — ჰეგელის გაგებით, — სულს არ შეუძლია სამართლისა და სახელმწიფოს საფეხურამდე ასვლა. ეს თავისუფლება ემყარება ნების საყოველთაო ხასიათს, რაც ნიშნავს ყველა ნების თვითცნობიერებას ანუ აზროვნების მიერ თავისი თავის გააზრებას. ასეთი ნება, ჰეგელის გაგებით, ამაღლებულია ყოველგვარ განსაზღვრულობაზე და ეს აზრი არასწორია, რადგან სინამდვილეში არ არსებობს უშიშარსო აზროვნება, აზროვნება — ყოველგვარი განსაზღვრულობის გარეშე. ჰეგელთან თავისუფალი ნების ცნება თავისში შეიცავს ყველა იმ განსაზღვრებას, რომელიც სინამდვილეში ადამიანთა ურთიერთობის კანონებად ხორციელდება: ეს აზრი თავდაყირა დაყენება იმ რეალური პროცესისა, სადაც ჯერ არსებობს საზოგადოება, ადამიანთა შორის არსებული ურთიერთობანი და ამ ურთიერთობის მარგულირებელი ობიექტური კანონები, რომელთა საფუძველს თავისუფალი ნება კი არ წარმოადგენს, არამედ — გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე გაბატონებული წარმოებითი ურთიერთობანი. მიაჩნდა რა საზოგადოების განვითარება ცნების განვითარების განხორციელებლად, ჰეგელი ვერ ხედავდა საზოგადოების ნამდვილ ბუნებას, მისი განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას.

საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების მეცნიერული ახსნის საფუძველზე მარქსმა დაამტკიცა, რომ სახელმწიფოსა და სამართალს არა აქვს ღვთაებრივი ხასიათი, რადგან შეუძლებელია სიმართლის გაგება გონების საერთო განვითარებიდან. სახელმწიფოსა და სამართალს ფესვები ცხოვრების მატერიალურ პირობებში აქვს. ნაშრომში — „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ მარქსი წერდა: „თავიანთი ცხოვრების საზოგადოებრივი წარმოებისას ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნებისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობას, წარმოებით ურთიერთობას, რომელიც მათ მატერიალურ მწარმოებლურ ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს შეესაბამება. ამ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ ბაზისს, რომელზედაც იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი აღიმართება და რომელსაც საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრული ფორმები შეესაბამება“<sup>19</sup>. მაშასადამე სული არ არის სახელმწიფოს საფუძველი, სახელმწიფო, სამართალი სულის, გონის ნამ-

<sup>18</sup> Маркс, Энгелс, Соч., т. I, стр. 236.

<sup>19</sup> კ. მარქსი, პოლიტეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 10.

დვილობა არაა. სამართალი ის ზოგადი წესია, რომელიც დგინდება ყოველ-  
დღიურად განმეორებელი წარმოების აქტებით, პროდუქტთა განაწილებით და  
მათი გაცვლით. სამართალში ნაგულისხმევია ისიც, რომ ცალკეული ადამიანი  
დაემორჩილოს წარმოებისა და გაცვლის საერთო პირობებს<sup>20</sup> ექსპლოატატო-  
რულ საზოგადოებაში წარმოების პირობები ყოველთვის ერთი რომელიმე კლასის  
წისქვილზე ასხამს წყალს, ამიტომ საბოლოო ჯამში სამართალი არის გაბატონებული  
კლასის მატერიალური ცხოვრების პირობების საფუძველზე გამო-  
მუშავებული ნების დაკანონება გაბატონებული კლასის ნება გულისხმობს იმ  
მოთხოვნებებსა და ინტერესებს, რომლებიც შეუმუშავდება ამ კლასის ეკონომიკური  
ცხოვრების საფუძველზე; რაც შეეხება ამ ნების დაკანონებას, იგი აუცილებლად  
სახელმწიფოს ნებას უნდა ერწყმოდეს. კანონად ცხადდება ნება, რომელსაც  
შეეფერება საზოგადოების წევრთა ის ქცევები, რომლებიც არ გადიან არსებული  
საზოგადოებრივი წყობის ჩარჩოებიდან და ამით ანტაგონისტურ ფორმაციებში  
სახელმწიფო უზრუნველყოფს ერთ-ერთი კლასის ეკონომიკურ ბატონობას.  
სამართალი ადამიანთა ქცევის წესების ანუ ნორმების ერთობლიობა, ეს ნორმები  
გამოხატავენ გაბატონებული კლასის ნებას, ამ კლასისათვის სასურველი და  
ხელსაყრელი საზოგადოებრივი ურთიერთობის დაცვას<sup>21</sup>.

არ შეიძლება ვილაპარაკოთ სახელმწიფოზე საერთოდ, სამართალზე საერთოდ;  
ყოველი სამართალი თუ სახელმწიფო გარკვეული ისტორიული ეპოქითაა  
გაპირობებული. სახელმწიფოსა და სამართლის ბუნების, მათი ხასიათის  
განმსაზღვრელი არის წარმოებითი ურთიერთობა, ბაზისი, რომლის ცვლელადობაც  
იწვევს სახელმწიფოს ტიპებისა და მისი იურიდიული კანონების ცვლას.  
მონათმფლობელურ საზოგადოებაში კერძო საკუთრება არსებობდა არა მარტო  
წარმოების საშუალებებზე, არამედ — წარმოების მუშაკებზეც; ეს იყო საფუძველი  
იმ წარმოებითი ურთიერთობისა, რომელიც მაშინ არსებობდა და სწორედ  
ამ ურთიერთობის შესაფერის ქცევის ნორმებს წარმოადგენდა მონათმფლობელური  
სამართალი; რაც შეეხება სახელმწიფოს, იგი იყო ორგანიზაცია გაბატონებული  
კლასისა და ცდილობდა ძალით შეენარჩუნებინა არსებული ეკონომიკური  
ურთიერთობა. ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობა ეფუძნება წარმოების  
საშუალებებზე სრულ კერძო საკუთრებას, ხოლო წარმოების მუშაკზე  
წაწილობრივ საკუთრებას. ფეოდალური სახელმწიფო და სამართალი ამ  
ურთიერთობის დაცვის საშუალება იყო, ასევე ბურჟუაზიული წარმოებითი  
ურთიერთობის შესანარჩუნებლად საჭირო ადამიანთა ქცევების ნორმები, რაც  
გამოიხატება ბურჟუაზიულ სანართალში.

საბოლოოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰეგელი თავისი ეპოქის შვილია, იგი  
ახლგაზრდა მშობარა გერმანელი ბურჟუაზიის იდეოლოგია და ამიტომ ცდილობს  
თავისი კლასის გაუბედვრ მოთხოვნებთან ერთად თავის ფალოსოფიაში  
მოგვეცეს არსებული პრუსიული სინამდვილის გამართლებაც. სწორედ ამ მიზანს  
ემსახურება ჰეგელის მიერ პრუსიის კონსტიტუციური მონარქიის გამოცხადება  
განხორციელებულ იდეალად.

<sup>20</sup> Маркс, Энгельс, Соч., т. 18, стр. 272.

<sup>21</sup> გ. ინწკირველი, „სახელმწიფო და სამართლის თეორია“, თბ., 1964, გვ. 78.



დანიისა ზუმაჰაჰი

დიონისე არეოპაგელი და დანტე ალიგიერი<sup>1</sup>

I

დიონისე არეოპაგელის მსოფლმხედველობისათვის. „ნუ გაცოდები, რომ შეიძლო შეიღმა სოფლისამ ჭეშმარიტების მისტიურის აგრე ჩაწვდენა“. (სამოთხე, ქ. XXVIII, 136—137)<sup>2</sup>.

წერს დანტე ალიგიერი დიონისე არეოპაგელზე. ვინ იყო ეს იდუმალი კაცი, — მისტიკურზე აზროვნებით მისტიკურადვე შემოსული მთელ ევროპაში ესოდენი მძლავრებით რომ მიიქცეოდა მთელი შუა საუკუნეების სპირიტუალურ ძარღვებში და იდუმალისაყენ ეწეოდა მთელ დედამიწას, — დღემდე საიდუმლოდ არის დარჩენილი.

დიონისე იქცა შუა საუკუნეთა უჩინარი სათავის მფლობელ და თავადაც იდუმალ და უხილავ შადრევანად, რომელიც საოცრად აგნებდა დადებული სულის ტერფებს, იკვლევდა ყველა მაღალი სულის კარს და ამოსჩქეფდა ყველგან, რათა შემდეგ თავისი შადრევანის უმაღლესი ხელებით აესროლა ისინი ყველაზე იდუმალი, ყველაზე შეუღწეველი და ყველაზე დიდებული წალოტების ყოფიერებაში. იგი შემოვიდა მზის სინათლეზე სხვისი მოსახამით და ნიღბით და წავიდა ისე, რომ საუკუნეთა მანძილზე იდუმალად დატოვა თავისი გადაჭროლა და მიმოქცევა. ცნობილია, რომ პლოტინი მალავდა თავს, მალავდა დაბადების ადგილსა და მშობლების ვინაობას, არავის აძლევდა თავისი დანატვის უფლებას და ამგვარი საქციელითაც ადასტურებდა საკუთარი სხეულებრივი არსებობის გმობას. მას რცხვენოდა, რომ ჰქონდა სხეული და ებრძოდა მას როგორც პლოტინუსი ვიღაც გაუცხოვებულსა და საზიზღარ არაპლოტინუსს. მიუხედავად ამ მძვინვარე ამბოხისა თავისი სხეულებრივი არსებობის მიმართ, მიუხედავად ამდენი მალვისა, დღეს ჩვენ ასე თუ ისე ვიცით პლოტინის დაბადების ადგილიც, დროც და მშობლებიც; გვაქვს მისი სურათიც, რომელიც შეფარვით დახატა მისმა ერთ-ერთმა მსმენელმა იტალიაში; ვიცით მისი ლეგენდარული მასწავლებელი და მისი მოწაფეები. დიონისემ კი ფარვის საოცარი ხელოვნება შექმნა. მან ისე დაიფარა თავი, რომ დღემდე არ ვიცით მისი ნამდვილი სახელი, მისი ნამდვილი ეროვნება და საუკუნეც კი. იგი მართლა ზეციდან ჩამოსულივით მოგვევლინა თავისი ნაწერებით. სიცოცხლეშივე უარყოფელი თავისი ამქვეყნიურისა და ამქვეყნიურში იმქვეყნიური ძალითა და იდუმალეობით მოარსებე. მართლაც მისტიკური ხელოვნებით შეეფარა იგი ყველასათვის კარგად ცნობილი ქრისტიანი მოღვაწის, პირველი ათენელი ეპისკოპოსის —

<sup>1</sup> შრომა შესრულებულია 1970 წელს.

<sup>2</sup> დანტე ალიგიერი, „ღვთაებრივი კომედია“, თბ., 1941 (თარგმნეს — კ. გამსახურდიამ და კ. ჭიჭინაძემ).

დიონისე არეოპაგელის სახელს<sup>3</sup> და თავისი ბიოგრაფია საძიებელი გავიხილა ნაწილებში, რომელნიც ამქვეყნიურ სიცოცხლეს ფაქტიურად არ ეხებოდა: „მისტიკურ თეოლოგიაში“, „ღვთაებრივ სახელებში“, „ზეციურ იერარქიასა“ და „საეკლესიო იერარქიაში“<sup>4</sup>.

დიონისე არეოპაგელის სახელის „ფსევდონიმად“ არჩევა ტრაქტატების ავტორის მიერ, საკუთარი პიროვნების გაიდუმალების გარდა უნდა ჰფარავდეს სხვა საიდუმლოსაც. ერთი კი ცხადია: საიდუმლოებამ თავისი მისია ბრწყინვალედ შეასრულა. იგი მოქმედებდა საუკუნეებში, წყვილადში გასროლილი განათებული ისარით და ზუსტად ზედებოდა მიზანში ამოღებულ სულებს. დიონისე არეოპაგელის სახელთან დგას მთელი სპირიტუალური ლაშქარი. „მე-9-დან მე-17 საუკუნემდე, — წერს ეველინ ანდერჰილი, — არეოპაგელის შრომები ჰყვებოდნენ ყველაზე სპირიტუალური ინტუიციების ადამიანებს და აფლობდნენ ავტორიტეტს, რომლის წარმოდგენაც ახლა ძნელია“.

მიუხედავად დიონისეს ესოდენი მნიშვნელობისა და მისი საყოველთაო აღიარებისა, ევროპის უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიის ისტორია — ჰეგელის ფილოსოფიის ისტორია — არეოპაგეტიკის ვარემე დაიწერა. ჰეგელა როგორღაც დარჩა ვილაც გერმანელი გამომცემლის ცნობის ანაბარა, რომელიც დიონისე არეოპაგელს მოიხსენიებს როგორც „პლატონური შემოღობი ნაწარმოებების“ ავტორს, რომლის გამოკვლევაც მაინცა და მაინც არა ღირდა. „ყოფიერების საიდუმლო უკეთესად გაიგო პოეტმა ჰოლდერლინმა, ვიდრე — ფილოსოფოსმა ჰეგელმა“, — წერს მარტინ ჰაიდეგერი. მოგვიტევოს მკითხველმა ასეთი განაცხადი, მაგრამ ყოფიერების საიდუმლოს არაეინ მისწვდენია ისეთ სიმალღებებზე, როგორზედაც მისწვდა დანტე ალიგიერი, რომელმაც „ზეციური იერარქიის“ ავტორი „შუქურად დასახა“. მეოთხე ცაზე — მზის ცაზე, ბრწყინვალე სულთა გვერდით მოათავსა და თავისი პოეტური ხილვის ზეციური იერარქია, — როგორც თვითონვე აღნიშნავს, — „ზეციური იერარქიის“ ავტორის ნააზრევს დააყრდნო.

დიონისე არეოპაგელი პლატონიკოსთა შორის ჰეშმარიტი პლატონიკოსია და ნეოპლატონიკოსთა შორის ჰეშმარიტი ნეოპლატონიკოსი. არის ერთი გარეგნული დიდი განსხვავება პლატონის დიალოგებსა და დიონისე არეოპაგელის ტრაქტატებს შორის. პლატონის დიალოგები საყოველთაოა ისევე როგორც სასარება და ბიბლია, მაგრამ ეს საყოველთაო კუთვნილება არ ნიშნავს მის აბსოლუტურ საყოველთაოობას: ბევრი რამ პლატონთან ამ საყოველთაოს უკან არსებობს როგორც შეფარული და სპეციალურ სულიერ მომზადებას საჭიროებს, ამიტომ ყველასათვის მისაწვდომია მხოლოდ გარკვეული დოზით; ჩვენამდე

<sup>3</sup> დღეისათვის ფაქტიურად გადაწვეტილია აზრი, რომ ტრაქტატები მე-4 საუკუნეს ეკუთვნის და I საუკუნის ათენელი ეპისკოპოსის სახელი — ავტორად ცნობილი დიონისე არეოპაგელი ფსევდონიმია მე-4 საუკუნის უცნობი მოაზროვნისა. ეს აღმოჩენა დღეისათვის სალექსიკონო ჰეშმარტებად არის მიჩნეული. (იხ. Karl Heussi, Kompendium der Kirchengeschichte, Berlin, 1958. და სხვ.).

<sup>4</sup> ათენელი ეპისკოპოსის ბიოგრაფიისათვის შემდგომ საუკუნეებში სარგებლობენ „ფსევდონიმის“ ტრაქტატებით, რის გამოც საუკუნეების განმავლობაში სრული გუგუბრობა სუფევს. დანტესთვის დიონისე არეოპაგელი — „ზეციური იერარქია“ ავტორი — დარჩა პირველი საუკუნის დიონისედ.



მოდწეული პლატონის დიალოგებიდან ყველა თავის წილს იღებს. მითიურ საბურველში შეზღუდული მრავალი აზრი პლატონისა შეუზღუდელი და მიუკარგებელი რჩება მოუმზადებელი მკითხველისათვის; აზრითი საიდუმლოება წმინდათა-წმინდა და შეუძლებელია მისი დაუწმინდავი თვალებით შერყენა, საიდუმლოს საიდუმლოდ შენახვის ამ პრინციპში სახარება ეყრდნობა აზრს: „ნუ მისცემთ სიწმინდესა ძალსა და ნუ დაუყრით ღორთა მარგალიტთა“. საუკუნეების განმავლობაში ეკარებოდნენ პლატონს ბიწიერი ხელებით, — როგორც აღნიშნავს ჰეგელი, — და შეჰქონდათ თავიანთი ბიწიერი წარმოდგენები. პლატონის წინასწარმეტყველური სტილი საჭირო იყო მისი მოძღვრების გულის გადასარჩენად ამ ბიწიერი ხელებისა და თვალებისაგან და პლატონმა გადაარჩინა კიდევ თავისი დიალოგები მათი საიდუმლო ფარდებით. ამიტომ აღნიშნავს ჰეგელი პლატონის დიალოგების ერთ-ერთ არსებით სიძნელედ მათს დაფარულ ხასიათს, მათი ისეთივე ამოკითხვის აუცილებლობას, როგორც სჭირდება ბიბლიურ სიმბოლოებს; არც ერთ სხვა ფილოსოფოსს ეს სიძნელე არ ახასიათებს, ამიტომ საუკუნეებს ეყო პლატონის დიალოგების წიაღი ჩასაღრმავებლად და საძიებლად.

დიონისე არეოპაგელის ტრაქტატები ბერძნული ფილოსოფიის დასასრულის ეპოქას ეკუთვნის. ეს არის იგივე პლატონის დიდი მემკვიდრის — დიალოგის პროკლეს საუკუნე, როცა, — ჰეგელის სიტყვებით რომ ვთქვათ, — პროკლესთან ერთად ესვენება ანტიკური ფილოსოფიის შუცე; შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ეპოქა, როცა ადამიანის აზროვნების ანტიკური სტილი მთავრდება და ფილოსოფიაში როგორც ცნებით აზროვნებაში იწყება ახალი, ბევრად უფრო ნატიფი ლოგიკური სტილი; ჰერაკლიტეს წინასწარმეტყველური ბუნდოვანება, ნისლოვანი ფილოსოფიური მეტყველება იცვლება პროკლეს, უკანასკნელი მავიური ფილოსოფოსისა და პიროვნების მათემატიკურად ზუსტი, შეიძლება ითქვას, — „მოქმანცეველად“ ზუსტი ცნებითი მეტყველებით (მხედველობაშია „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“). ამ მხრივ დიონისე არეოპაგელის ტრაქტატების სტილი სრულიად განსხვავდება პროკლეს მათემატიკურად მკაცრ სტილს. დიონისე ისევ პლატონურად პოეტურია, ზშირად — ღვარჭინილი. ამაღლებული და ლოცვითი. ლოცვითი განწყობილება, შეიძლება ითქვას, რომ არსებითი ნიშანია დიონისე არეოპაგელის მეტყველებისა. ეს არ არის ჩვეულებრივი სპეკულატური მოაზროვნის ნაწერები, იგი რელიგიური ექსტაზიდან ღაბრუნებული კაცის განსჯითი დღიურებია და მის სიტყვას ყოველ წუთს ახლავს იმქვეყნიური სურნელი. ზოგჯერ რაღაც გაურკვეველი და ბუნდოვანი წყობა მისი ემპირიული მეტყველებისა, თავის უკან მალავს მოაზროვნის — ჯერ კიდევ ექსტაზში მყოფის — ბუნდოვანებას და ნათელმზილველის მოხეტიალი ტემპერამენტით ემპირიულ სიტყვებში ჩადგომის უცხოობას; ეს არის რელიგიურისა, პოეტურისა და ნათელმზილველური ექსტაზის, შეიძლება ითქვას, საოცარი მოლიანობა. ვინმე გერმანელი პედანტი გამომცემლის თვალში, რა თქმა უნდა, დიონისე არეოპაგელის ტრაქტატები იქნებოდა „მოდღვარე პლატონური თხზულებები“.

ამრიგად, დიონისესთან შენარჩუნებულია ანტიკური პოეტურობა და მითიურ-სიმბოლური აზროვნება, მაგრამ სრულიად ახალ ხარისხშია აყვანილი მისი რელიგიურობა და მისი ნათელმზილველური მეტყველება. მიუხედავად სტილის ესოდენი სირთულისა, დიონისე არეოპაგელი სრულიად ნათლად ეხება და განსჯის იმ შეფარულს, რაც პლატონის დიალოგებში არსებობს როგორც



ჩვეულებრივი მკითხველისათვის მიუწვდომელი. პლატონის უღრმესი შრეები დიონისეს პირველ პლანს წარმოადგენენ, დიონისეს საგანია ცოდნის ამ დაფარული შრეების განმარტება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს დიონისემ საყოველთაოდ აქცია ის, რაც პლატონისთვის არ იყო საყოველთაო. ამ საიდუმლო პრობლემებზე მისი მსჯელობა საერთოდ საიდუმლო ნაწერებად წარმოგვიდგენს მის ტრაქტატებს და განკუთვნილია განსაკუთრებულ პირთადმი რჩევა-დარიგებებად; ეს დარიგება საიდუმლო ცოდნათადმი ზიარებაა და, ფაქტიურად, საყოველთაო საკუთრებას მოკლებულია როგორც ხელთდამსხმელის ხელთდასხმით შეგონებანი. ასე, რომ, განსხვავებით პლატონის საყოველთაო დიალოგებისაგან, დიონისეს ტრაქტატები საიდუმლო მონოლოგებია. რამდენადაც ამ მონოლოგებს საიდუმლო წერილების ხასიათი აქვს, შეიძლება ვთქვათ, რომ არეოპაგიტული ტრაქტატები საიდუმლო ეპისტოლარული მონოლოგებია. მათი გამხვევა სრულიად მოუხმადებელ აუდიტორიაში, რომელიც არ არის დიონისეს ტრაქტატების მისამართი, ერთგვარი ეთიკური დანაშაულიცაა.

თანამედროვე ფიზიკაში არსებობს ერთი უჩვეულო მოვლენა, რომელიც იმდენად არის უჩვეულო, რამდენადაც ჩვეულებრივი ადამიანური თვალთ ეყურებთ მას და რამდენადაც ფიზიკაში ფიზიკოსებად ვრჩებათ: ეს არის ობიექტისა და მისი საკვლევი ხელსაწყოების საკითხი უღრმესი ატომური პროცესების სფეროში<sup>5</sup>. თანამედროვე ფიზიკა მივიდა ისეთ არაწმინდა ფიზიკურ მოვლენებთან, რომ ჩვეულებრივი ფიზიკური აპარატურით მათი კვლევა აღარ იძლევა ზუსტ შედეგებს: ჩვენი (ადამიანური) ფიზიკური აპარატურა, თვითონ ხელსაწყოები ეკუთვნიან სხვა ფიზიკურ სამყაროს (კლასიკური ფიზიკის კანონებით არიან აწყობილი), ხოლო მათი საკვლევი სფერო არ ემორჩილება იმავე კლასიკური ფიზიკის კანონებს. შეიძლება ზუსტი ანალოგიით ითქვას, რომ როგორც პლატონის ფილოსოფიის მთელი რიგი საკითხების, ასევე არეოპაგიტურის საკითხების კვლევა შეუძლებელია წმინდა ფილოსოფიური, განსაკუთრებით — სპეკულატიური აპარატურით. სპეკულატიური ხელსაწყოები ვერ აღწერენ მოვლენებს იმ სპეკულატიურ დონეზე, რომელსაც მოითხოვს სპეკულატიური ფილოსოფია და ასეთი აღწერა არაზუსტია.

არეოპაგიტურა ისევე, როგორც პლატონური სიბრძნისმეტყველება, უფრო რთული მოვლენაა, ვიდრე — ფილოსოფია (ამ სიტყვის ევროპული გაგებით, რადგან ევროპული ფილოსოფია ანტიკური გაგებით აღარ არის ფილოსოფია და მხოლოდ ფილოსოფიური მეცნიერებაა, არეოპაგიტული და პლატონური სიბრძნისმეტყველება ფილოსოფიური აზროვნების ფარგლებში არ თავსდება. იგი როგორც ფილოსოფია არსებობს თეოლოგიასა, თეოსოფიასა, პოეზიასა, მითოლოგიასა და რელიგიასთან ერთად. ამიტომ არეოპაგიტურის როგორც ფილოსოფიის კვლევა მოითხოვს რელიგიურ-თეოსოფიურ, პოეტურ-მითოლოგიურ და სხვა „ხელსაწყოებს“.

დიონისე არეოპაგელის შესწავლა, ჩვენი აზრით, ისევე როგორც ყველა ნეოპლატონიკოსისა, უშუალოდ თავის პირველმსწავლებელთან მიმართებაშეადარებაში და მისგან გამომდინარეობაში უნდა მოხდეს. ამიტომ, სანამ უშუ-

<sup>5</sup> იხ. Werner Heisenberg, *Physics and Philosophy*, New-York, 1958, რუს. თარგმ. Гейзенберг В., *Физика и философия*, М., 1965, გვ. 34.



ალოდ ამ შედარება-გამომდინარეობას შევუღლებოდეთ, კიდევ ერთი წიაღსვლა გვინდა გვაკეთოთ ბერძნულ მითოლოგიაში და დიონისე არეოპაგელის კვლევა „დიონისურის“ დაბადებით დაეიწყოს.

ღმერთისა და ადამიანის შვილია ღვინისა, თრობისა და სინათლის ღმერთი, დიონისე: ყოვლისშემძლე ზევსისა და თებეს მეფე კადმოსის ასულის — სემელეს შვილი; მისი დაბადება უკავშირდება ზევსის გამოცხადებას სემელესთან წმინდა და ნამდვილი სახით. ამ მითში ყურადღებას იპყრობს სწორედ ზევსის სხვადასხვა სახით გამოცხადების შესაძლებლობა<sup>6</sup>.

ზევსის სიდიადის მითოლოგიურ ასახვაში მოცემულია ღვთაებრივი ნათელის თვალშეუღვამობისა და საშინელი ყოვლისშემძლეობის იდეა; უფრო მეტი: აქ გატარებულია აზრი, რომ ზევსის ღვთაებრივი არსების ხილვა მოკვდავის თვალებით შეუძლებელია და მისი ძალის აღქმა იმდენად ალემატება ადამიანის შემძლეობას წმინდა ღვთაებრივი დამაბრმავებელი ნათელის ხილვისას, რომ ადამიანი იღუპება ამ ხილვით. ფაქტურად ეს ისევე შეუძლებელია, როგორც — ამქვეყნიური სხეულით შესვლა სამოთხეში; ამიტომ იმქვეყნიური ძალის გამოცხადებამ ზევსის სახით, სხეული შემოსწვა სემელეს და ამ ღვთაებრივი შუქით დამწვარი სხეულიდან გამოწიშვლებული იბადება ღმერთი დიონისე. არის რაღაც შეუცნობელი დიდი სხვაობა ზევსის იმ სახესა, რომელიც არსებობს ადამიანისათვის, რომელსაც მრავალმხრივ უკავშირდება ადამიანი და იმ სახეს შორის, რომელიც არსებობს თავისთავად, თავისი წმინდა სახით, მთელი თავისი დიდებულებით და რომელსაც უკავშირდებიან მხოლოდ ღმერთები. ეს იციან ღმერთებმა და არ იციან ადამიანებმა. ეს შეუცნობელი სხვაობა არსებობს ოლიმპის ყველა ღმერთის სახეში, ზევსისა და მისი ქალ-ვაყების მთელ ოლიმპურ პანთეონში. ზევსის ის არსება, რომელიც ურთიერთობაშია სხვა ღმერთებთან, განესხვავება იმ სახეს ზევსისას, რომლითაც უკავშირდება იგი ადამიანებს; ღმერთთა ღვთაებრივი სახეებისა და ღმერთთა მიწიერი სახეების ანდა ზეცილსაყენ ამზერი აღმპირისა და მიწისკენ დამწერი დაღმპირის ეს მითოლოგიური სხვაობა არსებითი პრობლემა ხდება პლატონის იდეათა მოძღვრებაში, ხოლო ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თვალთახედვაში წვდომის მიზნად იქცევა თავად ამ ღვთაებრივ, დამაბრმავებელ, მიუწვდომელ აღმპირთა, ზეციურ პირთა ბუნება. დიონისე არეოპაგელი გვევლინება იმ თვალშეუღვამ ღვთაებრივ სახეთა მოტრფედ, რომელთა ხილვა ადამიანური თვალთ შეუძლებელია. მშენადაც მთელი თვალებით იგი შეუპოვრად არღვევს ღვთაების ყოვლისშემძლეს რეალ ძალთა სინათლევებს, სწორედ იმ ზეციურ სახეთა გონის-დამკარგვე ბრწყინვალეობასა, და მიუღწეველ წიაღებში მიემართება და უკვე ქრისტიანული მშერით, ახალი ადამიანური მშერით, რომელიც იმდენად ღვთაებ-

6 ამ შემთხვევაში არ გვინტერესებს დიონისეს დაბადების მითოლოგიური ვარიაციები. მოგვყავს მითი ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ მახედვით: დღამა ქალღმერთმა ჰერამ შეიძულა სემელე, მისი დალუქვა განიზრახა; ამიტომ მოველინა მას და შთააგონა, რათა ზევსისათვის ეთხოვა, რომ გამოცხადებოდა იგი სემელეს მთელი თავისი სილადით: როგორც ღმერთი-მგებთამტყორცხელი, როგორც ოლიმპის მბრძანებელი; თუ მართლა უყვარხარ, ამ თხოვნის შესრულებაზე უარს არ გეტყვისო. ზევსს არ შეეჩლო უარის თქმა, რაჟი სტიქსის წყალი დაიფიცა სემელესთან, გამოეცხადა ქალს მთელი თავისი სიდიადით და ყველაფერი შეარყია თავისი ელვარებით, იწოდა სასახლე: შეძრწუნებული სემელე დეღამიწაზე დაეცა, ცეცხლი წვადა ქალს: მომკვდავი სემელესაგან იშვა დიონისე, — სუსტი და უღლეური ყრმა, — რომელიც ნიწიდან ჯაღონურად წამოზრდილმა სურთო შემოუარა და იხსნა საცქვალისაგან (კუნი, მძ. ბერძნული ლეგენდები და მითები, გვ. 75).

რივია, რომ ღვთაებრივის ყოვლისმწველ ნათებას უძლებს, თავისივე მზერის სხეულიდან როგორც სინათლით დამწვარი სემელეს ამჯერად დაუმწვარი სხეულიდან ბადებს ახალ ღიონისეს — ღიონისე არეოპაგელს — მისტიკური ღვინისა როგორც მისტიკური აზროვნებისა, მისტიკური თრობისა და სინათლეში თრობის ამქვეყნიურ ღმერთს.

როგორც დავინახეთ, ბერძნულ მითოლოგიაში უკვე განსხვავებულია ზევსის როგორც ყოვლისშემძლე ძალის ორი სახე: ღვთაებრივი — ადამიანისათვის მიუწვდომელი და ღვთაებრივი — ადამიანისათვის მისაწვდომი; ამის შესაბამისად განსხვავებულია ორი ცოდნა სამყაროს იდუმალებისა — ღვთაებრივი და ადამიანური ცოდნა. ღვთაებრივის როგორც ადამიანისათვის მიუწვდომელის ცოდნა აქვთ თვითონ ღმერთებს, ხოლო ღვთაებრივის როგორც ადამიანისათვის მისაწვდომის ცოდნა აქვთ ადამიანებს და ამრიგად განესხვავებინან ისინი თავისი ადამიანური ცოდნით ღვთაებრივს. ფილოსოფიაშიც, მითოლოგიურ ენაზე მეტყველების დროს, როდესაც მცოდნისა და ცოდნის, სუბიექტისა და ობიექტის იდეალებს გააიგივებს, ზევსის შესახებ პლატონი შემდგომ იტყვის, რომ იგი არის უმაღლესი სახე გონებისა, რომ იგია უმაღლესი მცოდნეც ყოველივესი და არის თავად ცოდნაც<sup>7</sup>.

ბერძნული მითოლოგია უკვე არის არა მხოლოდ ადამიანის მითოლოგიურ-სახეობრივი აზროვნების ნიმუში, არამედ ნიმუშია აზრის როგორც ზებუნებრივი მოვლენის კერპთაყვანისმცემლობისა. ბერძენთა ღმერთები ღვთაებრივად განსხეულებული აზრითი არსებანი არიან, რომელთაც თავისი მნიშვნელობის გამომხატველი იერი და ნიშან-სიმბოლოები გააჩნიათ; სიბრძნე, სიყვარული, თრობა, სინათლე, სიკვდილი, ხელოვნება, წინასწარმეტყველება და ა. შ. — აი, ის აზრები, რომელნიც ერთი მთავარი აზრის, დედააზრის შვილებად გვევლინებიან და ეს დედააზრი არის მამა ზევსი ანუ მამა-აზრი. სახეობრივად ისინი იბადებიან ზევსის თავიდან, ნეკიდან, ბარძაყიდან და ა. შ. ბერძნულ მითოლოგურა ოლიმპის მთა ისეთივე იდეალური სახეა ღვთაებათა სამყოფლისა, როგორც გოეთეს დედათა ქვეყანაა იდეალური სახე ღვთაებრივი, არარაობრივი და მიუწვდომელი ყოფიერებისა. ბერძენთა ღმერთები არსებობენ მათს რწმენაში, მაგრამ ამ რწმენის საკუთრებას კი არ წარმოადგენენ ისინი, არამედ მიაჩნიათ, რომ მათი რწმენისაგან დამოუკიდებლად არსებობენ ეს ღმერთები, არსებობენ და განაგებენ მათს რწმენასა და ცხოვრებას, რითაც ისინი უშუალო სიახლოვეში არიან ადამიანებთან; ფაქტიურად, მათი ცხოვრებაც უმიზნო იქნებოდა ადამიანებზე ზრუნვის გარეშე; თუ არ იქნება სიბრძნე ამქვეყნად, არც სიბრძნის ღმერთს ექნება ამქვეყნიური სახე და ასპარეზი. თუ არ იქნება ათენი ბრძენთა ქალაქი, არც სიბრძნის ქალღმერთი იქნება ათენელთა მფარველი და, პირიქით, თუ არ იქნება ათენელთა მფარველი სიბრძნის ქალღმერთი, არც ათენელნი იქნებიან ბრძენნი; არც ოდისევსი იქნება გონიერი, თუ მისი შემწე არ იქნება ღმერთქალი ათენა. სიბრძნის ღმერთქალის მფარველობა პიროვნებისა და სახელმწიფოსი არის პირველი მითოლოგიური სახე იდეების საგნებში მონაწილეობისა. ოდისევსის გონიერება ათენას როგორც სიბრძნის

7 ფილ. 28—30. ფილ. 246 E. შტრ. პლოტინის გონის (viii-ის) მითოლოგიური აღგებრია აგრეთვე კრონოსი, პლოტინთან კრონოსზე მაღლა ერთი, როგორც უსასრულობა და ყოფნაზე მაღალი არყოფნა, რომელიც შეესაბამება პლატონისეული ზევსის მიუწვდომელ ანუ აღმასახებობას. პლოტინისთვის სამყაროს გონი ანუ კრონოსი თავისი თავისაგან მზადებს სამყაროს სულს — აფროდიტეს (Enn. III, Lib. V, C. 11).

იდეის მონაწილეობაა რომელიმე ერთეულ საგანში, ხოლო მისადმი თაყვანისცემა ანდა ათენელთა როგორც ბრძენ მოქალაქეთა თაყვანისცემა სიბრძნის ქალღმერთისადმი, მათი „მონაწილეობა“ თავად სიბრძნის მითოლოგიურ იდეაში. ბერძენთა ღმერთები საზრდოობენ ბერძენთა რწმენით; ამასთან და, საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ მორწმუნენი ისევე იკვებებიან „მოწყალეობით“, როგორც ღმერთები იკვებებიან თაყვანისცემით. ოლიმპის ღმერთქალები და ღმერთკაცები იდეათა მითოლოგიური პირველსახეები არიან. სიბრძნის ქალღმერთი ათენა სიბრძნის იდეაა, სიკვდილის ღმერთი — სიკვდილის იდეა, შურისძიების ღმერთი — შურისძიებისა და ა. შ.

**პლატონის იდეათა თეორია.** პლატონის ფილოსოფიური ცეცხლი მითოლოგიურ საბურველს აგლეჯს ღმერთებს, მითოლოგიურ სხეულ შემოსწავს მათ და მისთვის ზევსი კი აღარ იქნება საბოლოოდ გონების უმაღლესი სახე, არამედ — თავად უმაღლესი გონების იდეა. მისთვის აღარ არის საჭირო ათენა სიბრძნის გამოსახატავად, მისი სიბრძნის იდეა უკვე დამოუკიდებლად არსებობს როგორც ცოცხალი, გონითი არსება, რომელსაც წარმოსასახად ადამიანური სხეული არ სჭირდება. ადამიანის აზროვნება აღის იმ სიმაღლეზე, რომ აზრისეულ სახეებშივე სწვდება აზრით მოვლენებს. პლატონისათვის არსებობს უმაღლესი აზრი როგორც ყოვლისშემძლე და ერთი და არსებობს მისი დანაბადი მრავალი აზრი როგორც იდეები; ამასთან, აზრითი არსებობა გააჩნია არა მხოლოდ აბსტრაქტულ მოვლენებს (სიყვარულს, შურისგებას, წინასწარმეტყველებას, თრობასა და ა. შ.), არამედ — კონკრეტულ მატერიალურ საგან-არსებებსაც (მავიდებს, ცხენებსა და ა. შ.), რომელთაც შემეცნებლად ყოფნა არ შეუძლიათ; შემეცნებლებად რჩებიან ადამიანები და ღმერთი. მთელი ხილვადი სინამდვილე, რომელსაც აღვიქვამთ (ვისმენთ, ვეხებით), ე. ი. რომელიც საერთოდ გვეძლევა შეგრძნებაში, — თავის სიღრმეში ფარავს თავისსავე აზრით სახეობას ისევე, როგორც წინასწარმეტყველება, სიყვარული, შურისგება, სიკვდილი ან სხვა რომელიმე მოვლენა მითოლოგიაში გულისხმობს შესაბამისი ღმერთის მასში მოქმედება-მონაწილეობასა და კონკრეტულ ჩარევას. პლატონის ქმნის იდეათა ახალ ოლიმპურ პანთეონს და იდეათა ახალ თაყვანისცემას; მისი სოკრატე არა მარტო მხილველია ამ ღვთაებრივი იდეებისა, არამედ მოტრფილია მათი და ხშირად იგი მსჯელობს იდეაზე როგორც ახლობელ ადამიანსა და მეგობარზე; უფრო მეტიც: იდეა მისთვის რაღაც უფრო ცოცხალია და იმდენად უფრო, რომ ჭეშმარიტი სიცოცხლე, ჭეშმარიტი არსებობა პლატონის ფილოსოფიის ენაზე მიეწერება მხოლოდ იდეას; საგანს, ჭურჭელს იდეისას როგორც იდეის განსხვავებულ, საპირისპირომდე განსხვავებულ ბუნებას, აღარ მიეწერება სიცოცხლე და ის არსებობა, რომელიც მიეწერება იდეას, მის აზრით სახეობას, მის შინაგან საყრდენსა და ხერხემალს. პლატონისავე ენაზე ეს იდეები მხოლოდ სოკრატე მხილველისთვის კი არ არსებობენ, არამედ არსებობენ სოკრატესაგან და ყველა სხვა მხილველისაგან დამოუკიდებლად და ჭეშმარიტი არსებობისა და ყოფნის სამყაროს ქმნიან.

რა დაემართათ ოლიმპის ღვთაებებს? პლატონის ფილოსოფია, შეიძლება ითქვას, ფურისცვალების მატიანა მითოლოგიური ღმერთებისა, რომელთაც დაღმასახენი შემოაკრთათ, იდეალური სამოსელი შემოეძარცვათ, მორწმუნეთა რწმენა როგორც საკვები შემოაკლდათ და დაუძღვრდნენ. გადმოცემის თანახმად, როცა ივლიანე განდგომილის მოგვებმა ოლიმპურ ღმერთთა აჩრდილვების გამოძახება მოაწყვეს მის თვალწინ, თითქოს მათ ჰქონდათ გამოფიტული,

ნატანჯი და საცოდავი სახეები; ისინი თავის იდეალურ არსებობაშივე გარდაიქმნენ ახალ იდეალურ არსებებად, იდეებად სული ჩაიდგეს, იდეებად განახლდნენ ოლიმპიელი ღვთაებანი. სოკრატე — პლატონის ცეცხლოვან აზროვნებაში ცნობიერდება მათი განახლებისა და ადამიანის აზროვნებაში აღმოცენების ფაქტი, სამყაროში მათი არსებობისა და ადამიანის აზროვნებაში მათი გამოვლენის ერთდროული აქტი, მათი ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური არსებობა.

როდესაც სამყაროს — ჩვენს გარშემო არსებული ყოველივე ხილვადის — არსებობის პრინციპად პარმენიდემ თვითონ არსებობა გამოაცხადა თავის წმინდა სახეში, ბერძნული ფილოსოფიის ისტორიაში სამყაროს პრინციპის ნატურ-ფილოსოფიურ სახეობრივ ინტერპრეტაციებს თავისი თავი ამოწურული ჰქონდათ. პარმენიდეს ფილოსოფიით იწყებოდა, როგორც ითქვა, ნამდვილი ფილოსოფია ბერძნული ფილოსოფიის ისტორიაში. „არსებობა“ იყო ახალი „ელემენტი“, ახალი სტოიხეიონური საწყისი ბერძნული აზროვნებისა, გვირგვინი ყველა იმ ელემენტებისა, რომლებიც სამყაროს სუბსტანციურ საფუძველს სახეობრივად ხსნიდნენ: წყლის, ჰაერის, ცეცხლის სახეებში. ამ სტოიხეიონური სახეების ისტორია პარმენიდეში მიაღდა უკვე თავის მწვერვალს და სახეობრიობიდან განთავისუფლებას.

ინტერესს მოკლებული არ იქნება შეუნიშნოთ, თუ როგორია სვლა პარმენიდესეული არსებობისაკენ: თაღისით სამყაროს ერთსაწყისია წყალი; ანაქსიმანდრეთი ეს ელემენტი როგორც პრინციპი, წყალი კი არ არის, არამედ უსასრულობაა; ანაქსიმენეთი — ჰაერი, ჰერაკლიტეთი — ცეცხლი, ანაქსაგორათი — გონება. პარმენიდეს ფილოსოფიურ სარბიელზე ძალაშია აგრეთვე ერთი ელემენტი — ეთერი; ეთერი ისევეა ყველაფერი, როგორც — თაღისისთვის წყალი, და ყველაფერი ისევეა ეთერში, როგორც თაღისისთვის წყალშია ყველაფერი. ანაქსაგორათი ყველაფერი ეთერში იმყოფება, მასში ცურავს და მოძრაობს; ეთერი განიმარტება როგორც ჰაერზე უფრო გამჭვირვალე და უფრო მალე მყოფი ჰაერი, რითაც მისი სუბსტანციური სიმბოლურობა ჰაერზე უფრო ღრმა შრეებს მოიაზრებს. ის, რაც გაიმგვიათებულა და წმინდაა, თბილია; ის, რაც მქიდროა და სქელი, ცივია. ასეთივე დამოკიდებულებაა, ანაქსიმანდრეს აზრით, ჰაერსა და ეთერს შორის (თეოფრასტე. იხ. დილსი); თავისი არსით ეთერი „ცეცხლოვანი ბუნებისაა“ (აეციუსი) და მამოძრავებელი ძალა გააჩნია; ყველაზე სიფრიფანა და წმინდა სახეული კი არის გონება, რომელიც ყველაფერზე მეფობს (დილსი), ე. ი. ეთერზე უფრო წმინდა ანაქსაგორათი არის გონება. ეთერი როგორც სამყაროს სუბსტანციური პრინციპი უკვე მოცემულია წინაფილოსოფიურ ლიტერატურაში — ე. წ. კიკლიური „ტიტანომახით“ (თაღისის გამონათქვამის მსგავსად, რომ ყველაფერი არის წყლისაგან) პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ყოველივე არის ეთერისგან<sup>8</sup>.

ემპედოკლეს ელემენტების სინთეზში უკვე ყველა სახელდებულ ელემენტი მონაწილეობს: ცეცხლი, წყალი, ჰაერი, მიწა, ეთერი; ამ ხუთ ელემენტს ემატება მეგობრობისა და სიყვარულის ძალა როგორც ახალი ელემენტი. ამრიგად,

<sup>8</sup> იხ. სპეციალური გამოკვლევა ეთერის ანტიკური ცნების გავებისათვის: Лосев А. Ф., Античный эфир. Тезисы докладов IV конф. по классич. физ., 1969, Тбилиси. ერთიანი ეთერისადმი როგორც ღვთაებისადმი მიმართულ მეხუთე ორჯერულ ჰიმნში ეთერი წოდებულია ყველაზე საუკეთესო სტიქიად ანუ სტოიქეონად; ამრიგად, ელემენტების იერარქიული წყობა ბერძნულ აზროვნებაში საერთოდ ასე განლაგდება: ცეცხლი, ეთერი, ჰაერი, წყალი, მიწა.

ბერძნულ აზროვნებაში დაგროვდა უკვე ხუთი სუბსტანციური მნიშვნელობის ელემენტი, რომელთაგან თვითეულს საკუთარი განვითარების გზა გააჩნია. პლატონი პირველი იყო, რომელმაც ხუთივე ეს უცნობი დაალაგა ერთად და განმარტა მათი მნიშვნელობა. „წმინდა ღვინოა, — ამბობს პლატონი, — წმინდა ცაშია, რომელშიაც არიან ვარსკვლავნი და რომელსაც ჩვენ ეუწოდებთ ეთერს“. ის, რაც არის ჰაერი ჩვენთვის, ცის მცხოვრებთათვის არის ეთერი. ცის მცხოვრებნი განსხვავდებიან ჩვენგან მზერისა და სმენის სიწმინდით ისევე, როგორც ჰაერი განსხვავდება წყლისაგან და ეთერი — ჰაერისგან. როგორც ვხედავთ, ეთერსა და ჰაერს შორის ისეთივე დიდი სხვაობაა პლატონისთვის, როგორც — ცასა და მიწას შორის. პლატონი ასეთი თანმიმდევრობით ალაგებს ერთგან ელემენტებს: ცეცხლი, წყალი, ჰაერი, მიწა, ეთერი, — და განმარტავს, რომ ცეცხლა ეთერზე მაღლაა. ეთერი — ჰაერზე მაღლა; ცეცხლისაგან არიან უხილავი ღმერთები, ხოლო ეთერისგან — ხილვადი ღმერთები<sup>9</sup>. აქ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაპყროთ ზევსის ჩვენ მიერ ზემოთ შენიშნულ მითოლოგიურ სახეებზე: მის ნამდვილ უხილავ სახესა ანუ ცეცხლოვან სახესა და ადამიანთათვის სახილველ სახეზე ანუ ეთერულ სახეზე; პლატონის ფილოსოფიაში ისინი ვარაუდობიან უხილავი ზევსისა და ხილვადი ზევსის სახეებად, მიუწვდომელი და მისაწვდომი გონების იდეებად.

პირველ ოთხ ელემენტზე მაღლა დგას პარმენიდეთა თვითონ არსებობა: იგი უკვე ყველა ელემენტის საფუძველია, მარადისობის ტოლფასოვანი ცნება გააჩნია მას და ყოველივე ხილვადისა და წარმავლის მიღმა დგას იგი როგორც ჭეშმარიტი რეალობა; მისი არსებობა ყველაფერს მსკველავს, სამყარო როგორც ერთი, როგორც ყოველობა არსებობაა და ამ ერთიანობაში, ერთიანობის ამ მარადიულ „სფეროში“ არ არის დარჩენილი ცარიელი ადგილი არარსებობისათვის. თუ პარმენიდეს ენაზე გადავიტანთ სამყაროს აგებულების თეორიას, შეიძლება ითქვას, რომ სამყარო აგებულია არსებობის ატომებისაგან და ამ ატომებს შორის არ არის ადგილი არარსებობისათვის. არ არსებობს სიცარიელე (τὸ κενόν), ყველაფერი არსებობაში ცურავს, არსებობის მარადიული ატომის უსასრულოდ დიდ სფეროში. ...πῶς ἂν ἔπαυσαυ ἕταυ ἕταυτα;... τὸν ἔταυχῆ; πῶς ἕταυ. ἕταυ ἔπαυ ἕταυ; πῶς ἕταυ; — ყველაფერი ავსებულია არსებულებით... ყველაფერი გქვედლია არსებულთ. არსებული არსებულში (ჩამდარი) და შემსჭილული<sup>10</sup>.

უნდა აღვნიშნოთ, რომ პარმენიდე არა მხოლოდ სამყაროს არსებობისეული ონტოლოგიური პრინციპის შემოტანას იწყებს, არამედ მისი შემეცნების საკითხსაც სვამს. მისთვის არსებული τὸ ἕν, τὸ ἕνα, τὸ εἶναι, des Sein, *бытие*) არის იგივე აზრი, ხოლო არსებობა არის იგივე აზროვნება. არარსებობა არ არსებობს, რადგან არარსებობის გააზრება შეუძლებელია. ამრიგად, პარმენიდეს უკვე შეაქვს არსებობათა ურთიერთმიმართებაში ონტოლოგიური და გნოსეო-

სოციალიზმის ერთ-ერთ ეკონომიურ კანონს სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების კანონი წარმოადგენს. ეს კანონი სოციალიზმის არსიდან გამომდინარეობს, მისი მოქმედება აუცილებელს ხდის დაგეგმვის საჭიროებას, ხოლო სახალხომეურნეობრივი დაგეგმვის დროს შეხედულებაში უნდა მივიღოთ შეგნებულად და გონივრულად გაგებულ და მომარჯვებულ სოციალიზმის სხვა ეკონომიური კანონების მოთხოვნები, მათ შორის, — რასაკვირველია, — ღირებულების კანონისაც. დაგეგმვა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუპირისპიროთ ღირებულების კანონის მოქმედებას; პირიქით, გეგმვაში ისეთი ამოცანები უნდა დაისახოს, რომელთა განხორციელებისათვის საჭიროა ღირებულებითი კატეგორიების როლისა და მაჩვენებლების გადიდება. ეს ეკონომიური მაჩვენებლები და კატეგორიები, პირველ რიგში, სამეურნეო ანგარიშში აისახებიან; იგი გვევლინება ბერკეტად, რომლის საშუალებით შესაძლებლობა იქმნება საგეგმო დაეალებათა შესრულებისა და სოციალისტური მეურნეობრივი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის. რა თქმა უნდა, ღირებულების კანონის მოქმედება გეგმის სოციალისტურ მეურნეობაში პრინციპულად განსხვავდება კაპიტალისტური მეურნეობის პირობებში მისი მოქმედებისაგან. განსხვავებაა როგორც თვისებრივი, ასევე — რაოდენობრივი. ბუ-

ნებრივია, რომ ღირებულების კანონის მოქმედება სოციალიზმის დროს ზღვრებით შეზღუდულია და მისი მოქმედების არე უფრო ვიწროა, ვიდრე ამას აქვს აღვილი კაპიტალიზმის დროს. სოციალისტური მეურნეობის პირობებში სოციალიზმის მიმდინარე და პერსპექტულ გეგმებში გონივრულად უნდა შეირწყას სოციალიზმის ეკონომიური კანონების მოთხოვნებთან და მათ შორის, რასაკვირველია, ღირებულების კანონის მოთხოვნებთან ამ კანონის სოციალიზმის ეკონომიკაში განსხვავებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

სახალხომეურნეობრივი დაგეგმვისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მატერიალური წარმოების მრავალრიცხოვან დარგთა შორის ოპტიმალური პროპორციების და მყარებას და ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებითი სტრუქტურის სისტემატურ გაუმჯობესებას როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, ისე მოკავშირე რესპუბლიკებში და ეკონომიურ რაიონებში. თანამედროვე მეურნეობის გაფართოებისა და გაღრმავების პირობებში ნათელი გაჩნდა, რომ ადრე გამოყენებული დაგეგმვის ტრადიციული მეთოდები, რომელნიც გულისხმობენ მატერიალური ბალანსების და სახალხო მეურნეობის ბალანსის გაანგარიშებათა შედგენას, საკმარისი აღარაა ამ პრობლემის შესწავლა-დაგეგმვისათვის. მატერიალურ წარმოებასა და არასაწარმოო სფეროს დარგთა შორის საწარმოო კავშირების შესწავლისათვის საჭიროა არა მარტო უშუალო კავშირების, არამედ მრავალმხრივი არაპირდაპირი კავშირების გამოვლენა და შეფასება, ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს სრული დანახარჯების აღრიცხვას, სათანადო კოეფიციენტების დადგენას და ამის საფუძველზე დარგობრივი კავშირების გაშლილ დახასიათებას და დაგეგმვას. ამ ამოცანის გადასაწყვეტად აღრიცხვისა და დაგეგმვის დარგში ფართო გამოყენება უნდა ჰქონდეს პროდუქციის წარმოებისა და განაწილების დარგთა შორისმა ბალანსმა. სახალხომეურნეობრივი დაგეგმვის პროცესში დარგთაშორისი საგეგმო ბალანსი საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ, თუ როგორ გამოვიყენოთ მატერიალური წარმოების თვითეული დარგის პროდუქტია მატერიალური წარმოებითი დანახარჯების ასანაზღაურებლად, არასაწარმოო მოხმარების, დაგროვებისა და სხვა დანიშნულებისათვის; ეს გაანგარიშება გრაფიკულად გამოიხატება ჰიდრაქისებური ცხრილების სახით, რომლებშიაც ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზების გადაკვეთით ისაზღვრება გაწეული ხარჯების ოდენობა და მათი მიღების წყაროები. ამევე დროს, დარგთაშორისი ბალანსი საშუალებას გვაძლევს აღვრიცხოთ და დავეგეგმოთ ერთობლივი საზოგადოებრივი ღირებულებითი სტრუქტურა: მის შესაქმნელად გაწეული მატერიალური დანახარჯები (C), შრომის ანაზღაურება (V) და ზედმეტი პროდუქტი (M). რა თქმა უნდა, ეს და კიდევ სხვა მრავალი უპირატესობა დარგთაშორისი ბალანსისა, მისი დანერგვა სახალხომეურნეობრივი დაგეგმვის პრაქტიკაში აღიღებს გეგმის მეცნიერული დასაბუთების ძალას და ხელს უწყობს სახალხომეურნეობრივი პროპორციების გაუმჯობესებასა და ოპტიმიზაციას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახალხო მეურნეობის დაგეგმვის გაუმჯობესების ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას გეგმების ოპტიმიზაცია წარმოადგენს. საგეგმო მაჩვენებელთა ოპტიმიზაცია საჭიროებს დაგეგმვაში მათემატიკური მეთოდების გამოყენებას, რაც გამოთვლითი ტექნიკის დანერგვისას ეკონომიური მოვლენების მოდელირების საშუალებას გვაძლევს, ხოლო მოდელირების სა-

ფუძველზე შესაძლებელი ხდება ძირითად მონაცემთა ალგორითმიზაცია, პროგრამირება და, საბოლოოდ, ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების საშუალებით სახალხო მეურნეობის პრობლემების სხვადასხვა ვარიანტების შემუშავება და მათი შერჩევით ოპტიმალურ გადაწყვეტილებათა მონახვა.

რას გულისხმობს მოდელირება? მოდელირება მოასწავებს სახალხო მეურნეობაში მოქმედი რეალური შეფარდების გამოვლენას, მათი ურთიერთგავლენის ზომისა და მნიშვნელობის დადგენას. მოდელირება საშუალებას იძლევა სახალხო მეურნეობის დაგეგმვის პროცესში დაგეგმვის სხვადასხვა საფეხურზე და მეურნეობის სხვადასხვა რგოლში დაისახოს მეურნეობის ზრდის რეალური ტემპები და პროპორციები როგორც მთელი კავშირის მასშტაბით, ისე მოკავშირე რესპუბლიკებისა და ეკონომიური რაიონების მიხედვით. ჩვეულებრივ, განარჩევენ მაკროეკონომიურ, მიკროეკონომიურ და დარგობრივ მოდელირებას.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის პროგნოზული მაკროეკონომიური მოდელირება გულისხმობს მატერიალური წარმოების დარგების განვითარების დაგეგმვას საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საზოგადოების განკარგულებაში არსებული მატერიალური, შრომითი და სხვა რესურსების ეფექტური გამოყენების გათვალისწინებით; ეკონომიკური პროცესების ასეთი მოდელირება გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული: პირველი და მთავარი სიძნელე ისაა, რომ საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილება საჭიროებს წარმოების ზრდას, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, როგორც კ. მარქსი გვასწავლის, სათანადო საგანთა მოთხოვნილებას წარმოშობს; აქ კავშირი დიალექტიკურია — მოთხოვნა იწვევს წარმოებას, ხოლო წარმოება ბაღებს მოთხოვნას. მოთხოვნილების დაკმაყოფილება ისეთ საჭიროებებს ითვალისწინებს, რომელნიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი პროდუქტის გაფართოებულ კვლავწარმოებას, მისი ძირითადი საწარმოო ფონდებით შევსებას, განახორციელებს მოდერნიზაციას და ტექნიკურ გადახალისებას; ამავე დროს, გათვალისწინებულია მოსახლეობის პირად მოთხოვნილებათა შესაძლებლობისდაგვარად სრული დაკმაყოფილება. თავის მხრივ, საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება დამოკიდებულია იმ ძირითად სახალხო მეურნეობრივ პროპორციულობაზე, რომელსაც მატერიალური წარმოების დარგთა განვითარების წინასწარ შემუშავებული ჰიპოთეზა ითვალისწინებს; ეს, უპირველეს ყოვლისა, არის საწარმოო ფონდების ზრდა, კაპიტალურ დაბანდებათა მზარდი მოცულობა დაგროვებისათვის გამოყენებული ძირითადი ფონდების დატვირთვისა და მოხმარების ეფექტიანობის გადიდების გათვალისწინებით, საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა მოსახლეობის რიცხოვნობისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ვარაუდით. მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების ამოცანების გათვალისწინება მოითხოვს მრავალ ფაქტორთა მოქმედების მნიშვნელობის დადგენას, მათი ეფექტიანობის ზომის განსაზღვრას და, რაც მთავარია, ურთიერთზეგავლენის ზუსტ ადრიცხვას. სწორედ ურთიერთმოქმედებისა და ზემოქმედების ფაქტორთა განსაზღვრის სირთულე, ამ ფაქტორთა მრავალიცხოვნობა და, თავის მხრივ, ბევრი პირდაპირი და არაპირდაპირი მოქმედი პირობების გათვალისწინების საჭიროება მოითხოვს მოდელირების პროცესში მათემატიკური მეთოდების გამოყენებას და, საბოლოო ანგარიშში, ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანებით სარგებლობას. ყველა ამ ფაქტორის ურთიერთ-

ზემოქმედების ზომის გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს ავსახოთ ისეთი მაკროეკონომიური მოდელი, რომელიც გამოსავალ მაჩვენებელთა სახით განსაზღვრავს ეროვნული შემოსავლის მოცულობას, მის განაწილებას მოხმარებისა და დაგროვების ფონდად, საწარმოო ფონდებისა და კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობას, შრომითი რესურსების რიცხოვნობას და მათს ეფექტურ გამოყენებას. მაკროეკონომიური მოდელის საფუძველზე უნდა განისაზღვროს მრეწველობის სხვადასხვა დარგების განვითარების ტემპები და პროპორციები; ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დარგთაშორისი კავშირთა თეორიის დამყარების საჭიროებასთან, რომელიც უზრუნველყოფს მათს პროპორციულ, უმტიკონენტულო განვითარებას. ყველა დარგიდან საბოლოო პროდუქტის მისაღებად თანამედროვე პირობებში ამ გაანგარიშებათა მთავარ საშუალებას პროდუქციის წარმოებისა და განაწილების დარგთაშორისი ბალანსის შედგენა წარმოადგენს.

ბუნებრივია, მაკრო და მიკრომოდელირება უნდა ჩატარდეს არა მარტო მთელი ქვეყნის მასშტაბით, არამედ ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვითაც; რა თქმა უნდა, იმ თავისებურების მხედველობაში მიღებით, რომელიც ამ შემთხვევაში წარმოიშობა.

როგორც ცნობილია, მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკა თავის ფარგლებში სრულად დაბალანსებული არ არის; საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში შექმნილი ეროვნული შემოსავალი მნიშვნელოვან წილად საერთო-საკავშირო ფონდში შედის, ხოლო რესპუბლიკაში გამოიყენება სსრ კავშირის ეროვნული შემოსავლის ნაწილი როგორც მოხმარებისათვის, ისე — დაგროვებისათვის იმ პროპორციების შედეგად, რომელიც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებით (მიმდინარეთი და პერსპექტიულით) განისაზღვრება. ამიტომ მაკროეკონომიური მოდელირება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიმართ გულისხმობს არა მარტო შექმნილი ეროვნული შემოსავლის დაგეგმვას, არამედ, — აგრეთვე, — რესპუბლიკაში გამოყენებული ეროვნული შემოსავლის დაგეგმვასაც.

სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სრულყოფისა და მეცნიერული დასაბუთების ღონის ამალგების ერთ-ერთ მოთხოვნას გ რ ძ ე ლ ვ ა დ ი ა ნ ი პ ო გ ნ ო ზ ი რ ე ბ ა შეადგენს. წლიური და ხუთწლიანი გეგმების შედგენისას აუცილებელია ვიხელმძღვანელოთ გრძელვადიანი პერიოდისათვის (10—20—25 წწ.) დასახული პროგნოზებით, ვინაიდან ხუთი წელი საკმარისი როდია მრავალ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემათა გადასაწყვეტად. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს, როდესაც იგი სკკპ XXIV ყრილობაზე აღნიშნავდა: „დაგეგმვას საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის, სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა ზრდის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პროგნოზები; ასეთი მიდგომით, რომელიც უზრუნველყოფს გრძელვადიანი გეგმებისა და წლიური გეგმების მუდმივ დაკავშირებას, უფრო ეფექტიანად შეიძლება გადაიჭრას ჩვენი განვითარების ძირეული პრობლემები“<sup>5</sup>.

სახალხო მეურნეობის მიმდინარე და პერსპექტიული დაგეგმვა დირექტიული ხასიათისაა. სახალხო მეურნეობის განვითარების წლიური და ხუთწლიანი გეგმების მაჩვენებლები საკანონმდებლო წესით ფორმდება და კანონის სახით დამტკიცებისას დაიყვანება უშუალო შემსრულებლამდე (საწარმო, მშენებლო-

<sup>5</sup> სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971, გვ. 85—86.





საქართველოს  
მეცნიერებათა  
აკადემია

ბა, ადმინისტრაციული რაიონი, საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა და სხვ.). ამ მხრივ გრძელვადიანი პროგნოზი განსაკუთრებულია: იგი არ ატარებს დირექტიულ ხასიათს, მის მონაცემებს სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვთ პერსპექტიული და წლიური გეგმების შედგენისას, იგი მათი საფუძველია. სახალხო მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი პროგნოზირება წინასაგეგმო მუშაობაა, იგი ხუთწლიანი და წლიური გეგმების შედგენამდე უნდა სახვედეს შორეულ ამოცანებს. პროგნოზირება მეცნიერულად დასაბუთებული განჭვრეტაა, რომელიც ითვალისწინებს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართო გამოყენებას. ასეთი პროგნოზი ორიენტირებას გვაძლევს დროის გარკვეულ მონაკვეთში ძირითად სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემათა გადაწყვეტის შესაძლებლობათა შესახებ.

ვიდრე საქართველოს სახალხო მეურნეობის ხანგრძლივი პროგნოზირების შესახებ გამოთქვამდეთ ზოგიერთ მოსაზრებას, საჭიროა მოკლედ შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება რესპუბლიკის ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობაზე, რაც, უდავოდ, ამოსავალ საფუძვლად უნდა დაედოს მეურნეობის განვითარების პროგნოზირებას. ამასთან დაკავშირებით, მოკლედ მიმოვიხილოთ ეროვნული შემოსავლისა და სახალხო მეურნეობაში შრომითი რესურსების გამოყენების მაჩვენებლები. როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ ეროვნული შემოსავალი სისტემატურად იზრდება და ამავე დროს უმჯობესდება მისი დარგობრივი სტრუქტურა. ნათქვამის ნათელსაყოფად დავასახელოთ ზოგიერთი ციფრობრივი მონაცემი: ეროვნული შემოსავლის ზრდა შესაძარ ფასებში 1969 წელს შედარებით 1960 წელთან შეადგინს 175%-ს; ამასთან, ეროვნული შემოსავლის უპირატესი გადოდება მიღწეულია მრეწველობისა და მშენებლობის ხარჯზე. აუცილებელია მხედველობაში მივიდეთ, რომ საქართველოში შექმნილი ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპი ჩამორჩება როგორც სსრ კავშირის მაჩვენებლებს მთლიანად, ისე — უმეტესი მოკავშირე რესპუბლიკისასაც<sup>6</sup>: სსრ კავშირის ეროვნულმა შემოსავალმა 1969 წ. ფაქტიური ფასებით 1960 წელთან შედარებით 183% შეადგინა, მრავალ მოკავშირე რესპუბლიკებში კი 200%-ს გადააჭარბა<sup>7</sup>.

საქართველოს სსრ ეროვნულ შემოსავალში მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა 42-43%-ს არ აღემატება, მაშინ, როდესაც სსრ კავშირის ეროვნულ შემოსავალში მრეწველობის პროდუქტია 63,3%-ს შეადგენს. ერთ სულ მოსახლეზე თუ ეროვნული შემოსავლის ინდექსად მივიღებთ ერთს (1,0), მაშინ საქართველოში ეს ინდექსი 0,7-ს არ აღემატება. ხალო ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში იგი მერყეობს 1,1—1,43-ის ფარგლებში. მრეწველობისა და მშენებლობაში შექმნილი წმინდა პროდუქციის ხვედრითი წონა საქართველოში თუმცა სისტემატურად იზრდება, მაგრამ მისი ზრდის ტემპი საკმარისი არ არის. აღნიშნულ ვითარებას ასახავს, ავრთვევ, საქართველოში შრომითი რესურსების განაწილება, რაც ნათლად ჩანს ქვემოთმოყვანილი ცხრილიდან.

<sup>6</sup> საბჭოთა საქართველოს 50 წელი, სტატისტიკური კრებული, თბ., 1971, გვ. 241.

<sup>7</sup> Народное хозяйство СССР в 1970 г., ст. с'орник, М., 1971.



საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის განაწილება დარგების მიხედვით (%-ით) (მოსწავლეებისა და სამხედრო მოსამსახურეების გარდა)\*

	1960 წ.	1969 წ.	სსრ კავშირში 1970 წ. <sup>9</sup>
სულ დასაქმებული სახალხო მეურნეობაში . . . . .	100	100	100
მრეწველობაში და მშენებლობაზე . . . . .	23	27	37
სოფლის მეურნეობაში და სატყეო მეურნეობაში (პირადი დამხმარე მეურნეობის ჩათვლით) . . . . .	48	58	27
ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში . . . . .	6	7	8
ვაჭრობაში, საზოგადოებრივ კვებაში მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებასა და გასაღებაში, დამზადებაში . . . . .	5	6	7
ჯანმრთელობის დაცვაში, ფიზკულტურაში და სოციალურ უზრუნველყოფაში, განათლებაში, კულტურაში, ზელოვნებაში, რეკრეაციასა და მეცნიერულ მომსახურებაში . . . . .	12	16	15
სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში, კორპორატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მმართველობის ორგანოებში, საკრედიტო და დაზღვევის დაწესებულებებში . . . . .	2	2	2
სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში (საბინაო-კომუნალური მეურნეობა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება და სხვა) . . . . .	4	4	4

როგორც ციფრებიდან ჩანს, შემდგომ გაუმჯობესებას მოითხოვს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის განაწილება დარგების მიხედვით. უპირველეს ყოვლისა, სსრ კავშირთან შთლიანად და უმრავლეს რესპუბლიკებთან შედარებით, საქართველოში მცირეა მრეწველობაში და მშენებლობაში შრომითი რესურსების დასაქმება. სსრ კავშირში მრეწველობაში და მშენებლობაში დასაქმებულთა ხვედრითი წონა 37%-ს შეადგენს, საქართველოში იგი 27%-ს არ აღემატება, რაც სამრეწველო განვითარების შედარებით დაბალ დონეზე მიგვიჩვენებს. ამ დასკვნას ადასტურებს აგრეთვე ის, რომ, თუ მრეწველობის პროდუქციის ზრდის ტემპი საბჭოთა კავშირში მთლიანად 1969 წელს შედარებით 1940 წელთან შეადგენდა 1097%-ს, საქართველოში — მხოლოდ 760%-ს; ამასთან, საქართველოს მრეწველობის პროდუქციის ზრდის ტემპი მკვეთრად ჩამორჩება ბევრი მოკავშირე რესპუბლიკის ზრდის მაჩვენებლებს<sup>8</sup>.

მეორე გარემოება, რომელიც იპყრობს ჩვენს ყურადღებას, იმაში მდგომარეობს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი საბჭოთა კავშირში მთლიანად და

<sup>8</sup> საბჭოთა საქართველოს 50 წელი, სტატისტიკური კრებული, თბ., 1971, გვ. 215.

<sup>9</sup> Народное хозяйство СССР в 1970 г. стат. сборник, М., 1971, стр. 507.

<sup>10</sup> საბჭოთა საქართველოს 50 წელი, სტატ. კრებული, თბ., 1971, გვ. 83.

უფრო კი საქართველოში სოფლის მეურნეობა და სატყეო მეურნეობაშია დასაქმებული, რაც აშკარად ამ დარგში შრომის ნაყოფიერების შედარებით დაბალი დონით აიხსნება. განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წონა მომუშავეთა საერთო რიცხოვნობაში 8—10% არ აღემატება.

რა გზით უნდა გათანაბრდეს საქართველოს ეკონომიური განვითარების დონე საერთო საკავშირო დონესთან შედარებით? ეფიქრობთ, ამისათვის აუცილებელია კიდევ უფრო გაძლიერდეს საქართველოში მრეწველობის კვალიფიკური დარგების პროდუქციის ზრდის ტემპები. მეურნეობის ამ წამყვანი დარგის გაფართოებული კვლავწარმოების პროდუქციის დაჩქარებით მრეწველობაში დამატებით უნდა ჩაებას შრომითი რესურსების ის ნაწილი, რომელიც გამოთავისუფლდება სოფლის მეურნეობიდან მისი გაღრმავებული ინტენსიფიკაციის შედეგად. მრეწველობის ზრდის ტემპების დაჩქარება ეკონომიურ აუცილებლად გვევლინება უახლოესი 30 წლის განმავლობაში. ამავე დროს, ბუნებრივია, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გავრცელება იმის თავდებია, რომ სოფლის მეურნეობიდან გამოთავისუფლებულ მომუშავეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა უნდა ჩაებას მომსახურების სფეროში და მრეწველობის კვალიფიკური დარგებში.

აქვე გვინდა გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის პროგნოზული განვითარების მოდელის ერთ-ერთი ასპექტის შესახებ: საკითხი ეხება მოსახლეობის დასაქმების პროგნოზულ მოსაზრებებს. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობრივი პროგნოზული მოდელის აგება საზოგადოებრივი წარმოების მიერ რესპუბლიკის მეურნეობის საწარმოო მიზნებისათვის და პირადი მოთხოვნილებისათვის დაკმაყოფილება ვერ დაედება საფუძვლად, იმიტომ რომ მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილება მართოდენ რესპუბლიკის წარმოებით არ კმაყოფილდება. საქართველოს სსრ პროგნოზულ მოდელს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის ზრდის მაჩვენებლები უნდა დაედოს საფუძვლად მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით და ეკონომიური განვითარების დონის საერთო საკავშირო მაჩვენებლებთან გათანაბრების მოთხოვნილება. ამ მოდელის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილს რესპუბლიკის შრომითი რესურსების ოპტიმალური განაწილების გეგმა შეადგენს.

ეროვნული შემოსავლის ზრდის დაჩქარების ერთ-ერთ მთავარ საშუალებას სოციალისტური მრეწველობის წმინდა პროდუქციის უპირატესი გადიდება წარმოადგენს და დასახული ტემპების უზრუნველყოფა სათანადო ინჟინერ-ტექნიკური და კვალიფიკირებული მუშებით. საქართველოში მრეწველობის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა საკმარის შრომითი რესურსებით უნდა განხორციელდეს ძირითადად სოფლის მეურნეობიდან გამოთავისუფლებულ მომუშავეთა ხარჯზე. არსებითად უკვე დაწყებულია პროცესი შრომისუნარიანი მოსახლეობის სოფლიდან ქალაქად გადმოსვლისა, მომსახურების სფეროში, მრეწველობასა და მშენებლობაში დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდასა; ბუნებრივია, ეს პროცესი უნდა გაღრმავდეს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის კვალობაზე. უკვე მეცხრე ხუთწლედში ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯი იქნება გადადგმული. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის მიმართულებით დიდი და მრავალმხრივი პროგრამის განხორციელებას და ამის სა-



ფუძველზე შრომის ნაყოფიერების გადიდებას კოლმურთეობებში 30%-ით, ხოლო საბჭოთა მეურთეობებში 35%-ით, ე. ი. დაახლოებით იმ ზომით, რაც დასახლეობა მრეწველობაში.

მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ სოფლის მეურთეობას სსრ კავშირსა და, კერძოდ, საქართველოში შრომის ნაყოფიერების ზრდის უდიდესი რეზერვები გააჩნია, რომელთა გამოყენება უდავოდ შეამკირებს მეურთეობის ამ დარგში დასაქმებულთა როგორც აბსოლუტურ, ისე შეფარდებით რიცხვანობას. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში საერთოდ, და კერძოდ საქართველოში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები სოფლის მეურთეობაში მნიშვნელოვნად ჩამორჩება მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპებს. მ. ლემეშევის მონაცემებით<sup>11</sup>, უმრავლეს ეკონომიურად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა) შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები სოფლის მეურთეობაში უფრო მაღალია, ვიდრე მრეწველობაში. ამ ქვეყნებში შრომის ნაყოფიერების ზრდის ასეთმა შეფარდებამ გამოიწვია ის, რომ სოფლის მეურთეობაში დასაქმებული შრომისუნარიანი მოსახლეობის ხვედრითი წონა მათს საერთო რიცხოვნობაში 6-8%-ს არ აღემატება, მაშინ, როდესაც სსრ კავშირში იგი 29%-ს, ხოლო საქართველოს სსრ-ში 38%-ს უდრის. ასეთი შეფარდება, მართებულად დასკვნის მ. ლემეშევი, გამოწვეულია იმით, რომ სსრ კავშირის კოლმურთეობებში და საბჭოთა მეურთეობებში შრომის ფონდშეიარაღება და ენერგოშეიარაღება ჯერჯერობით მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე — მრეწველობაში; მაშინ, როდესაც ზემოთ დასახელებულ ქვეყნებში შეიძინევა შებრუნებული შეფარდება<sup>12</sup>. ეს გარემოება კიდევ უფრო დიდი ზომით მოქმედებს საქართველოში, სადაც სოფლის მეურთეობის ფონდშეიარაღების და, სათანადოდ, შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს.

ეკონომისტ ვ. ვენჯერის გაანგარიშებით, სოფლის მეურთეობაში დასაქმებულ ერთ საშუალო წლიურ მომუშავეზე, საკარმიდამო მეურთეობაში მომუშავეთა ჩათვლით, საბჭოთა კავშირის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობასთან შეფარდებით მოდის 8 კაცი<sup>13</sup>, ამავე მეთოდით წარმოებული გაანგარიშებით, საქართველოში სოფლის მეურთეობის დარგში ერთ დასაქმებულზე მოდის კიდევ უფრო ნაკლები, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირში, დაახლოებით — 6 კაცი; რა თქმა უნდა, ასეთი შეფარდება ოპტიმალურად ვერ ჩაითვლება. იმავე ვ. ვენჯერის გაანგარიშებით, თანამედროვე ტექნიკური საშუალებანი და მეცნიერების მიღწევები საშუალებას იძლევიან, გავადილოთ ეს შეფარდება იმ ანგარიშით, რომ სოფლის მეურთეობაში დასაქმებულ ერთ მომუშავეზე მოდიოდეს 40-50 კაცზე მეტი. საქართველოს სსრ პირობებში სასოფლო-სამეურთეო წარმოების შემდგომი გაღრმავებული ინდუსტრიალიზაციის შედეგად, რა თქმა უნდა, სათანადო სამრეწველო ხასიათის მსხვილ საწარმოთა ჩამოყალიბებით როგორც შემცენარების, ისე მეცხოველეობის დარგში, კომპლექსური მექა-

<sup>11</sup> М. Лемешев, О комплексной программе экономического развития, журн. „Вопросы экономики“, 1972, № 2.

<sup>12</sup> იქვე.

<sup>13</sup> В. Венжер, Проблемы индустриализации сельского хозяйства, журн. „Вопросы экономики“, 1971, № 8.

ნიზაციის, სპეციალიზაციის და ინტენსიფიკაციის ხარჯზე შესაძლებელი იქნება ვივარაუდოთ, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მომუშავეზე მოდიოდეს მოსახლეობის სულ მცირე 20-25 კაცი; ასეთი შეფარდების პირობებში სოფლის მეურნეობიდან გამოთავისუფლდება შრომისუნარიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომელიც ჩაერთვება საზოგადოებრივი წარმოების სხვა დარგებში და პირველ რიგში იმ დარგებში, რომელნიც სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალურ განვითარებას ემსახურებიან.

ჩვენი სავარაუდო გაანგარიშებით, 30 წლის შემდეგ რესპუბლიკის მოსახლეობა ბუნებრივი ზრდის შედეგად მიიღწევს დაახლოებით 6200 ათას კაცს, ხოლო სოფლის მეურნეობაში ერთ მომუშავეზე, თუ ვივარაუდებთ დაახლოებით 25 კაცს, ასეთი მიღწევა სოფლის მეურნეობიდან გამოთავისუფლებს სულ მცირე 500-550 ათას კაცს, რომელნიც დასაქმებული იქნებიან მატერიალური წარმოების სხვა დარგებში, პირველ რიგში — მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაში, ვაჭრობაში; აგრეთვე — მომსახურების სფეროში, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. რა თქმა უნდა, ამ დარგებში დასაქმებულთა რიცხობრივი ზრდა ისევ შრომის ნაყოფიერების მკვეთრი გადიდების გათვალისწინებით უნდა იყოს გაანგარიშებული. აქედან ნათლად გამომდინარეობს საქართველოს სსრ მრეწველობის შემდგომი განვითარების ტემპების დაჩქარების საჭიროება; უახლოესი 15-20-30 წლების ფარგლებში მრეწველობის აღმავლობა ისახება უმთავრესად მაღალგანვითარებადი დარგების აღმავლობის მიმართულებით, ეს ის დარგებია, რომელნიც მოითხოვენ კვალიფიცირებულ მომუშავეებს ელექტრო და რადიოტექნიკურ ხელსაწყოთმშენებლობაში, აგრეთვე — შრომატევად, მაგრამ ნაკლებად მასალატევად მანქანათმშენებლობის საწარმოებში. ამ დარგების უპირატესი განვითარება გაზრდის ერის ტექნიკური კულტურის დონეს და გააძლიერებს საზოგადოებრივ შრომის ნაყოფიერებას.

ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს შრომითი რესურსების მოსალოდნელი განაწილების პროგნოზირების შესახებ უდაოდ პირობითი ხასიათისაა. ამ მოსაზრების დასაბუთება მოითხოვს საქართველოს სსრ მაკროეკონომიური მოდელის რამოდენიმე ვარიანტის შემუშავებას და მათ შორის ოპტიმალური ვარიანტის შერჩევას. მაკროეკონომიური მოდელის შესაბამისად შრომითი რესურსების განაწილების პროგნოზის დაზუსტება ჩვენი საგეგმო სამეცნიერო სამსახურის შემდგომი კვლევის საგანს შეადგენს. ჩვენი ამოცანა გაცილებით მცირე იყო, როდესაც გვინდოდა, გვეჩვენებინა, რომ საქართველოს სსრ ეკონომიკის განვითარების პროგნოზი უდაოდ იმაზე მიგვიითითებს, რომ მისი ეკონომიკა უახლოეს 20-30 წლის განმავლობაში შემდგომი ინდუსტრიალიზაციის განვითარება-გაღრმავებისა და ტემპების გაძლიერებით უნდა წარიმართოს, რასაც შეუძლია საქართველოს სსრ-ში შექმნილი ეროვნული შემოსავლის ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოფა და მისი ეკონომიური განვითარების დონის გათანაბრება საბჭოთა კავშირის საშუალო დონესთან. ამ ამოცანის გადასაწყვეტად პროგნოზული გაანგარიშებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის მოსაზრება, რომ მატერიალურ წარმოებაში ჩაბმულ მომუშავეთა რიცხოვნობა საპროექტო პერიოდისათვის მცირედ გაიზარდება, ხოლო სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის დიდი რეზერვების გამოყენების შედეგად შემცირდება კიდევ. ამ პირობებში აუცილებელია გამოთავისუფლებული შრომითი რესურსების ჩაბმა ძირითა-

დად მომსახურების სფეროში, ხოლო ნაწილობრივ — ინდუსტრიული წარმოების კვალიფიციურ დარგებში, რაც, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს ჩვენი ერის საწარმოო ძალთა ზრდას, მისი შრომითი რესურსების სამეცნიერო-ტექნიკური მომზადების დონის ამაღლებას და ახალგაზრდობის კვალიფიციური წარმოების დარგებში ფართო ჩაბმას.

სახალხო მეურნეობრივი დაგეგმვის სრულყოფის შემდეგ მნიშვნელოვან საკითხს დაგეგმვის კომპლექსური მეთოდის გამოყენება წარმოადგენს. დაგეგმვის ამ მეთოდმა ფართო გამოხატულება უნდა პოვოს პერსპექტიული დაგეგმვისა და პროგნოზულ დასახულებათა შემუშავებისას. დაგეგმვის ტრადიციული მეთოდები გულისხმობენ სახალხო მეურნეობის მატერიალური წარმოების სხვადასხვა დარგებისათვის მოკულობითი და ღირებულებითი მაჩვენებლების დადგენას, რომელთა შესაბამისად იგეგმება კაპიტალური დაბანდებანი და საწარმოო სიმძლავრეთა მატების მაჩვენებლები გამომდინარე დარგობრივი მოსაზრებებიდან და დაგეგმვის ზემდგომი ორგანოსაგან მიღებული ე. წ. „ლიმიტებიდან“. კომპლექსური დაგეგმვა კი მოითხოვს, არა დარგობრივი მოსაზრებებიდან, არამედ მთლიანად სახალხომეურნეობრივი ინტერესებიდან გამომდინარე სოციალურ-ეკონომიური პრობლემების დასმას და მათი განხორციელებისათვის სხვადასხვა ღონისძიებათა მრავალდარგობრივ დასახვას. ამასთან, ასეთი კომპლექსური, სისტემური მიდგომა დაგეგმვის პრობლემებისადმი საჭიროა როგორც გლობალური ე. ი. მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, ისე ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებისა და, აგრეთვე, საწარმოო-ტერიტორიული კომპლექსების მიმართაც.

თანამედროვე პირობებში შეუძლებელია მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარების პერსპექტივების დასახვა, თუ ცალკეულ პრობლემის გადასაწყვეტად არ განისაზღვრა მატერიალური წარმოებისა და მომსახურების სფეროს წინაშე დასმული ამოცანებისა და პრობლემის გადაწყვეტაში მათი მონაწილეობის ზომა და მასშტაბები. ავიღოთ, მაგალითად, ქვეყნის სასურსათო პოტენციალის გადიდების ანდა წარმოების ტექნიკური გადაიარაღებისა და ინტენსიფიკაციის, პრობლემა რომელთა გადაწყვეტა მოითხოვს მატერიალური წარმოებისა და მომსახურების სფეროს მრავალი დარგისა და ქვედარგის გაერთიანებულ და გეგმაზომიერ მონაწილეობას. ეხებოდა რა კომპლექსური დაგეგმვის გაუმჯობესების ამოცანებს ა. ნ. კოსიგინი სკკპ XXIV ყრილობაზე საავტომობილო მრეწველობის განვითარების მაგალითით აღნიშნავდა: „ავტომობილის წარმოების დასახული ზრდა განსაზღვრავს მრეწველობის არა მარტო მომიჯნავე დარგების, არამედ საგზაო მშენებლობის, სხვადასხვა მომსახურების პუნქტების ფართო ქსელის, აგრეთვე ქალაქების შესაბამისი დაგეგმარების განვითარებასაც. სხეანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ გვესაჭიროება კომპლექსური გეგმები, რომელნიც მთელი სივრცე-სივრცით უნდა შევიმუშავოთ“<sup>14</sup>. ამ უკანასკნელის ქვეშ იგულისხმება, რომ ამ ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტისას აუცილებელია როგორც „ვერტიკალურად“ ე. ი. დარგობრივი თვალსაზრისით ნაგულისხმევი მოთხოვნებისა და პირობების, ისე „ჰორიზონტალურად“ ე. ი. რეგიონალურ მოთხოვნათა სრული ზომით გათვალისწინება.

<sup>14</sup> ა. ნ. კოსიგინი, მოხსენება სკკპ XXIV ყრილობაზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, თბ., 1971, გვ. 58.



ეკონომიურ ლიტერატურაში მრავალი გაანგარიშებაა გამოქვეყნებული იმის ნათელსაყოფად, თუ რაოდენ დიდ კაპიტალურ დაბანდებათა გავლენა საჭირო ძირითადი წარმოების პარალელურად მრეწველობის მომიჯნავე, დამხმარე, შემწე საწარმოებისა და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის. სსრ კავშირის საეკგმო კომიტეტის მთავარი გამოთვლითი ცენტრის მიერ გამოქვეყნებულია ექსპერიმენტული მონაცემები კაპიტალურ დაბანდებათა კომპლექსური გაანგარიშებისა ქ. ტოლიატში მსუბუქი ავტომობილის მსხვილი ქარხნის მშენებლობის მაგალითზე<sup>15</sup>. ამ გაანგარიშების თანახმად, თუ საკუთრივ საავტომობილო წარმოების შექმნაზე გავწეული კაპიტალური დანახარჯების მოცულობას 100%-ად მივიღებთ; იმ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა, რომელიც დაკავშირებულია მსუბუქი მანქანების წარმოებასთან, შეადგენს 462%-ს მთელი საავტომობილო მრეწველობის დაბანდებათა მიმართ. გარდა ამისა, მსხვილ კაპიტალურ დაბანდებებს საჭიროებს გარაეების, ბენზინის ჩამოსასხმელი სადგურების, სარემონტო საწარმოების, ტექნიკური მომსახურების სადგურების, გზების, ხიდებისა და სხვა საგზაო ნაგებობათა მშენებლობა. ამ დანახარჯთა საერთო თანხა შეადგენს 600%-ს საკუთრივ საავტომობილო ქარხნის მშენებლობის თანხის მიმართ. ამრიგად, სახალხო მეურნეობის სრული კაპიტალური დაბანდებანი, რომელნიც დაკავშირებული არიან ტოლიატის საავტომობილო ქარხნის მიერ ავტომობილის წარმოებასა და მოხმარებაზე შეადგენენ — 11 მანეთს პირდაპირი კაპიტალური დანახარჯების 1 მანეთზე<sup>16</sup>.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სინამდვილიდან მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. საიდანაც ნათლად ჩანს კომპლექსური დაგეგმვის მოთხოვნათა უგულვებელყოფა. ასე, მაგალითად: საქართველოს მეხილეობისა და მებოსტნეობის განვითარების შესაძლებლობანი მნიშვნელოვნად შეზღუდულია ამ დარგებისათვის საჭირო საწყობების, სათავსების მაცივრებისა და დამზარისხებელ ბაზების სიმძლავრითა და ტევადობის სიმცირით. სასკოლო, საბინაო, ჯანდაცვის მშენებლობის შესაძლებლობანი მნიშვნელოვნად შეზღუდულია სათანადო პუნქტებში და დასახლებულ ადგილებში კომუნალურ საწარმოთა სიმძლავრეთა არარსებობის გამო (წყალსადენი, კანალიზაცია და სხვა).

მრავალ გეოგრაფიულ პუნქტში დაგეგმილი სამრეწველო-ტერიტორიული კომპლექსები, უზრუნველყოფილნი არ არიან, უწყებრივი დაგეგმვის შედეგად, სათანადო პირობებით. ამისი ყველაზე მეტი დამახასიათებელი მაგალითია თბილისისაგან აღმოსავლეთით მდებარე პუნქტი ლილო, სადაც შეიქმნა სამრეწველო საწარმოთა კომპლექსი, რომლის შემადგენლობაში 25-ზე მეტი სამრეწველო საწარმოა, მაგრამ ისინი არ არიან უზრუნველყოფილნი სათანადო კომუნალური, საბინაო და საგზაო მეურნეობით, რაც, რასაკვირველია, აფერხებს საწარმოთა ეფექტურ მუშაობას.

რასაკვირველია, დაგეგმვის სრულყოფის ამოცანების განხილვა მოითხოვს ამ საკითხის უფრო ფართოდ გაშლას მდიდარი ფაქტობრივი მასალის საფუძ-

<sup>15</sup> Журнал „Во росы экономики.“ 1972, № 2 стр. 28.

<sup>16</sup> იქვე, 23-29.





ველზე ასეთი კვლევა საკუთნალო წერილის ფარგლებში მოუხერხებელია. ჩვენი ამოცანა უფრო მცირეა: შევეცადეთ გავვერჩია სახალხომეურნეობრივი დაგეგმვის მეცნიერული საფუძვლების გაღრმავების ძირითადი მიმართულება-ნი და შეძლებისდაგვარად მოგვეხდინა მათი ილუსტრაცია საქართველოს სსრ ეკონომიკის მაგალითებით.

И. С. МИКЕЛАДЗЕ

**ВОПРОСЫ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ ПЛАНИРОВАНИЯ НАРОДНОГО ХОЗЯЙСТВА**

**(Резюме)**

На современном этапе коммунистического строительства большое значение для повышения эффективности общественного производства приобретает совершенствование форм и методов планирования и управления народным хозяйством. В Директивах XXIV съезда КПСС по пятилетнему плану развития народного хозяйства СССР на 1971—1975 годы особо подчеркивается необходимость повышения уровня планирования и управления.

Главнейшими задачами совершенствования планирования являются: повышение его научного уровня, обеспечение оптимального сочетания централизованного планирования с местной инициативой коллективов предприятий, отраслевого и территориального планирования, более широкое, научно-обоснованное использование балансового метода, с выявлением возможных вариантов решения экономических проблем и нахождение оптимальных из них электронно-вычислительной техникой (ЭВМ).

В статье дается краткая характеристика объективных истоков плановости и подчеркнута роль экономических законов в жизни социалистического общества, а также содержание закона планомерного развития народного хозяйства, отмечается неправомерность отождествления планомерности с пропорциональностью; ибо, как нам представляется, пропорциональность это всеобщая необходимость всякого хозяйства и поэтому она не может быть приравнена к специфическому для социализма закону планомерного развития народного хозяйства.

В связи с текущими перспективным планированием в статье высказаны некоторые соображения о долгосрочных прогнозах развития народного хозяйства СССР и отдельных его регионов. Долгосрочное прогнозирование развития народного хозяйства является научной основой составления пятилетних и годовых планов. Прогнозирование представляет собой предплановую стадию и дает возможность намечать на длительный период научно продуманные варианты решения народнохозяйственных проблем для отбора наиболее оптимальных из них. Одной из важных проблем долгосрочного прогнозирования промышленного развития Советской Грузии является определение на проектный период (10—20—30 лет) объема ее продукции, а также структуры и численности промышленно-производственного персонала. Для такого определения необходимо построение макроэкономической модели, в которой в виде подсистемы должна быть дана модель распределения занятости населения в проектном периоде; в этой модели, с учетом роста объема производства и производительности труда как одной из закономерностей развития

социалистической экономики, должно быть выявлено распределение трудовых ресурсов по отраслям народного хозяйства.

Рост производительности труда обуславливает сравнительно малую занятость населения в материальном производстве, в особенности — в сельском хозяйстве. Такой прогноз зиждется на огромных возможностях тающих в недрах социалистического сельского хозяйства республики для увеличения производительности труда. В работе приводится предварительный расчет, свидетельствующий о том, что в Грузии на одного работающего в сельском хозяйстве приходится около 6-ти человек из общего населения, тогда как полное использование научно-технического прогресса в этой отрасли по исчислению В. Венжера по СССР в целом, может обеспечить доведение численности населения обслуживаемого одним тружеником сельского хозяйства до 40—50 человек. Исходя из прогноза роста сельскохозяйственного производства и принимая во внимание особенности сельскохозяйственного производства в Грузии (малоземелье, рельеф, преобладание технических и многолетних культур) мы рассчитываем, что в прогнозном периоде один занятый в сельском хозяйстве работник сможет обслужить 20-25 человек населения. При таком положении представится возможность высвободить из сельскохозяйственного производства до 500-600 тыс. человек. Высвободившееся количество трудоспособного населения должно быть вовлечено в непродовольственную сферу, а также в промышленность с высоким уровнем применения квалифицированного труда (электротехника, радиопромышленность, радиоэлектроника, приборостроение и другие трудоемкие квалифицированные маломатериалоемкие отрасли социалистической промышленности). Как нам представляется, такое направление прогнозно-го развития социалистической промышленности Грузии будет способствовать решению поставленной коммунистической партией задачи — выравнивания уровня экономического развития Грузинской ССР как одной из союзных республик в оптимальном сочетании интересов страны в целом с интересами пропорционального и гармонического развития народного хозяйства Грузинской ССР.

В статье подчеркивается, что в современных условиях особое значение для совершенствования планирования приобретает претворение в жизнь хозяйственной реформы, важнейшей особенностью которой является расширение сферы стоимостных отношений, повышение роли таких экономических категорий, как: реализация продукции, прибыль, рентабельность, фондоотдача, фондоемкость, цена, себестоимость продукции, плата за фонды, кредит и др. Как известно, социалистическое производство представляет собой новый тип товарного производства сочетающий в своем развитии централизованное планирование с обособленностью отдельных производителей на основе полного хозрасчета. Усиление роли стоимостных категорий и расширение сферы товарно-денежных отношений на базе укрепления хозяйственного расчета, расширение прав предприятий и объединений как в области планирования, так и оперативного руководства, с внедрением в практику автоматизированной системы управления (АСУ) — требует преодоления все еще имеющегося увлечения административными методами руководства хозяйством; Как отмечал В. И. Ленин, необходимо отказаться от удрушающего централизма как метода чуждого социалистическому хозяйству, исключающего возможность широкого привлечения творческой инициативы и самостоятельности предприятий, объединений и вообще всех местных органов управления хозяйством.



В работе дается характеристика межотраслевого баланса производства и распределения продукции, как научно-обоснованного метода для изучения межотраслевых и межреспубликанских хозяйственных связей Грузии с выявлением стоимостной структуры общественного продукта и основных народнохозяйственных пропорций.

Наконец, в статье обосновывается необходимость последовательного внедрения в практику планирования комплексного, т. е. системного подхода к планированию экономического развития страны в целом, ее отдельных отраслей и регионов.

В статье показаны преимущества оптимального сочетания «вертикального» и «горизонтального» планирования, и доказывается необходимость планирования комплекса многоотраслевых мероприятий для эффективного решения поставленных перед народным хозяйством социальных и экономических задач. На примере экономики Грузинской ССР вскрыты имеющиеся недостатки в деле комплексного подхода к решению ряда отраслевых задач и намечены пути их преодоления.





რედაქციის განცხადება

**გადამამუშავებელ მრეწველობასა და ვაჭრობასთან სოფლის მეურნეობის პირდაპირი კავშირების განვითარების ზოგიერთი საკითხი**

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეკონომიური ზრდის მთავარ წყაროს შეადგენს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლება, რაც მოითხოვს ყველა მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, სოციალისტური ეკონომიკის აღმავლობის რეზერვთა ამოქმედებას. ამ ამოცანათა წარმატებით შესრულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობათაგანია მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის კავშირთა ურთიერთობათა შემდგომი სრულყოფა. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ქმნის პირობებს დარგთა ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისათვის, წარმოების განსაზოგადოების დონეთა, ეკონომიკური ურთიერთობებისა და მართვის ფორმათა დაახლოებისათვის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ასევე ვაჭრობაში; ის ამასთანავე იწვევს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამამუშავების ტექნოლოგიური პროცესების შერწყმას, საკითხის ამ ასპექტში განხილვის დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება უსათუოდ გულისხმობს და განაპირობებს სოფლის მეურნეობის საწარმოთა პირდაპირი კავშირების გაძლიერებას გადამამუშავებელ მრეწველობასა და ვაჭრობასთან.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წწ. ხუთწლიანი გეგმის შესახებ აღნიშნულია: „ყოველი ღონისძიებით განვაერთიოთ და განვამტკიცოთ მრეწველობისა და ვაჭრობის საწარმოთა უშუალო კავშირი კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან, თანმიმდევრულად განვახორციელოთ გადასვლა უშუალოდ მეურნეობებში პროდუქციის მიღებაზე და დამამუშავებელი ორგანიზაციების სპეციალიზებული ტრანსპორტით მიტანაზე“<sup>1</sup>. ამის აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების მაღალი დონე აძლიერებს ეკონომიკის ყველა რგოლის ურთიერთდამოკიდებულებას, რაც ამაღლებს პერსპექტიული დაგეგმვის როლს, მოითხოვს დარგთაშორისი კავშირების სისტემის სრულყოფას, მატერიალური მომარაგების გაუმჯობესებას.

სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის გაღრმავების, ძირითადი წარმოების მომსახურე ფუნქციების მრეწველობის დამოუკიდებელ დარგად გამოცალკავების კვალობაზე სულ უფრო ძლიერდება ეკონომიკის ყველა რგოლს შორის სრულყოფილი ურთიერთკავშირის მნიშვნელობა. „სოფლტექნიკა“ სო-

<sup>1</sup> სსრ კავშირის მასალები, თბ., 1971, გვ. 330.

ფლის მეურნეობის საწარმოებს ამარაგებს მატერიალური ფონდებით და არემონტებს ტექნიკას; მელოორაციისა და წყალთა მეურნეობის ორგანიზაციები ასრულებენ მსხვილი მელოორაციული ნაგებობების დაპროექტებასა და მშენებლობას; კომბინსაკვების მრეწველობა მეურნეობებს ამარაგებს საკვებით; სახელმწიფო საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციები აპროექტებენ და ნაწილობრივ აშენებენ მეურნეობათა საცხოვრებელ სახლებსა და წარმოებრივ ნაგებობებს; დამამუშავებელი ორგანიზაციები და გადამამუშავებელი საწარმოები ყიდულობენ პროდუქციას და ა. შ. მაგრამ პირდაპირი კავშირები საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ყველა საფეხურზე ერთნაირად როდია შესაძლებელი და ეფექტური. შუამავლლის გამორიცხვა მსხვილ მრეწველობასა და არასაკმაოდ სპეციალიზებულ და კონცენტრირებულ სოფლის მეურნეობის საწარმოთა შორის ურთიერთობიდან გაუმართლებელია. ასეთ შემთხვევაში მრეწველური საწარმოები იძულებული იქნებოდნენ, დამოუკიდებლად მოეწესრიგებინათ წარმოებრივი კავშირები ასობით საქონელმწარმოებელთან, რომლებიც მათ ნედლეულს აწვდიან წვრილი პარტიებით, ასეთი მდგომარეობისას ყველაზე მიზანშეწონილია მოთხოვნისა და მიწოდების კონცენტრაცია სწორედ შუამავლების მეშვეობით.

მხოლოდ მაშინ, როცა უზრუნველყოფილია მწარმოებლური ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა თანამედროვე განვითარების დონის შესაბამისი აღწარმოების ყველა სტადიაზე საქმიანობის მაღალი კონცენტრაცია, პირდაპირი ეკონომიკური კავშირების ორგანიზაცია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამამუშავებისა და რეალიზაციის პარტნიორთა შორის არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიც არის. სოფლის მეურნეობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებს შორის მრავალმხრივი კავშირების გაფართოებისა და გაღრმავების პრობლემა სულ უფრო მიზნობრივ ხასიათს იღებს. განვითარების საერთო ტენდენცია წარიმართება მათი თანდათანობითი ტექნოლოგიური დაახლოების გზით, რასაც ჯერ კიდევ კ. მარქსი წინასწარმეტყველებდა. იგი წერდა: „კაპიტალისტური წარმოების წესი ამთავრებს მიწათმოქმედებისა და მრეწველობის იმ თავდაპირველი ოჯახური კავშირის გაწყვეტას, რომელიც ორთავეს ადრეულ განუვითარებელ ფორმებს შეიცავდა. მაგრამ ამავე დროს იგი ქმნის მატერიალურ წინამძღვრებს ახალი, უმაღლესი სინთეზისას, — მიწათმოქმედებისა და მსხვილი მრეწველობის კავშირისას მათი დაპირისპირებულად განვითარებადი ფორმების საფუძველზე“<sup>2</sup>.

ამავე აზრის განვითარებაა ვ. ი. ლენინის დებულება იმის შესახებ, რომ „...სოციალიზმის ამოცანაა დააახლოოს და გააერთიანოს მრეწველობა და მიწათმოქმედება“<sup>3</sup>. სოციალიზმის პირობებში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებამ ობიექტურად გამოიწვია მათი გარდაუვალი დაახლოების ტენდენცია, რომელსაც, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, მოჰყვება მათი ჰარმონიული შერწყმა.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ სოფლის მეურნეობა მრეწველობაზე უშუალოდ დამოკიდებული გახადა. სწორედ მრეწველობა აწოდებს მას იარაღ-მანქანებს, გაწყობილობებს, მინერალურ სასუქებს, მცენარეთა და ცხოველთა

<sup>2</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 637.

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 31, გვ. 494.

დაცვის ქიმიურ საშუალებებს და სხვ. ამან განაპირობა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის თვისებრივად ახალი სახის კავშირი. მაგრამ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დაახლოების პროცესი ამით როდო დამთავრდა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად რიგი წარმოებრივი პროცესი, რომელიც სოფლისმეურნეობრივი წარმოების ფუნქციას შეადგენდა, გადავიდა მრეწველობაში: კომბინირებული და სხვა სახის საკვების წარმოება, მოსავლის აღების შემდეგი დამუშავება (გაშრობა, გაწმენდა, დახარისხება და სხვ.) და შენახვა და ა. შ. ამ კანონზომიერ კავშირში ვლინდება ობიექტური ტენდენცია, რომელიც მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შერწყმას იწვევს. „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მსხვილი დიდად მექანიზებული მეურნეობა, აღნიშნავდა ამხ. ა. ნ. კოსიგინი სკკპ XXIV ყრილობაზე, სულ უფრო მეტად უახლოვდება თანამედროვე მრეწველურ წარმოებას. ეს კი მოითხოვს რომ სოფლის მეურნეობაში გამოვიყენოთ მართვის თანამედროვე ფორმები და მეთოდები, ფართოდ დავნერგოთ მართვის პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებანი. მოვაშალოთ კვალიფიციური კადრები“<sup>4</sup>. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის ორგანიზაციულ-წარმოებრივი წყობის მრეწველურ წარმოებასთან სწორედ ასეთი დაახლოება შექმნის სოფლის მეურნეობაში ეკონომიკური მართვის იმავე პრინციპების გამოყენების შესაძლებლობასა და აუცილებლობას, რაც მრეწველობაშია.

როგორც ცნობილია, თანამედროვე მრეწველობას მრავალმხრივი კავშირი აქვს სოფლის მეურნეობასთან. მაგრამ მრეწველობის დარგები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული სოფლისმეურნეობრივ წარმოებასთან, შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: სოფლის მეურნეობისათვის პროდუქციის მიმწოდებელი და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მომხმარებელი. აქედან გამომდინარე, მრეწველობას და სოფლის მეურნეობას შორის ყალიბდება სხვადასხვანაირი კავშირები. მაგალითად, სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებელ საწარმოებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან უშუალო ურთიერთობა როდი აქვთ. მათ შორის დგანან მომსახურე, უშუალო ორგანიზაციები. ამიტომ წარმოების საშუალებათა მწარმოებელ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის პირდაპირი კავშირების განმტკიცება მოითხოვს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთელი სისტემის შემდგომ სრულყოფას.

გადამამუშავებელ მრეწველობასთან სოფლის მეურნეობის წარმოებრივი კავშირების დამახასიათებელი თავისებურებაა მათი ორმხრივობა და ურთიერთგაპირობებულობა. შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პროცესმა გამოიწვია სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოების პროცესიდან მისი გადამამუშავების გამოყოფა. სოფლისმეურნეობრივი წარმოების ფარგლებში არასოფლისმეურნეობრივი წარმოების განვითარების ეკონომიკურმა მიზანშეწონილებამ და შესაძლებლობამ თავისი თეორიული დასაბუთება ჰპოვა მარქსიზმის კლასიკოსთა შრომებში. ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობაში სამუშაო დროსა და წარმოების პერიოდს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. აღნიშნავდა რა ამ გარემოებას, კ. მარქსი ხაზს უსვამდა, რომ „...წარმოების

<sup>4</sup> ა. ნ. კოსიგინი, სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების ხუთწლიანი პერიოდის შესახებ, თბ., 1971, გვ. 45.



პერიოდისა და სამუშაო პერიოდის ერთიმეორისაგან დაშორება, როცა უკანასკნელი პერიოდი პირველის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს, შეადგენს ბუნებრივ საფუძველს მიწათმოქმედების შეერთებისათვის სოფლურ დამხმარე სარეწებთან<sup>5</sup>.

ტექნიკური პროგრესი სოფლის მეურნეობაში განუწყვეტლივ აძლიერებს წარმოების სპეციალიზაციასა და ამით ხელს უწყობს გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას. საესეებით ნათელია, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების მასშტაბებსა და ტემპებზე გადამწყვეტად არის დამოკიდებული გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების მასშტაბები და ტემპები, რამდენადაც ამ დარგში შრომის საგანს შეადგენს სოფლის მეურნეობის ნედლეული. მეორე მხრივ, გადამამუშავებელი მრეწველობა აქტიურად ხემოქმედებს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. ეს პროცესი რთული და მრავალფეროვანია.

რამდენადაც გადამამუშავებელი მრეწველობა არის სოფლის მეურნეობის ნედლეულის მასობრივი მომხმარებელი, მისი სიდიდე უშუალოდ ზემოქმედებს სოფლის მეურნეობის ბაზრის ტევადობაზე. აფართოებს რა მის ფარგლებს, გადამამუშავებელი მრეწველობა ხელს უწყობს სოფლისმეურნეობრივი წარმოების ზრდას, ამასთანავე ზემოქმედებს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის გაღრმავებაზე, და შესაბამისად, მისი მწარმოებლურობის ამაღლებაზე. გადამამუშავებელი მრეწველობა აწევის სოფლის მეურნეობას თავისი პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს (კომბინსაკვები, ანტიბიოტიკები), ასევე თავისი წარმოების ნარჩენებს, რომელიც აქ გამოიყენება წარმოებრივი მიზნებისათვის. და ბოლოს, ორგანულად უერთდება რა სოფლისმეურნეობრივ წარმოებას (აგრარულ-მრეწველური გაერთიანება), გადამამუშავებელი მრეწველობა საშუალებას იძლევა სრულიად იქნას გამოყენებული წლის განმავლობაში შრომითი რესურსები.

თანამედროვე ეტაპზე გადამამუშავებელი მრეწველობის სოფლის მეურნეობასთან კავშირის გაფართოება მიმდინარეობს შუამავლების ლიკვიდაციისა და ნედლეულის მწარმოებლებთან — საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებთან პირდაპირი კავშირების გაფართოების გზით. ამასთან, ურთიერთობის განვითარება არ შემოიფარგლება დამზადების დარგში შუამავლების ლიკვიდაციით. მწარმოებლური ძალების განვითარების დონისა და ცალკეული დარგების წარმოების სპეციფიკის მიხედვით ისინი იღებენ სხვადასხვახარისხის ორგანიზაციულ ფორმებს — სოფლისმეურნეობრივი და მრეწველური საწარმოების უშუალო შეერთებამდე კი. მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გავრცელდა სოფლისმეურნეობრივი და მრეწველური წარმოების კავშირის ისეთი ორგანიზაციული ფორმა, როცა სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი ერთი მრეწველური საწარმო უერთდება სოფლის მეურნეობის ერთ საწარმოს. ასეთ პირობებში საწარმოები კარგავენ თავიანთ ფინანსურ-ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და ხდებიან ერთიანი მეურნეობრივი ორგანიზმის წარმოებრივი ერთეულები. მათ აქვთ საერთო ბალანსი, ერთიანი წარმოებრივ-ფინანსური გეგმა, მართვის ერთიანი ორგანო. ცხადია, რომ ეს სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელ საწარმოთა შეერთების ყველაზე მარტივი ორგანიზაციული ფორმაა, რომელსაც ხშირად უწოდებენ აგრარულ-

<sup>5</sup> ქ. მარქსი, კაპიტალი, ტ. II, წიგნი II, თბ., 1957, გვ. 300.

მრეწველურ საწარმოს. კოოპერირების ასეთმა ფორმამ მიიღო საბჭოთა მეურნეობა — ქარხნის სახელწოდება. მაგალითად, საქართველოს სსრ ამჟამად არის ეთერზეთების 10 ასეთი საბჭოთა მეურნეობა — ქარხანა (ყვარლის, ლაგოდეხის, მარნეულის, აბაშის, ცხაკაიას, ვალის და სხვ.). ზოგიერთ მეცნიერ-ეკონომისტთა აზრით, რამდენადაც გადამამუშავებელ საწარმოთა შეერთება ხდება არა მხოლოდ საბჭოთა მეურნეობებთან, არამედ კოლმეურნეობებთანაც, ასეთ გაერთიანებას უფრო მართებული იქნება ეწოდოს აგრარულ-მრეწველური საწარმო<sup>6</sup>. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთი მსჯელობა მართებული არ არის. საქმე ისაა, რომ თუ ასეთ გაერთიანებას დავარქმევდით აგრარულ-მრეწველურ საწარმოს, მაშინ ნათელი არ იქნებოდა მისი შექმნის საფუძველი სახელმწიფოებრივი საწარმოა (საბჭოთა მეურნეობა), თუ კოლმეურნეობა. ამიტომ უმჯობესია მათ ერქვათ, შესაბამისად — საბჭოთა მეურნეობა — ქარხანა (ფაბრიკა) და კოლმეურნეობა — ქარხანა (ფაბრიკა).

ასეთი გაერთიანება უნდა განვიხილოთ როგორც სოფლის მეურნეობის საწარმოთა ახალი ტიპი, რომელშიც ორგანულად არის შერწყმული სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება და მისი მრეწველური გადამამუშავება. ასეთ საწარმოებში სოფლისმეურნეობრივი და მრეწველური შრომის შენაცვლების ფართო შესაძლებლობები იქმნება, რის საფუძველზეც ფორმდება აგრარულ-მრეწველური მუშაკის ახალი ტიპი.

სოფლის მეურნეობას და გადამამუშავებელ მრეწველობას შორის წარმოებრივი კავშირების სრულყოფაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს აგრარულ-მრეწველურმა წარმოებრივმა გაერთიანებებმა. ერთ მეურნეობრივ კომპლექსში ნედლეულის წარმოებისა და გადამამუშავების შეერთება საშუალებას იძლევა შეიქმნას მაღალსპეციალიზებული მეურნეობა, უშუალოდ იქნას დაკავშირებული გადამამუშავებელი საწარმოს წარმოებრივი სიმძლავრეების განვითარების დონე მის სანედლეულო პოტენციალთან, უზრუნველყოფილ იქნას ნედლეულის რიტმული მიწოდება და გადამამუშავება პროდუქციის მომწოდებისა და შენახვის ვადებთან სრული შესაბამისობით და მისი გადამამუშავების მიღებული ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. აგრარულ-მრეწველური კომპლექსი საშუალებას მოგვცემს მკვეთრად შევამციროთ სოფლისმეურნეობრივი და მრეწველური წარმოების დანახარჯები, ავამაღლოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა, სწრაფად გადავწყვიტოთ ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული მრავალი სოციალური პრობლემა. აგრარულ-მრეწველური კომპლექსების შექმნას უქანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ყურადღება უქცევა ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში. სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ინტეგრაციულ პროცესებს განსაკუთრებით ფართო გასაქანი ამ ქვეყნებში მიეცა 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან მეურნეობრივი რეფორმის პერიოდში, რომლის მსვლელობაშიც ხდება საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის ერთ-ერთი ძირითადი წინამძღვრის — წარმოებრივ ურთიერთობათა სრულყოფა. ინტეგრაციული პროცესები ხასიათდება სოფლის მეურნეობის საწარმოთა შორის მრავალმხრივი კოოპერაციული კავშირების გაფართოებითა და განვითარებით კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის საფუძველზე. ამასთანავე, მსგავსი კოოპერაციული კავში-

<sup>6</sup> Журн. „Вопросы экономики“, № 8, 1971, გვ. 27.

რები მყარდება და სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სოფლის მეურნეობასა, მის მომსახურე დარგებსა და რეალიზაციის სფეროთა ურთიერთობაში.

აგრარულ-მრეწველური კომპლექსი მოიცავს შემდეგ ოთხ სფეროს: 1) სოფლისმეურნეობრივი მრეწველური დარგები, რომლებიც სოფლის მეურნეობისათვის აწარმოებენ წარმოების საშუალებებს; 2) საკუთრივ სოფლის მეურნეობა; 3) სოფლის მეურნეობის პროდუქტთა დამზადება-გადამამუშავებისა და რეალიზაციის სფერო; 4) სპეციალური სამსახურისა და საქმიანობის სფერო, რომელიც ხორციელდება სოფლის მეურნეობის გვეგმიანი გაძლიერების (განათლების, მეცნიერული კვლევისა და სხვადასხვა ორგანიზაციული საქმიანობა)7

აგრარულ-მრეწველური კომპლექსების შექმნა ასახავს იმ ღრმა ცვლილებებს, რასაც ადგილი აქვს თანამედროვე საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში. ეს არის სოფლის მეურნეობის თანდათანობითი ინტეგრირება განვითარებად აგრარულ-მრეწველურ კომპლექსში, რაც განაპირობებს სოფლისმეურნეობრივი წარმოებისა და მართვის ახლებურ ორგანიზაციას, ახალი კავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულების ფორმირებას და ა. შ., აგრარულ-მრეწველური კომპლექსები ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნების სოფლის მეურნეობის მომავლის საფუძველია და მის შექმნას ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ამჟამად კი, როცა, ერთი მხრივ, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოებრივ გადამამუშავებელ მრეწველობას შორის წარმოებრივი კავშირები არასაკმაოდ განვითარებული, უაღრესად აქტუალურია სოფლის მეურნეობის ნედლეულის, განსაკუთრებით ბოსტნეულისა და ხილის გადამამუშავებელი დამხმარე საწარმოების შექმნა უშუალოდ მეურნეობებში. დღეისათვის ასეთი საწარმოები უკვე არის ბევრ მეურნეობაში, რაც უზრუნველყოფს ადგილზე მოყვანილი ნედლეულის სრულ ან ნაწილობრივ გადამამუშავებას, იძლევა ძვირფას პროდუქციას, რომელიც მოსახლეობაში დიდი მოთხოვნით სარგებლობს, აგრეთვე ხელს უწყობს მუშაქალის უფრო სრულ გამოყენებას, ამალღებს საზოგადოებრივი წარმოების რენტაბელობას.

მხედველობაში იღებენ რა უშუალოდ მეურნეობაში გადამამუშავებელ საწარმოთა ორგანიზაციის მაღალ ეკონომიკურ ეფექტურობას, ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მიისწრაფვის ჰქონდეს ის. მაგრამ ამ მხრივ მათი შესაძლებლობა უკიდურესად შეზღუდულია. ისინი დიდ სიძნელეებს ზედებიან გაწყობილებათა შექმნაში, სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა შემსრულებლების გამოჩახვაში, ტარისა და სხვა მასალების შესყიდვაში, რაც აუცილებელია შესაბამისი წარმოების ორგანიზაციისათვის და ა. შ. არ ჰყოფნით ასევე ტექნიკური კადრები გადამამუშავებელ საწარმოთა ექსპლოატაციისათვის. ეს, ბუნებრივია, აფერხებს გადამამუშავებითი წარმოების განვითარებას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ამიტომ, აუცილებელია, შესაბამისმა ორგანიზაციებმა გააძლიერონ ამ მიმართულებით მუშაობა.

როგორც ცნობილია, ერთიანი სახალხო მეურნეობის ჩარჩოებში საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები, ასევე გადამამუშავებელი საწარმო-

7 Журн. „Вопросы экономики“, № 4, 1972, стр. 114.

ები აორგანიზებენ თავიანთ წარმოებას გეგმაზომიერად — თვითანაზღვრულად — ბის პრინციპებზე; ე. ი. შეფარდებითი განცალკევებულობა გამოდის მეურნეობრივი ანგარიშიანობის ფორმით. მეურნეობრივი რეფორმის განხორციელებისას საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტურობის შემდგომი ამაღლება იწვევს მეურნეობრივი ანგარიშიანობის სრულყოფის აუცილებლობას. ამასთან, საბჭოთა მეურნეობებში სრული მეურნეობრივი ანგარიშიანობის დანერგვა და პირდაპირი კავშირების განვითარება ურთიერთკავშირში არიან. სრული მეურნეობრივი ანგარიშიანობა არის ფაქტორი, რომელიც აჩქარებს პირდაპირ კავშირებს საბჭოთა მეურნეობებსა, გადამამუშავებელ მრეწველობასა და ვაჭრობას შორის აგრარულ-მრეწველურ გაერთიანებათა მიმართულებით. თავის მხრივ, პირდაპირი კავშირების გზით პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ორგანიზაცია აუცილებელ პირობებს ჰქმნის მეურნეობრივი ანგარიშიანობის შემდგომი სრულყოფისათვის. საკახის ამ ასპექტში განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში ზოგჯერ პირდაპირი კავშირები ცალმხრივად არის წარმოდგენილი როგორც კავშირი, რომელიც ზემოქმედებას ახდენს მხოლოდ პროდუქციის გასაღების ორგანიზაციის სრულყოფაზე. აქედან გამომდინარე, პირდაპირი კავშირები აღიარებულია როგორც მხოლოდ რეალიზაციის სფეროს ეკონომიკური კატეგორია.

პირდაპირი კავშირები უწინარეს ყოვლისა წარმოებრივი კატეგორიაა. ის როგორც პარტნიორთა შორის ეკონომიკური ურთიერთობის ახალი ფორმა, რომელიც ტექნიკური პროგრესით არის გამოწვეული, პირველ რიგში წარმოების სფეროში წარმოიშვა და მომწიფდა. მისი ეკონომიკური არსი მდგომარეობს უშუალოდ წარმოების პროცესში საქმიანობის გაცვლაში სოფლის მეურნეობის საწარმოებსა და გადამამუშავებელ მრეწველობას შორის, რომლებიც ერთიმეორესთან დაკავშირებულია რეალიზაციითა და ტექნოლოგიური პროცესების ერთიანობით.

როგორც წარმოებრივი კატეგორია, პირდაპირი ეკონომიკური კავშირები ნიშნავს ურთიერთდაკავშირებულ საწარმოთა წარმოებრივი პროგრამის შეთანხმებას, მათ შორის მუდმივ კონტაქტს, მათი ძალების გაერთიანებას წარმოებისა და აღწარმოების პირობების გაუმჯობესებისათვის. სოფლის მეურნეობის პროდუქტთა და მათგან მრეწველური წარმოების მოხმარების საგანთა წარმოების გადიდებას, მისი ხარისხის ამაღლებას, ნედლეულისა და მზა პროდუქტის წარმოებისა და მასალების ყველა სტადიაზე დანაკარგების მაქსიმალურ შემცირებას მისი მაღალი ხარისხის შენარჩუნებით და ამ ნიადაგზე, მისი სახალხო მეურნეობრივი ეფექტურობის გადიდებას.

პირდაპირი კავშირები მოეწყოა და შემდგომ განვითარდება გეგმაზომიერად. როგორც პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმაზომიერი ორგანიზაციის ერთ-ერთი ფორმა, ის სახალხო მეურნეობრივი დაგეგმვის შემადგენელი ნაწილია, მისი კონკრეტიზაციისა და სრულყოფის შემდგომი საფეხურია. ამასთან დაკავშირებით მართებული არ უნდა იყოს ეკონომისტთა ერთი ნაწილის მტკიცება იმის შესახებ, რომ პირდაპირი კავშირები ვითარდება როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის დამოუკიდებელი ფორმა, „ცენტრალიზებული დამზადების გარეშე“. მათი აზრით, „გადამამუშავებელი საწარმოების მიერ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების პროდუქციის დამზადება-გადამამუშავების მოცულობა და სტრუქტურა უნდა

დგინდებოდა კონტრაქტაციის ხელშეკრულებით და არა სახელმწიფოებრივი გეგმის საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი ხელშეკრულება სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების გეგმის გაძლიერება, მისი შემდგომი დამუშავება და დეტალიზაციაა. პირდაპირი კავშირებისას კონტრაქტაციის ხელშეკრულება იღება განსაზღვრული რაოდენობის საქონლური პროდუქციის სახელმწიფოებრივი გეგმა-შეკვეთის ჩარჩოებში. პირდაპირ კავშირებს ყველაზე დიდი ეფექტის მოტანა შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სოციალისტურ საწარმოებს გააჩნიათ მეტნაკლებად ხანგრძლივი პერიოდისათვის გათვალისწინებული, ხელშეკრულებით გეგმაზომიერად რეგულირებადი მყარი კავშირები. ამის აუცილებლობა გამოწვეულია წარმოების მოთხოვნებით, სოფლის მეურნეობის საწარმოთა სპეციალიზაციის ხასიათით, გადამამუშავებასა და ვაჭრობაში პროდუქციის უწყვეტი გარანტირებული მოძრაობის აუცილებლობით. ასეთ შემთხვევაში ადვილია წარმოების პროცესზე მომხმარებლის აქტიური ზემოქმედების მიღწევა ამა თუ იმ პროდუქტზე მოთხოვნილებების ცვლილების შესაბამისად, ყველაფერი ეს გულისხმობს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცენტრალიზებული წესით მიმაგრებას გადამამუშავებელ საწარმოებთან, სავაჭრო წერტილებთან და სხვ. ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება დავეთანხმოთ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ საბჭოთა მეურნეობების სრულ მეურნეობრივ ანგარიშიანობაზე გადაყვანისას მათზე პროდუქციის მყიდველის მიმაგრება ზემოდან თითქოს აძნელებს სრული მეურნეობრივი ანგარიშიანობის დანერგვას, ბოკავს მეურნეობის ხელმძღვანელობის ინიციატივას<sup>8</sup>. მათი აზრით, საჭიროა პარტნიორის შერჩევაში სრული თავისუფლება. მაგრამ, ასეთი რამ მიზანშეუწონელია რამდენიმე მიზეზის გამო. ჯერ ერთი, საბჭოთა მეურნეობები (ასევე კოლმეურნეობები) და გადამამუშავებელი საწარმოები თვითონ არ არიან დაინტერესებული შემთხვევითი კავშირებით, თავისუფალი ბაზრით. მრავალნი წლის მუშაობის გამოცდილება ცხადყოფს, რომ სოფლის მეურნეობის ცალკეული პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის ცენტრალიზებული გეგმა არ აფერხებს მათი წარმოების განვითარებას. პირიქით, სწორედ იმ კულტურათა პროდუქციის წარმოებაში გვაქვს გარღვევები, რომელთაც ნაკლებად მოიცავს სახელმწიფოებრივი გეგმა. პროდუქცია ვერ პოულობს გასაღებას, ფუჭდება, ნაწილობრივ პირუტყვის საკვებად გამოიყენება და ა. შ.

სწორედ ამიტომ, საბჭოთა მეურნეობებსა და გადამამუშავებელ საწარმოებს სჭირდებათ არა თავისუფალი ბაზარი, არამედ ვადების, მოცულობის, ხარისხისა და ასორტიმენტის მხრივ გარანტირებული ყიდვა-გაყიდვა მსხვილი პარტიებით. სოციალიზმის დროს ასეთ მყიდველად გამოდის სახელმწიფო, რომელიც გადამამუშავებელი საწარმოების, დამამზადებელი და სავაჭრო ორგანიზაციების მეშვეობით ახორციელებს საზოგადოებისათვის საჭირო პროდუქტების შეკვეთასა და მიღებას. პრაქტიკა აჩვენებს, რომ ცენტრალიზებული წესით საბჭოთა მეურნეობების ხანგრძლივი ვადით მიმაგრებისას იმ გადამამუშავებელ საწარმოებთან, რომლის სანდღეულო ზონაშიც ისინი შედიან, უზრუნველყოფა პირდაპირი კავშირების დიდი სიმყარე და სიცოცხლისუნარიანობა, ადვილად მიიღწევა შეთანხმება ნედლეულის მოცულობასა და

<sup>8</sup> Хозрасчет и стимулирование в сельском хозяйстве, М., 1968, стр. 17.



ასორტიმენტზე, ასევე, სხვა საკითხებზე. ამასთან, იგულისხმება, რომ ხელშეკრულება ყოველწლიურად შეიძლება კორექტივის განიციდდეს.

ასრულებენ რა სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარ მთავარ ამოცანას სულ უფრო მეტად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებანი სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები სათანადო შესაძლებლობისას გეგმავენ იმ სახის საქონლური პროდუქციის წარმოებასაც, რომელიც გათვალისწინებული არ არის სახელმწიფოებრივი გეგმით. მაგრამ დებენ ხელშეკრულებას დამამზადებელ ორგანიზაციებთან. სახელმწიფოებო ურთიერთობა ორმხრივი მატერიალური პასუხისმგებლობით, არ უნდა შეიცვალოს ზემდგომი ორგანოების დავალებებით. აქ დიდი გასაქანი უნდა მიეცეს სოფლის მეურნეობის საწარმოთა ხელმძღვანელობის ინიციატივის ფართოდ გაშლას, რაც დიდად შეუწყობს ხელს მეურნეობრივი ანგარიშიანობის განმტკიცებას და სოფლის მეურნეობის პროდუქტთა სიუხვის შექმნას ჩვენს ქვეყანაში. სოფლისმეურნეობრივი წარმოების შემდგომი სწრაფი განვითარების საქმეში დიდ როლს ასრულებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების პოლიტიკაში პარტიის მიერ ჩატარებული ძირეული ცვლილებები. სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შესყიდვის მტკიცე ხუთწლიანი გეგმების შემოღება სოფლის მეურნეობის საწარმოებს საშუალებას აძლევს სწორად განსაზღვრონ წარმოების განვითარების პერსპექტივები სახელმწიფოებრივი გეგმა-შეკვეთებიდან გამომდინარე. ამასთან, ეს არის გარანტია, რომ ცენტრალიზებული გეგმის საფუძველზე წარმოებული პროდუქცია მთლიანად იქნება შესყიდული დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფასებსა და პირობებში. ამით რეალური პირობები შეიქმნა საწარმოთა სპეციალიზაციისა და მათში დარგების კონცენტრაციისათვის, ნათესი ფართობის სტრუქტურის გასაუმჯობესებლად, სწორი თესვბრუნვის შემოღებისათვის, მელიორაციულ და სხვა ღონისძიებათა ჩასატარებლად ხანგრძლივი პერიოდისათვის.

წარმოების დაგეგმვის დარგში საბჭოთა მეურნეობების უფლებათა გაფართოებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტსაც, რომ მათ შესაძლებლობა მიეცათ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ მეურნეობრივი საქმიანობის ბევრი მიმდინარე საკითხი. რაც საშუალებას იძლევა უფრო წარმატებით განხორციელდეს ის, ამალდეს წარმოების ეფექტურობა. სწორედ პირდაპირი კავშირების გაძლიერებისაკენ არის მიმართული ის გარემოება, რომ ახალ პირობებში მომუშავე საბჭოთა მეურნეობებს უფლება აქვთ შეიძინონ სამშენებლო მასალები საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — დადგენილ ფასებში, ისე, რომ მშენებარე ობიექტის ღირებულება არ აღემატებოდეს ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ ღირებულებას.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ სრულ მეურნეობრივ ანგარიშიანობაზე მყოფ საბჭოთა მეურნეობებს ნება დაერთოთ რეალიზაცია უყონ დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ მიუღებელ ბოსტნეულს, ხილს, ბალჩეულს, ყურძენს და სხვა მალფუჭად პროდუქტებს, აგრეთვე კარტოფილს, ფრინველს. პროდუქცია შეიძლება მიეყიდოს სახელმწიფოებრივ და კოოპერაციულ ორგანიზაციებს, ასევე გაიყიდოს კოლმეურნეობრივ ბაზრებზე ჩვენი ქვეყნის ყველა ზონაში, მხარეთა შეთანხმებით მიღწეულ ფასებში. ამასთან, აღნიშნული პროდუქცია მეურნეობებს ეთვლებათ სახელმწიფოებრივი გეგმების შესრულებაში (გარდა კოლმეურნეობრივ ბაზრებზე გაყიდულისა). დადგენილია, რომ



დამამზადებელი ორგანიზაციები არ თავისუფლდებიან მატერიალური პასუხისმგებლობისაგან, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით პროდუქციის მიღებაზე უარის შემთხვევაში. დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ მიუღებელი პროდუქციის თავისუფალი რეალიზაციის შესახებ საბჭოთა მეურნეობებისათვის მიცემულ უფლებას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ეს საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად შემცირდეს პროდუქციის დანაკარგები, ლიკვიდირებულ იქნას არც თუ იშვიათი ხელოვნური ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ბარიერები, რომლის გამოც შეუძლებელია დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ მიუღებელი პროდუქციის გაყიდვა სხვა ოლქში ან რესპუბლიკაში, სადაც მის სინაჯლებს განიცდიან. ასეთი ბარიერების მოსპობით ბოსტნეული, ხილი, ყურძენი და სხვა მალფუჭადი პროდუქცია უფრო სრულად გამოიყენება მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და თავიდან აიცილება მოსალოდნელი მატერიალური ზარალი, რომელიც უნდა განიცადოს ამა თუ იმ საბჭოთა მეურნეობამ დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ მათი პროდუქციის დროულად ან საერთოდ მიუღებლობის გამო. ბევრი საბჭოთა მეურნეობა საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის იყენებს მალფუჭადი პროდუქტების რეალიზაციის მათთვის მიცემულ უფლებას და პროდუქციას მიჰყიდის, ხშირ შემთხვევაში, მომხმარებელს, რომელთანაც არ ჰქონია კონტრაქტაციის ხელშეკრულება. მაგალითად, თუ სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობებმა სრული მეურნეობრივ ანგარიშიანობაზე მუშაობის პირველ თვრამეტ თვეში (წელიწადნახევარში) რეალიზაცია უქნეს დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ მიუღებელ 4 მილიონამდე მანეთის პროდუქციას, 1969 წელს მათ მიერ რეალიზებულ იქნა 22 მილიონ მანეთზე მეტი პროდუქცია<sup>9</sup>. ასეთმა უფლებამ საბჭოთა მეურნეობებს საშუალება მისცა თავიდან აეცდინათ დიდი დანაკარგები. როცა ვეხებით საკითხს პირდაპირი კავშირების შემდგომი გაძლიერებისა და სრულყოფის შესახებ, არ შეიძლება არ აღინიშნოს იმის შესახებ, რომ პირდაპირი კავშირების ორგანიზაცია უშუალოდ აყენებს კონტრაგენტთა ფუნქციების სწორად განსაზღვრის საკითხს.

სოფლისმეურნეობრივი წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დაჩქარებული პროცესი არის გარანტია, რომ მეურნეობებს დაეუტოვოთ მხოლოდ უშუალოდ პროდუქციის წარმოების ფუნქცია; რაც შეეხება ფუნქციას, რომელიც დამახასიათებელი არ არის სოფლის მეურნეობის საწარმოებისათვის, როგორც მწარმოებლებისათვის, კერძოდ პროდუქციის დამზადება, ტრანსპორტირება მოხმარების ადგილამდე და სხვ. მთლიანად უნდა გადაეცეს სხვა ორგანიზაციებს. ამისათვის ჩვენს ქვეყანაში საკმაო გამოცდილება არსებობს. მაგალითად, გაერთიანება „საქკონსერვხილბოსტანმა“ თავის ხელში მოუყარა სოფლის მეურნეობის რიგ მალფუჭად პროდუქტთა დამზადებას, გადამუშავებასა და რეალიზაციას, რამაც დიდად გაზარდა წარმოების ეფექტურობა. საერთოდ, მალფუჭადი პროდუქტების რეალიზაციის დარგში სოფლის მეურნეობის საწარმოთა პირდაპირი კავშირი საეკონომიკურად მაღალეფექტურია. ცალკეობრივი ფასებით პროდუქციის რეალიზაცია ავტომატურად აყენებს მეურნეობებს გააუმჯობესონ ქაღალქებისა და მუშათა დასახლებების მოსახლეობის მომარაგება ახალი ბოსტნეულით, კარტოფილით, ხილით

<sup>9</sup> Журн. „Вопросы экономики“, № 1, 1972, стр. 51.

და სხვ. ამასთანავე, ამით ძლიერდება და სრულიყოფა წარმოებაზე განაწილებითი ურთიერთობების ზემოქმედება.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა სოფლის მეურნეობის საწარმოთა მეურნეობრივ-ოპერატიული დამოუკიდებლობის გაფართოებას ახალ ეკონომიკურ პირობებში, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ დაავალეს საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოებს ყოველნაირად შეუწყონ ხელი საწარმოთა ინიციატივისა და დამოუკიდებლობის განვითარებას მეურნეობის ეკონომიურ, ანგარიშგებიან გაძღოლაში, არ დაუშვან სხვა ორგანიზაციების ჩარევა მათს მიმდინარე წარმოებრივ საქმიანობაში, მიიღონ აუცილებელი ზომები საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებს შორის მეურნეობრივ ანგარიშთანაზე აგებულ ურთიერთობათა მკაცრად დაცვაში.

დასასრულს, ხაზგასმით უნდა აღენიშნოთ, რომ მთავარი სახალხო მეურნეობრივი პროპორციები, რაც დარგთა შორის წარმოებრივი კავშირების მატერიალური საფუძველია, შეიძლება რაციონალურად დადგინდეს მხოლოდ ცენტრალიზებული დაგეგმვის საფუძველზე. ამ ამოცანის გადაწყვეტის საიმედო ინსტრუმენტი შეიძლება იყოს პროდუქციის წარმოებისა და განაწილების გეგმური დარგთაშორისი ბალანსი. დარგებსა და სოციალისტურ საწარმოებს შორის რაციონალური წარმოებრივი კავშირების გეგმიანი ორგანიზაციის პრობლემა, ხელმძღვანელობის ცენტრალიზებული მეთოდის დახმარებით, მით უფრო რთული ხდება, რაც უფრო ვითარდება ქვეყნის ეკონომიკა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მწარმოებლური ძალების განვითარების კვალობაზე ეკონომიკური ურთიერთობების განუწყვეტლივ სრულყოფას. ეს უკანასკნელი კი მთლიანად უნდა ემყარებოდეს სოციალისტური წარმოების წესის ობიექტური ეკონომიკური კანონების გამოყენებას, წარმოების განვითარებაში მატერიალური სტიმულების როლის გამოყენებას, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების გაძღოლაში დემოკრატიული პრინციპების განმტკიცებას. სოფლის მეურნეობის დაგეგმვის სრულყოფა ეკონომიკური სტიმულების ფართოდ გამოყენების საფუძველზე სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგში წარმოების საზოგადოებრივი ეფექტურობის გადიდების აუცილებელი პირობაა.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)



## ლილა გუგუშვილი

### ობიგაციის როლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში (1933—1937)

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა საბჭოთა ხალხმა წარმატებით შეასრულა ვადაზე აღრე — ოთხ წელიწადსა და სამ თვეში, საბჭოთა კავშირი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა მძლავრ, ახალი ტექნიკით აღჭურვილ, ინდუსტრიულ ქვეყანად; ამასთანავე, „პირველ ხუთწლედში გადამწყვეტი წარმატებები იქნა მოპოვებული სოფლის გარდაქმნის საქმეში; ღარიბი და საშუალო გლეხური მეურნეობები (61,5%) გაერთიანდნენ კოლმეურნეობებში. მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების საწარმოებლად შეიქმნა ახალი საბჭოთა მეურნეობების ფართო ქსელი. სოფლის მეურნეობა მტკიცედ დადგა განვითარების სოციალისტურ გზაზე<sup>1</sup>. ამრიგად, სსრ კავშირი წვრილ-გლეხური წარმოების ქვეყნიდან გადაიქცა მსოფლიოში ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად, მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობით.

პირველი ხუთწლიანი წარმატებით შესრულების შემდეგ საბჭოთა ქვეყანა შეუდგა მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას. სკპ(ბ) XVII პარტიულმა კონფერენციამ (1932) მიიღო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის დირექტივები, ხოლო პარტიის XVII ყრილობამ (1934) დაამტკიცა მეორე ხუთწლიანი გეგმა, სადაც განისაზღვრა მთავარი ეკონომიკური ამოცანა: „მეორე ხუთწლიანი პერიოდს და გადამწყვეტ სამეურნეო ამოცანას წარმოადგენს მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დამთავრება, სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის უახლესი ტექნიკური ბაზის შექმნა“<sup>2</sup>, — ამ ამოცანის სოფლის მეურნეობაში განხორციელებისათვის საჭირო იყო კოლექტივიზაციის დამთავრება და სოფლის შემდგომი ტექნიკური რეკონსტრუქცია, ხოლო ამ უკანასკნელის განხორციელების ერთ-ერთ პირობად ყრილობას მიაჩნდა, ირიგაციული სამუშაოების ჩატარების შედეგად, სარწყავი ფართობის გაზრდა მილიონი ჰექტარით<sup>3</sup>.

პარტიის XVII ყრილობაზე მიღებულ გეგმის შესაბამისად, საქართველოში დიდი მუშაობა გაიშალა სახალხო მეურნეობის შემდგომი რეკონსტრუქციისათვის, რომლის განხორციელების კვალობაზე შეიქმნა მძლავრი მრეწვე-

<sup>1</sup> Социалистическое народное хозяйство СССР в 1933—1940 гг., М., 1969, стр. 352.

<sup>2</sup> სკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. III, თბ., 1956, გვ. 207.

<sup>3</sup> Решения партии и правительства по хозяйственным вопросам (1917—1967 гг.), М., 1967, стр. 496.



ლობა და სოფლის მეურნეობაც მტკიცედ დაადგა სოციალისტური განვითარების გზას. საქართველოში საბოლოოდ ვაიმარჯვა კოლმეურნეობრივმა წყობამ, რამაც უზრუნველყო სოფლის უდიდესი მეურნეობრივი, პოლიტიკური და კულტურული ზრდა: „1937 წლის 1 ივლისისათვის საქართველოში იყო სულ 4 249 კოლმეურნეობა 375 116 კომლით. ეს სოფლის მთელი მშრომელი მოსახლეობის 76,6 პროცენტს უდრის. კოლმეურნეობებს უჭირავს მთელი სახანე-სათესი მიწის 82,8 პროცენტი“<sup>4</sup>.

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დამამთავრებელ პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითად ამოცანად დისახა სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობის გადიდება, განსაკუთრებით — ტექნიკური და სპეციალური კულტურების (ჩაი, თამბაქო, ციტრუსები) დანერგვა და ათვისება.

აღნიშნული ამოცანის განხორციელებისათვის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას წარმოადგენდა მიწის ახალი ფართობების ათვისება იმ რაიონებში, სადაც ზემოხსენებული კულტურები მოჰყავდათ; ეს სამუშაო კი პირველ რიგში უნდა შესრულებულიყო წყალთა მეურნეობის მშენებლობის ფართო პროგრამის საფუძველზე.

საქართველოს ხელსაყრელი ბუნებრივი და ისტორიული პირობები საშუალებას იძლეოდა წყალთა მეურნეობის სამუშაოების ჩატარების შედეგად შექმნილიყო სახალხო მეურნეობისათვის საჭირო ნედლეული (ბამბა, შაქრის ჰარხალი); ამასთანავე, მრეწველობისათვის უნდა მიგვეწოდებინა იშვიათი ნედლეული (რამი, სუბტროპიკული კულტურები), რომლის ერთადერთი მიწოდებელი მხოლოდ საქართველოს სსრ იყო. სარწყავი მიწათმოქმედება აგრეთვე აუცილებელ პირობას წარმოადგენდა მევენახეობა-მებაღეობის, მებაღეობა-მეზოსტენობის, აგრეთვე პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარებისათვის, ზემოხსენებული დარგების აღმავლობა სოციალისტური სექტორის ბაზაზე წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საფუძველს.

სკპ(ბ) 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების შემდეგ (ირიგაციულ სამუშაოთა გაუმჯობესების შესახებ) სარწყავ სისტემათა უკეთ მომსახურების მიზნით შეიცვალა წყალთა მეურნეობის ადმინისტრაციული დაყოფა: 1933 წლიდან წყალთა მეურნეობის 14 რაიონისა და ინიერტული სისტემის 3 სამმართველოს ნაცვლად შეიქმნა წყალთა მეურნეობის 17 რაიონი და ერთი სამმართველო (ალაზანი)<sup>5</sup>. ამ ღონისძიების გატარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რამდენადაც იგი საშუალებას იძლეოდა ცალკეული სარწყავი სისტემების ხასიათისა და თავისებურებების უკეთ შესასწავლად, მათი ნაკლის გამოსავლენად და დროულად აღმოსაფხვრელად.

1934 წლის ივლისიდან საქართველოს წყალთა მეურნეობა დაქვემდებარა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მარცვლეულის სამმართველოს; ხოლო 1935 წლის დასაწყისიდან საქართველოს წყალთა მეურნეობა თავად იყო წარმოდგენილი როგორც ცალკე სამმართველო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში<sup>6</sup>. 1936 წელს წყალთა მეურნეობის ადმინისტრაციულ დაყოფაში კვლავ ცვლილებები მოხდა: სარწყავ სისტემათა საქსპლოა-

<sup>4</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1 ნოემბერი, 1937.

<sup>5</sup> ЦГАОРСС СССР, ф. 591, оп. 1, л. 58, а. 56.

<sup>6</sup> იქვე.

ტაციო სამსახურის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა წყალთა მეურნეობის 9 რაიონი, 9 სასისტემო სამმართველო და 12 ჰიდროტექნიკური პუნქტი<sup>7</sup>. სასისტემო სამმართველოები, წყალთა მეურნეობის რაიონები და ჰიდროტექნიკური პუნქტები ემსახურებოდნენ სარწყავ და ამოსაშრობ ფართობებს, აგრეთვე აწარმოებდნენ ბრძოლას წყალდიდობის წინააღმდეგ. საერთო ირიგაციული ფართობის გადიდების საქმეში დიდი როლი შეასრულეს სარწყავ სისტემათა ექსპლოატაციის ღონისძიებებმა.

მიუხედავად დიდი წარმატებებისა, მეორე ხუთწლედში წყალთა მეურნეობაში იყო ზოგიერთი ნაკლოვანება: სრულყოფილად არ ხდებოდა სარწყავი ფართობების ათვისება, არადაამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ დიდი სახალხო-მეურნეობრივი მნიშვნელობის მსხვილი სარწყავი სისტემები, სარწყავი ობიექტების მშენებლობა ხშირად იწყებოდა სათანადო პროექტის გარეშე, არასაკმარისად ხდებოდა მშენებლობათა დაფინანსება; ამასთანავე, ნაქლები უურადლება ექცეოდა, სარწყავ სისტემათა ექსპლოატაციას და სხვ.

ირიგაციის დარგში არსებულ ნაკლოვანებებზე ყურადღება გაამახვილა საქართველოს კომპარტიის (ბ) IX ყრილობამ (1934) და აღნიშნა, რომ „მსხვილი საირიგაციო მშენებლობის მდგომარეობის შემოწმებამ აღმოაჩინა სერიოზული დეფექტები ამ დარგში. მშენებლობა ვითარდება სათანადო საპროექტო მომზადების გარეშე... განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მშენებლობის დაუსრულებელი გაჭიანურება... საირიგაციო სისტემების ჩაბარება საექსპლოატაციოდ ხდება არსებითი დეფექტებით, რამაც გამოიწვია მთელ რიგ ძირითად ნაგებობათა გაფუჭება“<sup>8</sup>. მშენებლობის გაჭიანურების ძირითად მიზეზად ყრილობას მიაჩნდა საძიებო-საპროექტო მუშაობის მოუწყობლობა, მისი არარეგულარული წარმოება; აგრეთვე — ტექნიკურ-ეკონომიკური დოკუმენტაციის დაგვიანება.

ამრიგად, მეორე ხუთწლედში საქართველოს წყალთა მეურნეობის მუშაობაში გამოამჟღავნებელი დეფექტების გამოსასწორებლად კომპლექსური ამოცანები იდგა: დაწყებული ირიგაციული მშენებლობების დამთავრება, რომელთაც დიდი სახალხო-მეურნეობრივი მნიშვნელობა ჰქონდათ; იმ სარწყავ სისტემათა მშენებლობის დაწყება, რომელთა პროექტი მზად იყო და ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა; სარწყავ სისტემათა ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლოატაციის გაუმჯობესება; მეცნიერულ-კვლევითი მუშაობისა და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა შემდგომი გაფართოება.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად ეს ამოცანები ძირითადად გადაიჭრა. მეორე ხუთწლედში წყალთა მეურნეობამ ვაითვალისწინა აუცილებელ სამუშაოთა ჩატარება, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნებოდა დასახულ ამოცანათა განხორციელება. ქვემოთმოყვანილ ცხრილში (1) მოცემულია დასახულ ღონისძიებათა შესრულებისათვის გათვალისწინებული ახალი და რეკონსტრუირებული ფართობის მორწყვა და გაწყლიერება.

<sup>7</sup> ЦГАОРСС ГССР, ф. 591, оп. 1, д. 137, л. 25.

<sup>8</sup> საქართველოს კომპარტიის (ბ) IX ყრილობა (სტენოგრაფიული ანგარიში), თბ., 1935, გვ. 137—138.

ცხრილი 1

 1933—1937 წლებში გვემით გათვალისწინებულა ახალი და რეკონსტრუირებული  
 ფართობი (ათას ჰექტარობით)<sup>ა</sup>

წლები	მორწყვა		სულ	გაწყლიერება
	ახალი ფართობი	რეკონსტრუირებული		ახალი ფართობი
1933	46,8	23,4	70,2	49,6
1934	38,8	42,5	81,3	50,0
1935	34,3	5,5	39,8	—
1936	43,1	16,5	59,6	—
1937	22,1	5,7	27,8	8,0
სულ	185,1	93,6	278,7	107,6

როგორც ცხრილიდან ჩანს, ხუთწლედის ბოლოს გათვალისწინებული იყო 278,7 ათასი ჰექტარი სარწყავი ფართობის ათვისება.

მეორე ხუთწლედში მსხვილ ირიგაციულ მშენებლობათა ობიექტები იყოფოდა ორ ჯგუფად: I — გარდამავალი სარწყავი სისტემები, რომელთა მშენებლობა მიმდინარეობდა და უნდა დამთავრებულიყო მეორე ხუთწლედში (ესენია ალაზნის, ტირიფონის და „საბჭოთა-მაშველის“ სარწყავი სისტემები); II — მშენებლობები, რომლებიც იწყებოდა მეორე ხუთწლედში (გორგულ-არალის, შირაქის (გაწყლიერება), კეზვის, სალთვისის, სიდანლუდის, ხობოთლის ჰალეების და სხვ.).

საქართველოს სსრ ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ 1933 წელს მიიღეს დადგენილება საქართველოში მსხვილი ირიგაციული სისტემების მშენებლობის შესახებ, სადაც აღნიშნული იყო, რომ ალაზნის, ტირიფონის და „საბჭოთა-მაშველის“ სარწყავი სისტემები რწყავდნენ 96 ათას ჰექტარს, რითაც შესაძლებელი ხდებოდა, რომ ექსტენსიური მარცვლეულის რაიონები გარდაქმნილიყო მევენახეობის, მეთამბაქოეობის, ხარისხოვანი მეხილეობის, საზამთრო და ადრეული მებაღეობის, სუბტროპიკული კულტურების რაიონებად. საკითხის ამ ასპექტში განხილვისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზემოხსენებულ სარწყავ სისტემებს, ამიტომ ჩვენ განვიხილავთ, თუ როგორი იყო მორწყვის ეკონომიკური მაჩვენებლები მათს სარწყავ ტერიტორიაზე.

ალაზნის სარწყავი სისტემის ექსპლოატაციაში გადაცემას ღიდი სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ არხი მთლიანად არ იყო დამთავრებული და ჭრაც ჩასატარებელი იყო სამუშაოთა მთელი რიგი, მაინც ირწყვებოდა სოფლის მეურნეობის კულტურების უმრავლესობა ზოგიერთი იმდენი, რამდენიც გათვალისწინებული იყო, ხოლო ზოგი კულტურა — იმაზე ნაკლები, რამდენსაც ვარაუდობდნენ. მაგალითად, 1933

<sup>ა</sup> ЦГАОРСС ГССР, ф. 591, оп. 4, д. 55, л. 9.



წელს პირველი მორწყვის დროს გათვალისწინებული იყო სულ 23 931 ჰა ფართობის მორწყვა, მაგრამ მოირწყო 9755 ჰა<sup>10</sup> (სარწყავი ფართობის შემცირება გამოიწვია ალაზნის სარწყავი ზონიდან ბამბის კულტურის ამოღებამ), მეორე მორწყვის დროს გათვალისწინებული იყო 12 187 ჰა და მოირწყო 9 329 ჰა; მესამე მორწყვის დროს კი მოირწყო მხოლოდ 198 ჰექტარი<sup>11</sup>.

1934 წ. 19 აპრილს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მიხედვით, ალაზნის მშენებლობაზე დარჩენალი სამშენებლო სამუშაოები 1935 წლის ბოლოს უნდა დამთავრებულიყო და ამ მხრივ დიდი მუშაობაც გაიშალა: 1935 წ. 1 იანვრისათვის ახალი სარწყავი ფართობი შეადგენდა 30 878 ჰა<sup>12</sup>, ხოლო 1936 წელს ალაზნის სარწყავ ზონაში მოირწყო 33 874 ჰექტარი ფართობი<sup>13</sup>. სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობის ზრდა ალაზნის ველზე მორწყვამდე უმნიშვნელო იყო და მერყეობდა ერთ ჰექტარზე (ცენტნერობით)<sup>14</sup>: შემოდგომის ხორბალი — 6,6—7,3; სიმინდი — 9,8—13,1; გაზაფხულის ქერი — 7,3—8,3; თამბაქო 6,5. მორწყვის შემდეგ მოსავლიანობა გაიზარდა შემდეგნაირად<sup>15</sup>: შემოდგომის ხორბალი — 10,7; სიმინდი — 14,0; გაზაფხულის ქერი — 16,0; თამბაქო — 8,4. მონაცემებიდან კარგად ჩანს სარწყავი კულტურების მოსავლიანობის ზრდა და, მაშასადამე, მორწყვის ეფექტურობაც სარწყავი მიწათმოქმედების განვითარების შედეგად. ალაზნის ველის ირიგაციული სამუშაოებისათვის მეორე ხუთწლეულში გათვალისწინებული იყო კაპიტალდაბანდებათა შემდეგი რაოდენობა (ათას მანეთობით): 1933 წ. — 1 187, 1937 — 1 600, 1935 წ. — 1 476; ხოლო ამავე წლების მიხედვით შესაბამისად დაიხარჯა (ათას მანეთობით): 1 282, 1 508,9, 1 225, 1 573,9<sup>16</sup>.

ტირიფონის ველზე მეორე ხუთწლეულამდე მორწყული საერთო ფართობი შეადგენდა 12 300 ჰექტარს, ხოლო მეორე ხუთწლეულში გათვალისწინებული იყო 1 900 ჰა ახალი და 12 400 ჰა რეკონსტრუირებული ფართობის მორწყვა. 1933 წელს ტირიფონის სარწყავი სისტემით მოირწყო 10 000 ჰა ახალი ფართობი, 1935 წელს კი ტირიფონის ველზე ირწყევბოდა 24 067 ჰექტარი ფართობი, რომელიც სოფლის მეურნეობის ცალკეული კულტურებისთვის შემდეგნაირად ნაწილდებოდა (ჰექტარობით)<sup>17</sup>: ბალსა და ვენახს ეკავა 4 267, ბოსტნეულ-ბაღჩეულს — 1 748 ჰა, მარცვლეულს (ხორბალი და სიმინდი) — 16 640, ნათეს ბალახს — 293, შაქრის ჭარხალს — 1 113 (სულ — 24 067 ჰა).

ახლა ენახოთ რა მდგომარეობა იყო 1928 წელს<sup>18</sup>: ბალს და ვენახს ეკავა 1 667 ჰა, ბოსტნეულ-ბაღჩეულს — 144 ჰა, სახნავს — 11 672 ჰა, სულ — 13 383 ჰა.

<sup>10</sup> ЦГАОРСС ГССР, ф. 591, оп. 4, д. 60, л. 35.

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> ЦГАОРСС ГССР, ф. 591, оп. 4, д. 21, л. 21.

<sup>13</sup> იქვე, л. 98, л. 69.

<sup>14</sup> იქვე, л. 91, л. 44.

<sup>15</sup> იქვე, л. 45.

<sup>16</sup> მონაცემები აღებულია წაგნებიდან: Народно-хозяйственный план ССР Грузии на 1934 год; Тб., 1934, стр. 80; Народно-хозяйственный план ССР Грузии на 1936, г., Тб., 1936, стр. 47 და ЦГАОРСС ГССР, ф. 591, оп. 5, д. 4, л. 154.

<sup>17</sup> ЦГАОРСС ГССР, ф. 591, оп. 5, д. 4, л. 16.

<sup>18</sup> იქვე.

1936 წელს მორწყული ფართობი მთლიანად შეადგენდა 25 789 ჰექტარს, რომელთაგან ბალსა და ვენახს ეჭირა 5 574 ჰა, ბოსტნეულ-ბალჩეულს — 759 ჰა, სახნავს — 17 079 ჰა, შაქრის ჭარხალს — 1101 ჰა<sup>19</sup>. როგორც ვხედავთ, უკანასკნელ წლებში სოფლის მეურნეობამ ტირიფონის სარწყავ ზონაში მნიშვნელოვანი ძვრა განიცადა, რაც გამოიხატა სარწყავი ტერიტორიის უფრო ინტენსიურ გამოყენებაში. ამასთან, მეორე ხუთწლეულში სარწყავ ტერიტორიაზე დიდი ადგილი უკავია ახალ კულტურას — შაქრის ჭარხალს. ტირიფონის სარწყავი სისტემის სამშენებლო სამუშაოებისათვის გამოიყო თანხა (ათას მანეთობით)<sup>20</sup>: 1933 წელს — 385, 1934 წ. — 650, 1935 წ. — 700, 1936 წ. — 600. 1937 წელს მშენებლობაზე დახარჯული თანხა შეადგენდა 6 192 ათას მანეთს.

ტირიფონის არხის დარჩენილი სამუშაოს ერთ-ერთ დამაპრაკლებელ მომენტს წარმოადგენდა მისი დაფინანსება ხან საკავშირო და ხან რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მიღებული თანხა, მშენებლობისათვის არ იყო საკმარისი, ამიტომ მეორე ხუთწლეულში ვადაქრით დისკვა საკითხი, რათა მშენებლობა გადასულიყო მთლიანად საკავშირო ბიუჯეტზე.

„ს ა ბ ჭ ო თ ა-მ ა შ ვ ე ლ ი ს“ არხი. საქართველოს სსრ ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის პრეზიდიუმის 1933 წლის დადგენილებაში ერთ-ერთ ზუნქტად შეტანილი იყო „მაშველის“ სარწყავი სისტემისათვის სათავე ბარაჯის მშენებლობის დაწყება რიონჰესის საგუბრის აგებასთან დაკავშირებით. მეორე ხუთწლეულში მიმდინარეობდა აგრეთვე „I საბჭოთა“ და „მაშველის“ არხების შემაერთებელი ტოტის აგება. ბარაჯის ღირებულება შეადგენდა 1 055,3 ათას მანეთს, შემაერთებელი ტოტისა კი — 194,3 ათას მანეთს. ეს სამუშაოები დაიწყო 1933 წელს და დამთავრდა 1935 წელს. 1933 წელს „მაშველის“ არხის მშენებლობისათვის გამოიყო 495 ათასი მანეთი, 1937 წელს კი — 500 ათასი მანეთი<sup>21</sup>.

ამ რაიონის მორწყვის ეკონომიკური ეფექტურობა კარგად ჩანს, თუ ერთ-მანეთს შევადარებთ 1929 და 1935 წწ. სარწყავ ფართობს. 1929 წ. „საბჭოთა-მაშველის“ არხებით მორწყულ ფართობზე ირწყევებოდა ბაღი და ბოსტანი — 503 ჰა, სახნავი — 6 640 ჰა, სათიბი 99 ჰა (სულ — 7 242 ჰექტარი). სარწყავი ფართობი 1935 წელს საგრძნობლად გაიზარდა და შეადგინა 12 726 ჰა, აქედან: 10 316 ჰა-ს რწყავდა „მაშველის“ არხი, ხოლო 2 410 ჰა-ს „I საბჭოთა“ არხი. მთლიანი სარწყავი ფართობი სოფლის მეურნეობის ცალკეული კულტურებისათვის ასე განაწილდა: ბალსა და ბოსტნეულს ეკავა 1 648 ჰა, სიმინდსა და ტექნიკურ კულტურებს (არაქისი და სხვ.) — 10 929 ჰა, სარწყავ სათიბს — 149 ჰა.

ამრიგად, მსხვილი სარწყავი სისტემების ირგვლივ გაშლილმა დიდმა მუშაობამ მეორე ხუთწლეულში სათანადო შედეგი გამოიღო: „... საქართველოს სოფლის მეურნეობას შეემატა ათასობით ჰექტარი ახალი, ნაყოფიერი მაღალმოსავლიანი მიწა“<sup>22</sup>.

<sup>19</sup> ЦГАОРСС ГССР, ф. 591, оп. 5, л. 109, л. 12.

<sup>20</sup> იქვე, л. 81, л. 17.

<sup>21</sup> Народно-хозяйственный план ССР Грузии на 1934 г., Тб., 1934, стр. 80.

<sup>22</sup> საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1967, პროფ. ლ. გუგუშვილის რედაქციით, თბ., 1967, გვ. 373.

მეორე ხუთწლეულში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ახალი სარწყავი სისტემების მშენებლობის საკითხს, რასაც ფრიად აქტუალური სახალხო-მეურნეობრივი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთ-ერთ ობიექტს წარმოადგენდა გორგულ-არალის (ქობლიან-ჩაის) სარწყავი სისტემა.

სარწყავი ტერიტორია მდებარეობს ადიგენის ადმინისტრაციულ რაიონში, მდ. ქობლიან-ჩაის მარჯვენა სანაპიროზე, სოფლების — გორგულსა და არალს შორის, საიდანაც წარმოსდგა ამ არხის სახელწოდება.

სავარაუდო მოსარწყავი ფართობი შეადგენდა 1 090 ჰა-ს, რომლიდანაც 1935 წელს ადგილობრივი ძველი სისტემით ირწყვებოდა 444 ჰა<sup>23</sup>, ეს არის მაღალხარისხოვანი მეხილეობის რაიონი, მაგრამ ხანგრძლივი გვალვა ხშირად იწვევს მოუსავლიანობას, ამიტომ მორწყვა აქ აუცილებელი ფაქტორია მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისა და მეხილეობის განვითარებისათვის. მეორე ხუთწლეულის დასაწყისში აღნიშნული რაიონის სარწყავი ფართობის 86% ეკავა სახნავს, რომელზეც ჭარბობდა გაზაფხულის მარცვლეული, მთელი ფართობის დაახლოებით 12% კი დაკავებული ჰქონდა ბალს; დანარჩენი ტერიტორია გამოუყენებელი იყო. მორწყვის შედეგად განვითარებული მეურნეობის პირობებში ძირითადი მაჩვენებლების ზრდა გამოიხატება შემდეგნაირად: სარწყავი ფართობი ბალსთვის ნაცვლად 107 ჰა-სა დაიკავეს 784 ჰა, ბოსტანი კი ნაცვლად 15 ჰა-სა — 100 ჰა, საერთო წმინდა შემოსავალი გაიზარდა 6-ჯერზე მეტად.

არხის მშენებლობა დაიწყო 1934 წელს, შესაბამისი პროექტის მიხედვით. 1937 წლის 1 იანვრისათვის ნაგარაუდები იყო სათავე ნაგებობისა და მავის-ტრალური არხის იმ ნაწილის დამთავრება, რომელიც უზრუნველყოფდა 260 ჰა სარწყავ ფართობს. მშენებლობის ღირებულება 1934 წელს შეადგენდა 950 ათას მან., ხოლო 1937 წელს დახარჯული თანხა შეადგენდა 945 ათას მანეთს.

მეორე ხუთწლეულში ახლად დაწყებული ირიგაციული სამუშაოებიდან განსაკუთრებული ადგილი უკავია შირაქის ველის გაწყლიერებისა და მორწყვის პრობლემას. ეს არის ვრცელი ზევანი, რომელიც მდებარეობს სიღნაღის სამხ.-აღმოსავლეთით, ალაზანსა და იორს შორის. ამ ტერიტორიას უხსოვარი დროიდან იყენებდნენ ზამთრის საძოვრებად კახელები და მთიელი მოსახლეობა. შემდგომ ამ ადგილებში საცხოვრებლად ჩამოსახლება იწყეს საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან<sup>24</sup>. ვაქა-ფშაველა წერდა: „მთის ხევსა და ღელეებში, რაც საცოდავი სახნავი მინდვრები იყო გამოიფიტა და მოსავალს აღარ იძლევა, ტყე გაიკაფა და ახალი კლდე უაღრესად გასალდა და გატიტვლა, რადგან საქონელს ნეკერთა კვებავდნენ. მთის საქოვარი იმდენი არაა, რომ საქონელი შეინახონ ბლომად და იმით ირჩინონ თავი. მაშ რა უნდა ჰქნან, რომ შიმშილით არ გასწყდნენ?“<sup>25</sup> და მეორე ადგილზე აცხადებდა: „ვისაც აქვს სურვილი შეუძლიან დასახლდეს შირაქში, დამშლელი არაეინ არის“<sup>26</sup>.

1905 წლისათვის მთიელებმა შირაქის ველზე დაარსეს სამი დიდი სოფელი: ზემო ქედი, ქვემო ქედი და არხილოსკალი<sup>27</sup>. შირაქის ველის დასახლების

<sup>23</sup> ЦГАОРСС ГССР, ф. 660, оп. 1, д. 4650, л. 3.

<sup>24</sup> ЦГАОРСС ГССР, ф. 591, оп. 4, л. 14, л. 64.

<sup>25</sup> ვაქა-ფშაველა, ტ. IV, თბ., 1956, გვ. 163.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 233.

<sup>27</sup> ЦГАОРСС ГССР, ф. 288, оп. 1, д. 2390, л. 144.



შემდეგ დღის წესრიგში დადგა სასმელი და მეურნეობრივი წყლით ლეობის უზრუნველყოფის საკითხი, რადგან წყლის უქონლობა აძნელებდა სოფლის მეურნეობის განვითარებას; განსაკუთრებული წინააღმდეგობა ექმნებოდა მეცხოველეობის განვითარებას, ამასთან, დიად ფერხდებოდა შირაქის სამხრეთით მზარდი ნავთობის მრეწველობის ათვისება.

ამრიგად, გაწყლიერება ამოსავალი წერტილია ამ მდიდარი რაიონის მწარმოებლურ ძალთა სწრაფი განვითარებისათვის. საკითხის აქტუალობამ განაპირობა 1934 წლის 2 ივლისს საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს გადაწყვეტილება შირაქის წყალგაყვანილობის მშენებლობის შესახებ. პროექტი იმავე წელს დაამტკიცა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და მაშინვე დაიწყო წყალგაყვანილობის მშენებლობა; პირველ რიგში გათვალისწინებული იყო მხოლოდ ზემო ქედის, ქვემო ქედისა და არხილოსკალოსათვის წყლის მიწოდება მდ. ალაზნიდან მექანიკური გზით.

შირაქის ველის გასაწყლიერებელი ტერიტორია შეადგენდა 34 595 ჰა ფართობს. 1934 წ. მეურნეობათა რიცხვი აღემატებოდა 1 305-ს; 192 000 სული ცხვრით, 8 920 სული მსხვილფეხა რქიანი საქონლით და 1 335 ცხენით<sup>28</sup>. შირაქის ველის მორწყვისა და დასახლების შემდეგ გათვალისწინებული იყო ინტენსიური მიწათმოქმედების მოწყობა; კერძოდ, 8,0 დეს. სახნავი მიწა შემდეგნაირად გამოიყენებოდა (%-ობით): ხორბალი — 30%, ქერი — 20%, სიმინდი — 5%, მზესუმზირა — 5%, ბალახი (იონჯა) — 40%<sup>29</sup>.

მშენებლობის ღირებულება შეადგენდა 2 006 ათას მან., სოლო წლების მიხედვით დაიხარჯა (მანეთობით): 1934 წ. — 273 000; 1935 წ. — 1 მლნ, 1936 წ. — 900 000, 1937 წ. — 364 000; 1937 წ. მთლიანად დახარჯული თანხა უდრიდა 2 307 000 მან.<sup>30</sup> შირაქის წყალგაყვანილობის მშენებლობა დამთავრდა ომის შემდეგ.

კეხვის სარწყავი არხი, რომლის მშენებლობა დაიწყო 1937 წელს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია პატარა სარწყავ სისტემათა შორის. პროექტით გათვალისწინებული სარწყავი ფართობი მდებარეობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში (სტალინირის ადმინისტრაციულ რაიონში, გორის რკინიგზის სადგურიდან 32 კმ-ის დაშორებით) მდ. მტკვრის შენაკადების: დიდი ლიახვის, აღმ. ფრონესა და ტილიანის ქვემო წელზე<sup>31</sup>. აღნიშნული ტერიტორია, რომელიც გორის რაიონის ბუნებრივი გაგრძელებაა, წარმოადგენს მაღალხარისხოვანი მეხილეობის რაიონს მთელს ამიერკავკასიაში და იძლევა სრულფასოვან საექსპორტო ხილს.

სარწყავი ტერიტორიის საერთო ფართობი უდრის 7 700 ჰექტარს; აქედან 1 300 ჰა-მდე ფართობს რწყავდა კეხვის ძველი არხი, მაგრამ — არადამაკმაყოფილებლად. კეხვის სარწყავი სისტემის მშენებლობის საკითხი დაისვა 1933 წელს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 1933 წლის 6 ნოემბრის დადგენილებას კეხვის არხის ზონაში (სამხ. ოსეთში) სარწყავი ფართობის გადიდების შესახებ;

<sup>28</sup> ЦГАОРСС ГССР, ф. 591, оп. 4, д. 97, л. 10.

<sup>29</sup> ბ. ხასია, სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარება საქართველოში, II, თბ., 1968, გვ. 244.

<sup>30</sup> ЦГАОР С ГССР, ф. 591, оп. 4, д. 109, л. 12.

<sup>31</sup> იქვე, оп. 1, д. 97, л. 15.

ხოლო იმავე სადირექტივო ორგანოს 1934 წლის 10 ნოემბრის დადგენილებით განსაზღვრული იყო ამ რაიონის შემდგომი განვითარების წარმართვა მეხილეობის, მევენახეობის, მებოსტნეობისა და მეცხოველეობის განვითარების გზით<sup>32</sup>. 1936 წელს დამტკიცდა არხის პროექტი, რომლის ღირებულება 1936 წლის ფასებით უდრიდა 3 080 ათას მანეთს. პროექტით გათვალისწინებული იყო 32 ჰა ფართობის მორწყვა (რომელთაგან 1 ათასი ჰა მდებარეობდა გორის რაიონში), აქედან 2 075 ჰა იყო ახალი სარწყავი ფართობი, ხოლო 1 125 ჰა რეკონსტრუირებული.

მეორე ხუთწლეულში მიმდინარეობდა პატარა სარწყავი სისტემების მშენებლობა და რეკონსტრუქციის სამუშაოები. ესენი იყო: ხოხოლის ქალაქის, დოღლაურის ველის, სკრაქარელის, მუხრანის, სალთვისის, სოღანლელის, ფარეხი-ახალციხის, ბორჩალოსი და სხვა სარწყავი სისტემები.

ამრიგად, მეორე ხუთწლეულში მნიშვნელოვანი მუშაობა მიმდინარეობდა როგორც დაწყებული დიდი სარწყავი სისტემების მშენებლობის დამთავრებისათვის, ასევე ახალმშენებლობათა ჩასატარებლად.

1935 წლის გაზაფხულის მონაცემების მიხედვით ჩვენს რესპუბლიკაში მთელი სარწყავი ფართობი შეადგენდა 229 876 ჰა-ს, რაც სექტორების მიხედვით შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი:

საბჭოთა მეურნეობებზე მოდიოდა	9,7%
კოლმეურნეობებზე	45,0%
ერთპიროვნულ მეურნეობებზე	45,3%

მონაცემებიდან ჩანს, რომ კოლმეურნეობათა სარწყავი მიწების ხვედრითი წონა საერთო ფართობიდან უკვე მნიშვნელოვნად გაიზარდა.

პროფ. ნ. იაშვილი წერს: „მიწების მელიორაცია მაზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი უზრუნველყოფს ყველაზე ძვირფასი და შრომატევადი კულტურების მოსავლიანობის მაღალ ნაშტს, როცა მათი წარმოება ძნელია მელიორაციის გარეშე ყოველ ჰექტარ სარწყავ მიწაზე შეიძლება დაკიდევ უნდა მივიღოთ 2—3-ჯერ მეტი მარცვლეული, ხილი, ყურძენი, ჩაი და სხვ. ვიდრე ურწყავზე“<sup>33</sup>; მეორე ხუთწლეულში ამ მხრივ ჩვენ უკვე გვაქვს საკმაო მიღწევები. ქვემოთ მოგვყავს ცხრილი, საიდანაც ჩანს, თუ როგორ იზრდება სარწყავ ფართობზე ურწყავთან შედარებით მოსავლიანობა აღმ. საქართველოს ზოგიერთ წყალთა მეურნეობის რაიონში (იხ. ცხრილი 2).

მასლიდან ჩანს, რომ აღმ. საქართველოში განსაკუთრებით მკვეთრად გამოიხატა მორწყვის ეკონომიკური ეფექტურობა, რაც ჩვენი რესპუბლიკის პირობებში უფრო ნათლად ჩანს ბოსტნეული კულტურების მაგალითზე: გორის, ბორჩალოსა და ალაზნის სარწყავ ზონებში ბოსტნეულ-ბაღჩეული სარწყავზე იძლევა საკმაოდ დიდ ეფექტს, ხოლო ურწყავზე სულ არ მოდის; ასევე მაღალია თავთავიანი მარცვლეულის მოსავლიანობა სარწყავზე ურწყავთან შედარებით. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სარწყავ მიწებზე მაღალი მოსავლიანობა სხვადასხვა აგროტექნიკური ღონისძიებების შედეგიც არის.

<sup>32</sup> Архив Грузводхоза, гл. 16, п. 1, л. 69.

<sup>33</sup> ნ. იაშვილი, მელიორაცია სოფლის მეურნეობაში, 1, თბ., 1970, გვ. 154.





მოსავლიანობის მაჩვენებლები ატმ. საქართველოს სარწყავ და ურწყავ ფართობზე  
საშუალოდ 1930—1935 წლებში (ცენტრობით ერთ ჰექტარზე)<sup>34</sup>

სოფლის მეურნეობის კულტურება	გორს წყალთა-მეურნეობის რაიონი		ბორჩალოს-წყალთა-მეურნეობის რაიონი		ალანს სასისტ. სამმართველო		გურჯაანის წყალთა-მეურნეობის რაიონი	
	სარწყავი	ურწყავი	სარწყავი	ურწყავი	სარწყავი	ურწყავი	სარწყავი	ურწყავი
თეთრთევრიანი მარცვლეული	10	4—6	7—12	5—7	—	—	10	8—9
ხმინდა	10—14	4—6	12—16	6—9	10—16	—	18	14
ბოსტნეულ-ბალჩეული	100	—	140	—	100	—	—	—
შაქრის ჭარხალი	92	30—32	—	—	—	—	—	—
ბაშა	—	—	6.2—8	—	—	—	—	—
ვენახი	—	—	60	—	60—65	45—50	60	40—45
ჭერი	—	—	—	—	10—18	7—8,5	—	—
თამბაქო	—	—	—	—	7,6—8,4	6,5—6,5	—	—

შენიშვნა: ბორჩალოს რაიონში არის ვახის ახალგაზრდა ნარგავები.

1936 წელს სარწყავი ფართობი 1935 წელთან შედარებით უფრო გაიზარდა და შეადგინა 232 852 ჰექტარი. ქვემოთ მოგვეყვას ცხრილები იმის შესახებ, თუ როგორ განაწილდა სოფლის მეურნეობის კულტურები სასისტემო სამმართველოებსა და წყალთა მეურნეობის რაიონებში 1936 წელს (იხ. ცხრილები 3 და 4).

როგორც ვხედავთ, სასისტემო სამმართველოების მიხედვით ამ პერიოდში სულ ირწყვებოდა 98 583 ჰა ფართობი, ხოლო წყალთა მეურნეობის რაიონების ზონებში — 111 132 ჰა; ეს მთლიანად შეადგენს 209 715 ჰექტარს, რასაც დაემატა ჰიდროტექნიკური პუნქტების ზონებში შემავალი 23 137 ჰა. ამრიგად, 1936 წლის სარწყავი ფართობის ნამატი შეადგენს 2 972 ჰექტარს.

თუ ერთმანეთს წლების მიხედვით შევადარებთ მეორე ხუთწლეულის მანილზე მორწყულ ფართობს, დავინახავთ, რომ პირველ ხუთწლეუდან შედარებით სარწყავი ფართობი მატულობს; მაგალითად, 1933 წელს შეადგენდა 217 300 ჰა-ს. 1934 წ. — 225 200 ჰა, 1933 წ. — 217 300 ჰა-ს, 1934 წ. — 225 200 ჰა-ს, 1935 წ. — 229 876 ჰა-ს, 1936 წ. — 232 852 ჰა-ს, 1937 წ. — 235 900 ჰა-ს.

პირველი ხუთწლეულის ბოლოს საქართველოს სსრ-ში სულ ირწყვებოდა 212 700 ჰექტარი ფართობი. ამრიგად, მეორე ხუთწლეულის სარწყავი ფართობი გაიზარდა 23 200 ჰექტარით, ამასთან, ირიგაციის ხაზით მიღწეული წარმატებები დიდად იყო დამოკიდებული კაპიტალურ დაბანდბაზე: ირიგაციულმა მშენებლობამ — დიდი სარწყავი სისტემების საბოლოო დამთავრებამ და ახ-

<sup>34</sup> ცხრილი შედგენილია ორსკს-ის მასალების მიხედვით: ფ. 591, ოი. 5, ა. 4, ა. 91—95.



სოფლის მეურნეობის კულტურების განაწილება 1936 წელს სარწყავ ფართობზე (ჰექტარობით)<sup>35</sup>

წყალთა- მეურნეობის რაიონები	მარცვლეული			ბამბა	თამბაქო	შაქრის კარბალი	ბალნეო- ოისტ- ნაწილი	სხვა სათესი	ბალი და ვენახა	სათიბი	სარწყავი კარბალი	სარწყავი ანეული	
	შემოდგომის	გაზაფხულის	სამწიფი										
1. ბორჩალოს	10500	204	—	2882	2495	1430	—	1038	—	1083	1191	2200	6319
2. ლეჩქუმბურგის	1455	251	349	505	258	200	—	587	—	1211	68	134	182
3. სოლანლელის	2227	—	2332	—	—	—	—	437	—	1314	—	—	—
4. თელავის	1145	—	2836	—	57	—	—	488	100	555	—	284	256
5. კასპის	3656	—	2.87	—	—	—	841	2.36	—	1946	107	—	3353
6. გორის	11740	385	8083	—	188	—	12.0	1022	62	8471	13	741	2010
7. ხაშურის	2037	—	1552	—	—	—	699	588	25	1777	—	1052	671
8. ახალციხის	1924	—	841	—	—	11	—	308	1353	536	34	—	—
9. მახარაძის	—	—	2347	—	—	—	—	107	—	127	—	—	—
სულ	34746	1440	21.347	3387	2398	1611	2830	4328	1540	17080	1413	4411	12791

სოფლის მეურნეობის კულტურების განაწილება 1936 წ. სარწყავ ფართობზე (ჰექტარობით)<sup>36</sup>

სასისტემო სამშობოველოები	მარცვლეული			ბამბა	თამბაქო	შაქრის კარბალი	სოსტრუ- ბალნეო	სხვა სათესი	ბალი და ვენახა	სათიბი	სარწყავი კარბალი	სარწყავი ანეული	სანერგე სადედე	თეთის ნარგავები
	შემოდგომის	გაზაფხულის	სამწიფი											
1. ალაზნის	16608	—	4813	—	2021	—	1108	843	2536	4366	—	3155	11	4
2. თბილისის	58.3	481	2006	—	—	—	3142	313	2385	430	—	—	—	—
3. ჭუთაისის	—	—	11035	—	—	—	1386	133	402	225	2036	73	—	—
4. წულუკიძის და სამტრედიის	149	—	11428	—	—	—	731	30	100	—	—	—	—	—
5. დიღომის და სოლანლელის	113	—	63	—	—	—	345	—	55	—	—	—	—	—
6. აჭარის	—	—	4281	—	428	—	85	—	2360	—	—	—	—	—
7. სამხ. ოსეთის	546	—	271	—	—	—	92	—	299	—	—	—	—	—
8. ყარაიხის (I განკ.)	3438	—	1633	1277	—	—	705	—	231	833	150	1708	—	—
სულ	26717	481	35563	1274	2443	—	7535	1319	6068	3414	2646	4933	111	4

<sup>35</sup> ЦГАОРСС ГССР, ф. 591, оп. 4, д. 10, л. 36—39.

<sup>36</sup> ЦГАОРСС ГССР, ф. 591, оп. 4, д. 10, л. 36—39.

9. „მაცნე“, ფილოსოფიის..., სერია, 1972 № 2



ლის მშენებლობამ — მოითხოვა უდიდესი სახსრები. ირიგაციულ მშენებლობათა დაფინანსება წარმოებდა როგორც საკავშირო, ასევე რესპუბლიკური და სხვ. ბიუჯეტიდან. დიდი თანხა მოდიოდა მსხვილი სარწყავი სისტემების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის სამუშაოებზე. სულ მეორე ხუთწლედში წყალთა მეურნეობის სამუშაოთა დაფინანსება შეადგენდა 42 869,4 ათას მანეთს<sup>37</sup>; თუ თანხის ამ რაოდენობას შევადარებთ 1928—1932 წლებში დაბანდებული თანხის რაოდენობას (23 039 ათას მან.), დავინახავთ, რომ მეორე ხუთწლედში კაპიტალური დაბანდება თითქმის ორჯერ მეტია. ყოველივე ეს მიუთითებდა წყალთა მეურნეობის მუშაობის აღმავლობაზე. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეორე ხუთწლედის ბოლო წლებში წყალთა მეურნეობის სამუშაოების დაფინანსება წლების მიხედვით შედარებით კლებულობდა და შეადგენდა (ათას მანეთობით): 1935 წ. — 10 351,3; 1936 წ. — 8 435,9; ხოლო 1937 წ. — 7 756,3. ეს გარემოება უნდა აიხსნას ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე მშენებლობისა და რეკონსტრუქციის სამუშაოების უფრო ფართო მასშტაბით.

ამრიგად, სხვა პირობებთან ერთად, მორწყვის შედეგად მეორე ხუთწლედში საქართველოში დაინერგა სოფლის მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი კულტურები, როგორცაა ტექნიკური და მებაღეობა-მეზოსტენეობის კულტურები. ამასთანავე, მორწყვამ უზრუნველყო მაღალი და მყარი მოსავლის მიღება სარწყავ ფართობზე.

<sup>37</sup> ЦГАОРСС СССР, ф. 561, оп. 4, л. 138, а. 28.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)



შოთა შალაში

**კ. მარქსი და ფ. ენგელსი წვრილბლანური  
მეურნეობის კოოპერირების შესახებ**

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა საზოგადოების განვითარების, როგორც ბუნებრივ-ისტორიულ პროცესის, მეცნიერული შესწავლის საფუძველზე აღმოაჩინეს კაპიტალისტური წყობილების წარმოშობის, განვითარებისა და დაღუპვის კანონზომიერება, ახსნეს კაპიტალიზმის ისტორიულად წარმავალი ხასიათი. ამასთან მათ შეიმუშავეს მეცნიერული სოციალიზმის თეორია — მოძღვრება კაპიტალიზმის მოსპობისა და კომუნისტური საზოგადოების აშენების შესახებ.

მეცნიერული კომუნისმის ფუძემდებლების მიერ გარკვევით იქნა მითითებული კაპიტალისტური საზოგადოების ძირითად წინააღმდეგობაზე — წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის არსებულ წინააღმდეგობაზე, რომელიც იწვევს მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის გააფთრებულ კლასობრივ ბრძოლას და რომელსაც ისტორიული აუცილებლობით მივყევართ პროლეტარიატის დიქტატურისაკენ. მათ მიერ ნაჩვენები იქნა, რომ კაპიტალისტური წყობილება მისთვის დამახასიათებელ წინააღმდეგობათა გამწვავების გამო, გარდუვლად უნდა დაიღუპოს, რადგან კომპლიქტი მწარმოებელ ძალებსა და წარმოებით ურთიერთობას შორის მწვავე ხასიათს ღებულობს და მთელი აუცილებლობით დგება, მათ შორის არსებული ანტაგონისტური წინააღმდეგობის რევოლუციური გზით გადაჭრის საკითხი. „საზოგადოების მატერიალური საწარმოო ძალები, — აღნიშნავს კ. მარქსი, — მათი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ვარდება წინააღმდეგობაში არსებულ საწარმოო ურთიერთობასთან... საწარმოო ძალთა განვითარების ფორმიდან ეს ურთიერთობა მათ ბორკილად იქცევა, მაშინ დგება სოციალური რევოლუციის ეპოქა“<sup>1</sup>. ხოლო ყოველივე ამის შედეგად კი კაპიტალისტური საზოგადოება იცვლება ახალი, პროგრესული სოციალისტური საზოგადოებით. კაპიტალიზმის დამოხობით მთავრდება კაცობრიობის წინაისტორია და იწყება ახალი, სოციალისტური საზოგადოების დამკვიდრება, საზოგადოების განვითარების ნამდვილი ისტორია.

კ. მარქსის მიერ „გოთას პროგრამის კრიტიკაში“ აღრინდელ შრომებთან შედარებით (როგორცაა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ და „თერამეტი ბრიუმერი ლეი ბონაპარტისა“), უფრო გაშლილად და ამომწურავადაა მოცემული თავისი შეხედულება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. ამასთან მითითებულია, რომ კაპიტალისტურსა და კომუნისტურ საზოგადოებას შორის გარდამავალი პერიოდის არსებობა აუცილებელია, რომლის დროს

<sup>1</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი რჩ. ნაწ., ტ. 1, თბ., 1950, გვ. 414.

წარმოებს დრომოკმული კაპიტალისტური წყობილების რევოლუციური დამხობა და ახალი, სოციალისტური წყობილების ჩამოყალიბება. კ. მარქსი აღნიშნავს: „კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებას შორის მდებარეობს ერთი მეორედ რევოლუციური გარდაქმნის პერიოდი. ამ პერიოდს შეესაბამება აგრეთვე პოლიტიკურად გარდამავალი პერიოდი, რომლის დროს სახელმწიფო არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არ პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა“<sup>2</sup>.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ყველა ქვეყნის, განსაკუთრებით გერმანიასა და საფრანგეთში 1848 და 1871 წწ. რევოლუციური მოძრაობის გამოცდილების მიყვანილად შესწავლის საფუძველზე დაასაბუთეს რომ:

• პირველი, რევოლუციის გარეშე ბურჟუაზია არ დათმობს თავის პოლიტიკურ ბატონობას და, რომ ძირითად ძალას, რომელიც დაძლევს გაბატონებულ კლასების წინააღმდეგობას, დაამსხვრევს ბურჟუაზიულ სახელმწიფო მანქანას და შექმნის ახალს, წარმოადგენს პროლეტარიატი. მათ ზუსტად განსაზღვრეს პროლეტარიატის, როგორც კაპიტალიზმის მესაფლავის, წარმოების საშუალებებსა და იარაღებზე კერძო საკუთრების მოსპობისა და საზოგადოებრივი საკუთრების დამყარებისათვის, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობისა და სოციალისტური წყობილების დამყარებისათვის თანმიმდევრობით მებრძოლი ყველაზე რევოლუციური კლასის უდიდესი ისტორიული როლი. ამასთან აღნიშნეს, რომ იგი აუცილებლად უნდა გახდეს: ჰეგემონი — ხელმძღვანელი დანარჩენი ჩაგრული მასებისა ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

მეორე, მათ კოლექტიურ ნაშრომში „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“<sup>3</sup>, ხაზი გაუსვეს, რომ კაპიტალიზმზე გამარჯვებისათვის, პროლეტარიატს უნდა ყავდეს თავისი პოლიტიკური პარტია — კომუნისტური პარტია. აღნიშნულ იქნა აგრეთვე კომუნისტური პარტიის, როგორც პროლეტარიატის მოწინავე რაზმის შესახებ, რომლის უახლოეს მიზანს შეადგენს პროლეტარიატის გადაქცევა ორგანიზებულ კლასად, ბურჟუაზიის ბატონობის დამხობა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება

მესამე, მათ ცხადყვეს, რომ კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში პროლეტარიატის მოკავშირეს წარმოადგენს მშრომელი გლეხობა და რომ მუშათა კლასი ვერ შეძლებდა მის წინაშე მდგომი ისტორიული ამოცანის შესრულებას. თუ არ ეყოლებოდა ნამდვილი მოკავშირე გლეხობის სახით. ამასთან მათ აღნიშნეს, რომ აუცილებელია პროლეტარიატმა გამოიყენოს ხალხთა ფართო მასების და განსაკუთრებით, გლეხობის რევოლუციური ძალები. კ. მარქსი პარიზის კომუნის დამარცხების ერთ-ერთ მიზეზად სწორედ იმას თვლიდა, რომ კომუნარებმა ვერ შეძლეს კავშირის დამყარება სოფლის მშრომელ მასებთან, ვერ შეძლეს დემოკრატიული ელემენტებისა და უმთავრესად, გლეხობის რევოლუციური ძალების გამოყენება.

გლეხთა ომებისა და აჯანყებების ისტორია ნათლად გვიჩვენებს, რომ მათი გამოსვლები ექსპლოატატორების წინააღმდეგ მარცხით მთავრდებოდა, რამდენადაც ისინი მოქმედებდნენ დამოუკიდებლად, ხელმძღვანელობის გარეშე. ამის დადასტურებაა გლეხთა ომი გერმანიაში, როდესაც გლეხთა მასა მოქმე-

<sup>2</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ., ტ. 11, თბ., 1950, გვ. 27.



დებდა არაორგანიზებულად, ხელმძღვანელობის გარეშე. ამასვე ამტკიცებენ მთელი რიგი აჯანყებანი გლეხობისა რუსეთში (ე. პუგაჩოვის, ს. რაზინის და სხვ.), რომლებსაც არ ყავდათ იმ დროს ისეთი რევოლუციური ხელმძღვანელი, როგორცაა მუშათა კლასი. ამასვე ადასტურებს საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის გამოცდილება, რომლის დროსაც რევოლუციაში გლეხობას ხელმძღვანელობდა ბურჟუაზია და არა პროლეტარიატი. ამიტომ სავესებით ცხადია, რომ კ. მარქსსა და ფ. ენგელსს პროლეტარიატის გამარჯვების გზების ძიებისას, რევოლუციების გაკვეთილების გათვალისწინებით არ შეეძლოთ არ დაენახათ ის უდიდესი რევოლუციური შესაძლებლობა, რაც გლეხობის წიაღში იყო მოცემული.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი მთელი სიცხადით მიუთითებდნენ გლეხთა რევოლუციური მოძრაობის პროლეტარულ რევოლუციასთან შეხამებისა და მუშათა კლასის მხარეზე მათი გადაყვანის აუცილებლობაზე. ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ პროლეტარიატის პარტიამ, თუ მას სურს პოლიტიკური ხელისუფლების დაპყრობა, უნდა მიიმხროს გლეხობა და მუშათა კლასთან ერთად წაიყვანოს ისინი ხელისუფლების დასაპყრობად და არ უცადოს „სანამ კაპიტალისტური წარმოება ყველგან თავისი განვითარების უკიდურეს შედეგებს მიაღწევს, სანამ უკანასკნელი წერილი გლეხი მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებას მსხვერპლად შეეწირება“<sup>3</sup>.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მეცნიერულად დაამტკიცეს, რომ კაპიტალიზმმა თავის ორბიტაში ჩაითრია სოფელიც და იგი მისი განვითარების საერთო კანონებს დაუმორჩილა. კ. მარქსი თავის გენიალურ ნაშრომში „კაპიტალში“ მიუთითებს, რომ მიწათმოქმედება, მსგავსად მრეწველობისა, კაპიტალისტური წარმოების წესს ექვემდებარება. კაპიტალისტური სოფლის მეურნეობა, ისევე როგორც მრეწველობა, ზედმეტი ღირებულებისა და მოგების წარმოების ანარქიისა და კონკურენციის, წარმოების კონცენტრაციისა და კაპიტალისტური დაკროვების საყოველთაო კანონების მოქმედებას ემორჩილება. აღნიშნული კანონების მოქმედება მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობათა მიერ წერილგვებურ მეურნეობათა შევიწროებას, განადგურებას, წერილმწარმოებლური გლეხობის ფართო მასების დიფერენციაციას, კლასობრივ წინააღმდეგობათა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას იწვევს სოფლად.

მარქსიზმის წინააღმდეგ XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში გამოვიდნენ: ზომბარტი, ბერნშტეინი, დავიდი, ჰერცი, ბაუერი, ჰილფერდინგი, კაუცკი. ზოლო რუსეთში კი ვორონცოვი, დანიელსონი, ბულგაკოვი, სტრუვე, ტუგან-ბარანოვსკი, მასლოვი, სუხანოვი, და სხვ., ასე მაგალითად, ზომბარტმა თავის ნაშრომში — „თანამედროვე კაპიტალიზმი“, განაცხადა, რომ კ. მარქსი შეცდომას უშვებდა, როდესაც ამტკიცებდა სოფლის მეურნეობაში კონცენტრაციის იმ კანონების შესახებ, რომლებიც სამეურნეო ცხოვრების სხვა სფეროში არსებობენ. მეორე ინტერნაციონალის იდეოლოგის — ჰილფერდინგის აზრით კი კ. მარქსის მიერ აღმოჩენილ კონცენტრაციის კანონს თითქოს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სოფლის მეურნეობისათვის. ზოლო დავიდი გამოდიოდა რა იქედან, რომ სოფლის მეურნე-

<sup>3</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ოჩ. ნაწ., ტ. I, თბ., 1950, გვ. 527.



ობას საქმე აქვს ორგანიულ პროცესებთან, ცდილობდა დაემტკიცებინა წერილი წარმოების უპირატესობანი სოფლის მეურნეობაში, რამდენადაც მას არ ესმოდა მწარმოებლურ ძალთა განვითარების კანონები და ამიტომ უპერსპექტივოდ მიაჩნდა მსხვილი მეურნეობის მომავალი სოფლად.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი არასოდეს არ უარყოფდნენ იმას, რომ სოფლის მეურნეობა, რომელსაც საქმე აქვს ორგანიულ პროცესებთან, თვითვე უნდა შეეგუოს მას. ამიტომაც, რომ სოფლის მეურნეობაში წარმოებრივი საქმიანობა უკავშირდება წლის დროს და მასზეა დამოკიდებული. ეს დამოკიდებულება მით უფრო მეტია, რაც უფრო საქმე გვაქვს სოფლის მეურნეობის პრიმიტიულ ფორმებთან. მხოლოდ მსხვილი მანქანური სოფლის მეურნეობა სცვლის შრომის დაძაბულობას, მისი თანდათანობითი გაწონასწორებით და მწარმოებელს ნაკლებად დამოკიდებულს ხდის ბუნების სტიქიისაგან.

მარქსიზმის მტრები მიუთითებდნენ წვრილგლეხური მეურნეობის „უპირატესობისა“ და „მყარობის“, სოფლის მეურნეობის არაკაპიტალისტური გზით განვითარების შესახებ. მაგრამ მათ მოსაზრებათა წინააღმდეგ უნდა აღინიშნოს ის, რომ კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად მსგავსად მრეწველობისა, სოფლის მეურნეობაშიც სულ უფრო და უფრო ვლინდება მსხვილი კაპიტალისტური წარმოების უპირატესობანი წერილთან შედარებით, როგორცაა: უპირველესყოფლისა შრომის მწარმოებლურობის ზრდა, სრულქმნილი მანქანა-იარაღების, პირუტყვის უკეთესი ჯიშობრივი შემადგენლობის, საჭირო რაოდენობის მინერალური სასუქების, კვალიფიციური აგროტექნიკური პერსონალის და სხვ. გამოყენების შედეგად, რომლებიც განაპირობებენ წარმოების დანახარჯების შემცირებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გააფუძვას, მაღალი მოგების მიღებასა და საბოლოო ჯამში მსხვილი მეურნეობის საკონკურენტო უნარიანობის გადიდებას. ამასთან უპირატესობანი მიწის იჯარით აღებისა და ყიდვის შემთხვევაში. აგრეთვე, დიდი საქონლური პროდუქცია, რომელსაც ყიდვიან მაშინ, როცა მაღალია ამ პროდუქციის საბაზრო ფასი. დასასრულ, კრედიტის თავისუფლად და გაცილებით უფრო ხელსაყრელ პირობებში აღება.

ასეთია სოფლის მეურნეობაში მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობის გადამწყვეტი, ეკონომიური უპირატესობანი, რომელთა გამო წერილი მეურნეობანი ნადგურდებიან მათთან საკონკურენტო ბრძოლაში. მაგრამ აქვე ხაზგასმულია ის, რომ ბურჟუაზიულ ეკონომისტთა და რევოიონისტთა მიერ შეთხზული წერილი წარმოების „მყარობის თეორია“ არის მტკიცება იმისა, თითქოს სოფლად კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად წერილი მწარმოებლური გლეხების მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უპიკრებსდება. მათი მტკიცებით სოფლის მეურნეობაში თითქოს არ მოქმედებენ წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის კანონები, რომ სოფლის მეურნეობის თვით ბუნებრივი თავისებურებანი აფერხებენ მსხვილი წარმოების განვითარებას და ხელს უწყობენ წერილი წარმოების წინსვლას, რის გამოც წარმოებს წერილი წარმოების არამც თუ გამოდევნა და დაღუპვა, არამედ განმტკიცება. ისინი აგრეთვე წერილი წარმოების „მყარობას“ იმაშიც ხედავენ, რომ გლეხი მზად არის, გაუძლოს ყოველგვარ გაჭირვებას, ოღონდ კი თავისი ნაჭერი მიწა შეინარჩუნოს, რომლის დამუშავებისას დიდ შრომის მოყვარობას და ამტანიანობას ამქადავენებს. მაგრამ საჭიროა ხაზი გავს-



ვას იმას, რომ თაორტუნისტთა მიერ წამოყენებული წვრილგლეხური მეურნეობის „მყარობის თეორიის“ კლასობრივი ხასიათი ნათელია, იგი ემსახურება ერთ მიზანს, წვრილი გლეხობის მილიონიანი მასების გამჩანაგებელი კაპიტალისტური წყობილების შექმნასა და დაცვას.

სოფლის მეურნეობაში, ისევე როგორც მრეწველობაში, კაპიტალიზმის განვითარება, წარმოების კონცენტრაციისა და კაპიტალის ცენტრალიზაციის პროცესი იწვევს მსხვილი წარმოების მიერ წვრილი წარმოების გამოდევნას და მსხვილ საწარმოთა კიდევ უფრო გაძლიერებას. მაგრამ ეს პროცესი აქ, მრეწველობასთან შედარებით, ნელი ტემპით მიმდინარეობს, ასეულ წლობით გრძელდება, რის გამოც კაპიტალიზმის დროს, როგორც წესი შენარჩუნებულია წვრილსაქონელ მწარმოებელთა მრავალრიცხოვანი კლასი, რომლის ძირითადი მასა მშრომელი გლეხობაა.

მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების ორი ძირითადი უზა არის ცნობილი: პირველი, როდესაც ძველი, მემამულური მეურნეობა არ ისპობა, საშუალო საუკუნეობრივი მიწათმფლობელობა, ბატონყმური ლატიფუნდიები ძირითადად ინარჩუნებენ ძალას და რეფორმების გატარების შედეგად თანდათანობით ხდება მათი გადაქცევა კაპიტალისტურ მეურნეობად, რომელიც დაქირავებული შრომის გვერდით იყენებს ბატონყმური ექსპლოატაციის მეთოდებსაც. სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების ასეთი გზით ხასიათდებოდა გერმანია, იტალია, რევოლუციამდელი რუსეთი, იაპონია და სხვ.

სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების მეორე გზის დროს მემამულური მეურნეობა იმსხვრევა ბურჟუაზიული რევოლუციით, ბატონყმობის ყველა ნაშთი ისპობა, რაც ხელს უწყობს მწარმოებელ ძალთა სწრაფ განვითარებას. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს საფრანგეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. კაპიტალიზმის განვითარების მეორე გზის დროს კაპიტალიზმის შექრა სოფლის მეურნეობაში უფრო ჩქარა მიმდინარეობს პირველთან შედარებით, აქ უფრო სწრაფად ხდება სოფლის მეურნეობის მწარმოებელ ძალთა ზრდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციაცენტრალიზაცია.

მარქსისტულ გავებას ბურჟუაზიული აგრარული ევოლუციების შესახებ აქვს მეტად დიდი მნიშვნელობა კაპიტალიზმის განვითარების კანონზომიერების გარკვევისათვის სოფლის მეურნეობაში. კაპიტალიზმის ევოლუციის სახეს აქვს მნიშვნელობა ჭეყუნის აგრარულ ურთიერთობის ხასიათში, ახდენს გავლენას კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარებაზე, მსხვილის მიერ წვრილი წარმოების შევიწროების ტემპებსა და ხასიათზე. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა ევოლუციის ყოველი სახის დროს სოფლის მეურნეობის განვითარების ეკონომიკური კანონები და მისი საბოლოო შედეგი ერთი და იგივეა. ეს არის მსხვილი კაპიტალისტური წარმოების მიერ წვრილი გლეხობის შევიწროება, გადატაცება და გლეხურ მეურნეობათა განადგურება.

აგრეთვე, საყოველთაოდ ცნობილია, რომ კაპიტალიზმის განვითარებას, კაპიტალისტური სისტემის შინაგანი წინააღმდეგობათა განვითარებას თანსდევს სოფლის მეურნეობის მზარდი ჩამორჩენა მრეწველობისაგან, ქალაქსა და სოფელს შორის დაპირისპირებულობის გაღრმავება. სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა მრეწველობისაგან გამოიხატება: სოფლის მეურნეობის მწარმოებელ

ძალთა დაბალი დონით და განვითარების ნელი ტემპით, ტექნიკის ჩამორჩენით, წარმოების კონცენტრაციის დაბალი ხარისხით და წარმოების კულტურის დონით მრეწველობასთან შედარებით.

მრეწველობისაგან სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის, ინტერესთა დაპირისპირებულობის გაღრმავებისა და ქალაქის მიერ სოფლის ექსპლოატაციის გაძლიერების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში წარმოადგენს მიწაზე კერძო საკუთრების არსებობა. ხოლო მიწაზე კერძო საკუთრების მონოპოლია აპრობებს აბსოლუტურ რენტას, ეს უკანასკნელი კი მაღლა წევს რა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასს, ამცირებს მოთხოვნას მათზე, რაც აბრკოლებს მწარმოებელ ძალთა განვითარებას სოფლის მეურნეობაში. მაგრამ არა მხოლოდ მიწაზე კერძო საკუთრების მონოპოლია და აბსოლუტური რენტა, არამედ აგრეთვე, კაპიტალისტური მეურნეობის მონოპოლია მიწაზე და მისი ეკონომიკური გამოსახულება — კაპიტალისტური დიფერენციული რენტაც გვევლინება მიწაზე კერძო საკუთრების არსებობის დროს მწარმოებელ ძალთა განვითარების მუხრუჭად მიწათმოქმედებაში.

მიწაზე კაპიტალისტური მეურნეობის მონოპოლია კერძო საკუთრების არსებობის პირობებში ნიშნავს დიფერენციული რენტის მისაკუთრებას მიწის მესაკუთრის მიერ. უფრო მეტიც, მიწაზე კერძო საკუთრების მონოპოლიის პირობებში დამატებითი დაბანდების შედეგად მიღებულ ზემოკებას დიფერენციულ რენტას II სახით ითვისებს მიწისმფლობელი. ამ ნიადაგზე მიწისმფლობელსა და მოიჯარე ფერმერს შორის არსებობს ბრძოლა და იგი უპირველეს ყოვლისა მიმართულია საიჯარო ხელშეკრულების ვადის დადებისადმი. მოიჯარენი ცდილობენ, რაც შეიძლება უფრო გრძელი ვადით დაიდოს საიჯარო ხელშეკრულება, ხოლო მიწათმფლობელები კი მისწრაფიან უფრო მოკლე ვადებისაკენ.

აგრეთვე, რადგან მიწა კაპიტალისტ მოიჯარეს განსაზღვრული დროით აქვს აღებული, ამდენად მისი კაპიტალის ხარჯვა იზღუდება. „ფერმერი ერიდება ყოველგვარ გაუმჯობესებას და ხარჯს, რაკი იმედი არა აქვს, რომ ყველა მასა მოლიანად უკან დაუბრუნდება იჯარის ვადის გასვლამდე“<sup>4</sup>. კ. მარქსი მიუთითებს, რომ მიწაზე კერძო საკუთრება აბსოლუტურ და შეფარდებით ზღუდეს უდებს კაპიტალის დაბანდებას მიწაზე. მოიჯარე კაპიტალისტი, როცა იჯარით აღებულ მიწაზე გარკვეული ზომით კაპიტალს აბანდებს და იხდის რენტას, ამით მოხსნილია აბსოლუტური ზღვარი. მაგრამ მოიჯარე კაპიტალისტი, რადგან მიწას იჯარით იღებს, კაპიტალის გამოყენებას მიწაზე შეფარდებითი ზღუდე მაინც აქვს. და სწორედ იმის გამო, რომ მიწა განსაზღვრული დროითაა აღებული. მიწის კერძო საკუთრება „როგორც შეფარდებითი ზღუდე; იგი კვლავ განაგრძობს მოქმედებას (კაპიტალის მიწაზე დაბანდების აბსოლუტური ზღუდის მოხსნის შემდეგ — შ. მ.) იმ აზრით, რომ მიწაში დაბანდებული კაპიტალის ვადასეღა მიწის მესაკუთრის ხელში მოიჯარეს აქ მეტად განსაზღვრულ ზღუდეს უქმნის“<sup>5</sup>.

მიწის კერძო საკუთრება აბრკოლებს ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს სოფლის მეურნეობაში. აფერხებს დიდი მელორაციული და სხვა სამუშაოების შესრულებას, რომლებიც კაპიტალდაბანდებათა ანაზღაურებისათვის ხანგრძლივ დროს საუპირობენ. იმის ნაცვლად, რომ განავითარონ ტექნიკა

<sup>4</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 200.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 370.

და აამაღლონ მიწათმოქმედების კულტურა, ფერმერები ცდილობენ უოველივე გამოსწოვონ ნიადაგიდან, რასაც თვალნათლივ გვიჩვენებს ამერიკელ ფერმერთა მიერ მიწის მტაცებლური სარგებლობა თანამედროვე პირობებში.

იმპერიალიზმის ეპოქაში მონოპოლიურად მაღალი მოგების მიღებისადმი კაპიტალისტების მიწწარადება მიმართულია მშრომელი გლეხობის ექსპლოატაციის გაძლიერებისა და მათი განადგურებისაკენ. სოფლის წვრილ მწარმოებლები სოფლის პროლეტარიატთან ერთად განიცდიან მსხვილი სასოფლო-სამეურნეო სწარმოთა მიერ უღმობელ ძარცვასა და ყველფას. კაპიტალისტური მონოპოლიები სოფლიდან იღებენ მაქსიმალურ მოგებას არაეკვივალენტური გაცვლით, მრეწველურ პროდუქციაზე მაღალი, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე დაბალი, ფასების დაწესებით. სოფლის ექსპლოატაციის საშუალებას წარმოადგენს კრედიტი, განსაკუთრებით მოქმედებს იპოტეკური კრედიტი. ღებულობს რა კრედიტს, წვრილი გლეხობა მიწის დაგირავების შედეგად ფაქტურად კარგავს საკუთრებას თავის მიწაზე. აღსანიშნავია, ისიც, რომ მკალაქის მიერ სოფლის ექსპლოატაციის საქმეში დიდ როლს ასრულებს კაპიტალისტური სახელმწიფო მრავალი სახის მეტად მძიმე ვალსახადებით.

ამრიგად, კაპიტალისტურ სოფლის მეურნეობაში საშუალო საუკუნებობრივი რუტინის შენარჩუნება, მიწაზე კერძო საკუთრების მონოპოლია, მიწის განსახლვრულობა და მასთან დაკავშირებული მეურნეობის მონოპოლიზაცია მიწაზე და საერთოდ მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა არის მიზეზი კონტრასტისა მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის. მიწათმოქმედების ჩამორჩენა მრეწველობისაგან არის ერთ-ერთი ყველაზე ღრმა მიზეზი, რომელიც იწვევს დარგებს შორის პროპორციულობის დარღვევას. აქვე ხახვასამელია ის, რომ, როდესაც სამრეწველო კრიზისები ეხლართება აგრარულ კრიზისებს, ისინი განსაკუთრებით დამანგრეველი ძალით მოქმედებენ სოფლის მეურნეობის მწარმოებელ ძალთა განვითარებაზე. „ფასების ძლიერი რყევა იწვევს, — წერს კ. მარქსი, — დიდ კოლოზიებს და კატასტროფებსაც კი. კლავწარმოების პროცესში, საკუთრივ მიწათმოქმედების პროდუქტები, ორგანული ბუნების მიერ წარმოქმნილი ნედლეული, განსაკუთრებით ექვემდებარება ღირებულების ამგვარ რყევას მოსავლის ცვალებადობისა და სხვ. გამო.

... კაპიტალისტური სისტემა რაციონალურ მიწათმოქმედებას ეწინააღმდეგება, ანუ რაციონალური მიწათმოქმედება შეუთავსებელია კაპიტალისტურ სისტემასთან... და საქიროებს... ასოციაციაში გავრთიანებულ მწარმოებელთა კონტროლს“<sup>6</sup>.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიზეზების გამო სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა მრეწველობისაგან და სოფლად წვრილმწარმოებელთა შევიწროება-განადგურება მსხვილ წარმოებასთან საკონკურენტო ბრძოლაში, კაპიტალისტური წარმოების წესის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს. მრეწველობისაგან სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის მიზეზი მიწათმოქმედების განსაკუთრებულ ბუნებრივ პირობებში კი არ მდგომარეობს, არამედ თვით კაპიტალისტური წარმოების წესის არსში, იმ აგრარულ ურთიერთობაში, რომელსაც წარმოშობს კაპიტალიზმის განვითარება სოფლის მეურნეობაში.

<sup>6</sup> კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. 111, ნაწ. 1, თბ., 1950, გვ. 150, 154.

იმპერიალიზმის ეპოქაში ამჟამად წერილ მწარმოებელთა ექსპლოატაცია, განადგურება და სოფლის პროლეტარებად გადაქცევა მსხვილ წარმოებასთან საკონკურენტო ბრძოლაში კიდევ უფრო მკვეთრ ხასიათს იღებს. ეს ერთხელ კიდევ ნათელი დადასტურებაა კ. მარქსის შეფასებისა, რომ ბურჟუაზიული წყობილება იქცა „ვამპირად, რომელიც წოვს სისხლს მას გულიდან, ტვინს თავიდან და კაპიტალის ალქიმის ქვაბში ისვრის მას“<sup>7</sup>.

კაპიტალიზმის განვითარება სოფლის მეურნეობაში იწვევს ღრმა დიფერენციაციას, წვრილგლეხური მეურნეობის ულმობელ განადგურებას. გლეხთა ფართო მასების გალატაკების ზრდა კაპიტალიზმის განვითარების აუცილებელ პირობას და გარდუვალ შედეგს წარმოადგენს“. ამიტომ გლეხობა თავის მოკავშირეს ჰპოვებს ქალაქის პროლეტარიატში — აღნიშნავს კ. მარქსი, — რომლის ამოცანაა, დაამხო ბურჟუაზიული წყობილება“<sup>8</sup>.

კ. მარქსმა პირველმა ახსნა კაპიტალიზმის დროს წერილი გლეხობის უკიდურეს გაჩანაგებამდე მიყვანის მიზეზები, მიუთითა, რომ მხოლოდ პროლეტარული რევოლუცია და მუშათა კლასის დიქტატურის დამყარება ათავისუფლებს წერილ გლეხობას კაბალისა და ექსპლოატაციისაგან, სპობს წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებას და ქმნის საზოგადოებრივ პირობებს, რომლის დროსაც გლეხი მუშაობს თავისთვის და არა მუქთახორებისათვის. შრომაში „კლასთან ბრძოლა საფრანგეთში“ კ. მარქსი წერდა „მხოლოდ კაპიტალის დაცემას შეუძლია გლეხის აწევა მაღლა, მხოლოდ ანტიკაპიტალისტურ, პროლეტარულ მთავრობას შეუძლია ბოლო მოუღოს მის ეკონომიურ სიღატაკს და საზოგადოებრივ დეგრადაციას“<sup>9</sup>.

აკრიტიკებდა რა ფ. ლასალს, რომელიც გლეხობას რეაქციულ მასას მიაკუთვნებდა, კ. მარქსმა „გოთას პროგრამის კრიტიკაში“ გვიჩვენა, რომ, მართალია, „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ იყო მითითებული საშუალო წოდებები შეიძლება იყვნენ რევოლუციონერები იმდენად, რამდენადაც მათ შოელით პროლეტარიატის რიგებში გადასვლა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მარქსი და ენგელსი არავითარ შემთხვევაში არ სთვლიდნენ გლეხობას რეაქციონერებად. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფ. ენგელსის შრომა „გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში“, რომელიც გლეხობისა და მისი მომავლის ბედის შესახებ ყველა ძირითად საკითხზე სწორ, მარქსისტულ პასუხს იძლევა, ფ. ენგელსი გვააღებს წერილი გლეხის შეფასებას და მიუთითებს: „მისი არსებობა უფრო არასაიმედოა, ვიდრე პროლეტარიატისა, რომელსაც იშვიათად მაინც აქვს უშფოთველი დღეები, რასაც მუდამ მოკლებული არიან დავალიანებით ტანჯული მონები“<sup>10</sup>.

ფ. ენგელსი არკვევს სოციალისტების დამოკიდებულებას გლეხობასთან, როგორც წერილი მესაკუთრებთან და სახავს იმ ამოცანებსა და მეთოდებს, რომლებიც საჭიროა წვრილგლეხური მეურნეობიდან მსხვილ სოციალისტურ მეურნეობაზე გადასვლისათვის. იგი გამოდიოდა საფრანგეთის „სოციალისტური პარტიის“ აგრარული პროგრამის წინააღმდეგ, რომელიც წვრილგლეხური მეურნეობის დაცვას მოითხოვდა. თავს ესხმოდა ყველა იმათ, ვინც

<sup>7</sup> К. Маркс, Избранные произведения, т. II, Госполиздат, 1940, стр. 334.

<sup>8</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რ. ნაწ. ტ. I, თბ., 1950, გვ. 376.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 231.

<sup>10</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რ. ნაწ. ტ. I, თბ., 1950, გვ. 516.

წვრილი გლეხური საკუთრების ხელშეუხებლობას ქადაგებდა, რადგან კერძო საკუთრების დაცვა ნიშნავდა მის კაბალურ მდგომარეობაში დატოვებას და გაჩანაგებას. ფ. ენგელსი წერდა: „გლეხები დაღუპვისაკენ მიჰყავს სწორედ ერთპიროვნულ მეურნეობას, რომელიც ერთპიროვნული მფლობელობითაა გაპირობებული. თუ ისინი დაიხინებენ სწორედ თავიანთ ამ ერთპიროვნულ მეურნეობას, მაშინ ისინი აუცილებლად დაჰკარგავენ კარ-მიდამოსაც და მიწის ნაკვეთსაც, მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობა განდევნის მათი მოძველებული წარმოების წესს“<sup>11</sup>.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა დაამტკიცეს, რომ წვრილგლეხური მეურნეობის დაშლისა და განადგურების თავიდან ასაცილებლად საჭიროა მისი გადაქცევა საზოგადოებრივ კოლექტიურ მეურნეობად. „ჩვენ მხოლოდ იმ გზით შეგვიძლია გადავარჩინოთ, — აღნიშნავდა ფ. ენგელსი, — შეუნარჩუნოთ მას (გლეხს — შ. მ.) მისი კარ-მიდამო და ადგილ-მამული, თუ ამ ადგილ-მამულს საამხანაგო მფლობელობად გადავაქცევთ“<sup>12</sup>.

კ. მარქსსა და ფ. ენგელსს წვრილი, მესაკუთრული გლეხური მეურნეობის მსხვილ, კოლექტიურ მეურნეობად გარდაქმნის აუცილებელ პირობად მიაჩნდათ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება. მათი აზრით, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ წვრილგლეხური მეურნეობის გარდაქმნის ძირითადი პრინციპი მდგომარეობდა სოფლის მეურნეობის წარმოების კოლექტიური ფორმების განვითარებაში. მათ მიერ წამოყენებულ იქნა იდეა არა მხოლოდ წვრილგლეხურ მეურნეობათა კოლექტიურ მეურნეობაში გაერთიანების, არამედ მსხვილი სოციალისტური წარმოების მართვის ფორმების შესახებ. სახელდობრ, შრომებში („გერმანული იდეოლოგია“, „კომუნისმის პრინციპები“ და სხვ.) ხაზგასმულია, რომ გლეხთა სოფლის მეშაკთა კოლექტიური მეურნეობის მოწყობა შეიძლება მოხდეს ამხანაგობათა მეურნეობის ფორმით. ეს ამხანაგობანი მათ არ მიაჩნდათ ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულ და უცვლელ ფორმად. პირიქით მიუთითებდნენ, მეურნეობის მართვის კოოპერაციული ფორმები განვითარდება, უმაღლეს ფორმად იქცევა, რისთვისაც პროლეტარიატის სახელმწიფო ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს აუცილებლად საჭირო ღონისძიებანი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც უნდა გაატაროს გამარჯვებულმა პროლეტარიატმა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის, მსხვილ მიწათმფლობელთა საკუთრების ექსპროპრიაცია და მიწის ნაციონალიზაციაა. ყველა კლასობრივად ანტაგონისტურ ფორმაციაში (მონათმფლობელურ, ფეოდალურ და კაპიტალისტურში) მიწების ცალკეულ პირთა ხელში მფლობელობა იყო სოფლის მშრომელთა მასების ექსპლოატაციის იარაღი. კ. მარქსი თავის მონახაზში „მიწის ნაციონალიზაციის შესახებ“ წერდა: „ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საზოგადოების ეკონომიური განვითარება, მოსახლეობის კონცენტრაციის ზრდა, მიწათმოქმედებაში კოლექტიური და ორგანიზებული შრომის გამოყენების აუცილებლობა, აგრეთვე მანქანებისა და მსგავსი გამოგონებანი მიწის ნაციონალიზაციას ხდიან საზოგადოებრივად აუცილებლად... უახლესი მეთოდები: როგორცაა მორწყვა, ღრენაყი, ორთ-

11 იქვე, გვ. 501.

12 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ. ტ. II, თბ., 1950, გვ. 516.





ქლის გუთანს, ქიმიური დამუშავება და სხვა ფართოდ იქნება გამოყენებული მიწათმოქმედებაში. მაგრამ მეცნიერული ცოდნა, რომელსაც ჩვენ ვფლობთ და მიწათმოქმედებაში ტექნიკური წესები, რომელთაც ჩვენ განვაგებთ როგორც მანქანები და სხვა მწარმოებლურად შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ მიწის მსხვილი მასშტაბით დამუშავებისას<sup>13</sup>.

მიწის ნაციონალიზაცია იძლევა წარმოების საშუალების კოლექტიურ საკუთრებაზე არსებული მსხვილი მეურნეობის მოწყობის შესაძლებლობას სოფლად. ასეთი სახის მსხვილმა მეურნეობებმა, რომლებსაც შეუძლიათ მეცნიერებისა და თანამედროვე ტექნიკის გამოყენება მიწათმოქმედებაში, უნდა უჩვენონ გლეხობას მსხვილი სოფლის მეურნეობის უპირატესობა წვრილგლეხური მეურნეობის მიმართ.

მეტად საყურადღებოა და აგრეთვე პრინციპული მნიშვნელობა აქვს კ. მარქსის მითითებას სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ძირითადი ობიექტური წინამძღვრების შესახებ, როგორცაა მიწათმოქმედებაში მსხვილ, კოლექტიურ წარმოებაზე გადასვლის ეკონომიური აუცილებლობის შექმნა და მატერიალური პირობების არსებობა „რომ... კოლექტიურმა შრომამ შეძლოს შეცვალოს თვით მიწათმოქმედებაში პარცელარული შრომა, კერძო მისაკუთრების წყარო, საჭიროა — წერდა კ. მარქსი. — ორი რამ: ეკონომიური მოთხოვნილება ასეთი გარდაქმნისათვის და მატერიალური პირობა მისი განხორციელებისათვის“<sup>14</sup>.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში წვრილგლეხური მეურნეობის ამხანაგურ მეურნეობაში გადასვლას, ე. ი. საწარმოო კოოპერაციის ორგანიზაციას ფართო მასშტაბით განიხილავდნენ, როგორც კაპიტალისტური მეურნეობიდან სოციალისტურ მეურნეობაზე აუცილებელ გარდამავალ სტადიას. ბებელისადმი მიწერილ წერილში ფ. ენგელსი მიუთითებდა: „არც მარქსი და არც მე, არ ვეჭვობდით, რომ კოოპერაციული მეურნეობაზე გადასვლისას ჩვენთვის აუცილებელი იქნება კოოპერაციული წარმოების ფართო მასშტაბით გამოყენება, როგორც გარდამავალი სტადია“<sup>15</sup>.

ამრიგად, სოფლის მეურნეობაში წარმოების კაპიტალისტურ ფორმიდან სოციალისტურზე გადასვლისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოო კოოპერაციის გამოყენებას. იგი წარმოადგენს გადამწყვეტ ფორმას სოფლის მეურნეობის კოლექტიურ საწყისებზე გადაყვანისათვის. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის აზრით, აუცილებელი იყო, რომ კოოპერაციული წარმოება წარმართულიყო საერთო გეგმით და მთელი საზოგადოების ინტერესებისათვის მთლიანად. მხოლოდ ასეთ პირობებში იქნებოდა კოოპერაციული წარმოება ნამდვილად გარდამავალი სტადია სოციალისტური მეურნეობისაკენ.

საზოგადოებრივ მიწაზე და წარმოების საზოგადოებრივ საშუალებებზე დამყარებული კოოპერაციული წარმოება, რომელიც კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ განიხილებოდა, როგორც გარდამავალი სტადია სოციალისტურ მეურნეობისაკენ, ძირფესვიანად განსხვავდება შულცედელიჩისა და ფერდინანდ ლასალის კოოპერაციული წარმოებისაგან. ესენი წვრილბურჟუაზიული

<sup>13</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. XIII, ч. 1, стр. 340—341.

<sup>14</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, соч. изд. 2, т. 19, стр. 407.

<sup>15</sup> Ф. Энгельс, Политическое задержание, М., 1922, стр. 18.



სოციალისტები. მოითხოვდნენ კაპიტალისტური წყობილების პირობებში სახელმწიფოს დახმარებით შექმნილიყო ამხანაგობები. რომლითაც, მათი აზრით, შეიძლებოდა მშრომელების ექსპლოატაციისაგან განთავისუფლება. ფერდინანდ ლასალს იდეამ თავისი გამოსახულება ჰპოვა გერმანიის სოციალ-დემოკრატიების გოთას პროგრამაში, რომელშიაც სოციალისტური გზით საზოგადოების წარმართვის ძირითად საშუალებად წამოყენებული იყო სახელმწიფოს დახმარებით წარმოებითი ამხანაგობების მოწყობა.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს წვრილბურჟუაზიული სოციალისტების ფერდინანდ ლასალისა და შულცე-დელიჩის შეხედულებანი. რომლებიც მოითხოვდნენ კაპიტალისტური წყობილების პირობებში ამხანაგობების შექმნას სახელმწიფოს დახმარებით. ამისთან მათ აღნიშნეს, რომ საწარმოო ამხანაგობებს კაპიტალიზმის პირობებში არ შეუძლიათ განთავისუფლონ მშრომელები ექსპლოატაციისაგან, ამისათვის საჭიროა კაპიტალისტური წყობილების დამსხვრევა.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა საესებით გარკვევით მიუთითეს, თუ რა ფორმას უნდა მიმართოს გამარჯვებულმა პროლეტარიატმა წვრილგლეხური მეურნეობის მსხვილ სოციალისტურ მეურნეობად გარდაქმნის საქმეში. ისინი აათვლინ ფორმად თვლიდნენ კოოპერაციულ ამხანაგობას. მიუთითეს რა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად განვითარების გზაზე, ამავე დროს მათ აღნიშნეს, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა მოგვეხდინა წვრილგლეხური მეურნეობის ექსპროპრიაცია. სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის საჭირო იყო წერილი გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი მოზიდვა მუშათა კლასის მხარეზე და წერილი გლეხობის ჩაბმა საზოგადოებრივ მეურნეობის მშენებლობაში, რომელიც საერთო გეგმით წარიმართება.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მეცნიერულად დაასაბუთეს, რომ ერთად ერთი გზა გლეხობის განთავისუფლებისა სიღარიბისა და ექსპლოატაციისაგან არის წვრილგლეხური მეურნეობის სოციალისტურ რესებსზე გადაყვანის გზა, რაც უნდა წარიმართოს მათი კოლექტიურ მეურნეობაში არა იძულების, არამედ ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე. თანდათანობით, მაგალითის ჩვენებით და მათთვის საზოგადოებრივი დახმარების საშუალებით. ფ. ენგელსის საყურადღებო მითითებებს გლეხობის კოლექტიურ მეურნეობაში ჩაბმის შესახებ მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. .... როცა ჩვენ სახელმწიფო ძალაუფლებას დავიპყრობთ, — წერდა ფ. ენგელსი. — ჩვენ არ ვიფიქრებთ იმაზე, რომ ძალით მოვახდინოთ წერილი გლეხის ექსპროპრიაცია (სულერთია, სასულრით თუ უამისოდ) როგორც ჩვენ იძულებული ვიქნებით მოვახდინოთ ეს მსხვილი მიწათმფლობელების მიმართ. ჩვენი ამოცანა წერილი გლეხის მიმართ, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ მათი კერძო წარმოება და კერძო მფლობელობა საამხანაგო ვაკუადლოთ მაგრამ არა ძალით, არამედ მაგალითით და ამ მიზნით საზოგადოებრივი დახმარების შეთავაზებით, და ამ მაშინ, ჩვენ, რა თქმა უნდა, უკვე საკმარისად გვექნება იმის საშუალებები, რათა ვუჩვენოთ წერილ გლეხს ის სარგებლობა, რომელიც ახლაც კი უკვე ნათელი უნდა იყოს“<sup>16</sup>.

<sup>16</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ობ. ნაწ. ტ. II, თბ., 1950, გვ. 524.

ამრიგად, ფ. ენგელსის მიერ სავსებით გარკვევითაა ჩამოყალიბებული წვრილგლეხური მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის პროგრამა, რაც მდგომარეობს შემდეგში:

პირველი, წვრილგლეხური მეურნეობის გადაყვანა მსხვილ, კოლექტიურ მეურნეობაზე უნდა წარიმართოს გლეხობისადმი არა ძალდატანების, არამედ ნებაყოფლობის გზით.

მეორე, საჭიროა პრაქტიკულად ვაჩვენოთ გლეხობას მსხვილ, ამხანაგურ მეურნეობის უპირატესობანი წვრილ, ინდივიდუალურ მეურნეობასთან შედარებით. სახელდობრ, მანქანა-იარაღებისა და სამუშაო ძალის რაციონალურად გამოყენების უფრო მეტი შესაძლებლობა, რაც ზრდის შრომის მწარმოებლურობას. ხოლო მსხვილ სოფლის მეურნეობის წარმოებაში შეერთებული შრომის ყველაზე მთავარ უპირატესობას ფ. ენგელსი ხედავდა შრომის ეკონომიაში. ეს განთავისუფლებული შრომის ნაწილი შეიძლება გამოყენებულ იქნას ამავე კოლექტიური მეურნეობის დამხმარე მეურნეობაში.

მესამე, მსხვილი ამხანაგური მეურნეობის წარმატებით განვითარებისათვის საჭიროა საზოგადოებრივი დახმარება, დახმარება სახელმწიფოს მიერ. ეს დახმარება შეიძლება გაწეულ იქნას ამხანაგური მეურნეობებისათვის ფულადი საშუალებების, სესხის, მანქანების, ქიმიური სასუქებისა და სხვათა მიცემის გზით.

მეოთხე, წვრილგლეხური მეურნეობის კოლექტიურ რეესვებზე გადაყვანისას საჭირო იყო დიდი სიფრთხილე, რაც აიხსნება მესაკუთრე გლეხის ბუნებით. გლეხი საუკუნეების მანძილზე მიჯაჭვული წვრილ საკუთრებაზე, გამსჭვალულია კერძო საკუთრებისადმი დიდი სიყვარულით, რაც მას არც თუ ისე იოლად შეუძლია დათმოს.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი წვრილგლეხური მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საკითხს განიხილავდნენ არა კონკრეტულად ამა თუ იმ ქვეყანაში უკვე პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების პირობებში; უფრო მეტიც, პროლეტარიატის დიქტატურის ასეთი გამარჯვება ცალკე აღებულ ერთ ქვეყანაში მაშინ შეუძლებლად მიაჩნდათ. მათი შეხედულებით შესაძლებელი იყო პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება მხოლოდ ერთადერთად ყველა ქვეყანაში, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ყველა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში მაინც. ისინი წვრილგლეხური მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საკითხს განიხილავდნენ საერთოდ, უმრავლეს ქვეყნებში პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების მოპოვების შემთხვევაში.

ამრიგად, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა კრიტიკულად გადაამუშავეს რა უტოპისტ-სოციალისტების თეორიული მემკვიდრეობა, შექმნეს მეცნიერული სოციალიზმის თეორია, რომლის შემადგენელ ნაწილს შეადგენს მოძღვრება სოციალისტური სოფლის მეურნეობის შესახებ. მათ დაამტკიცეს, რომ:

პირველი, კაპიტალისტური წყობილების პირობებში წვრილგლეხური მეურნეობის განადგურება და გლეხობის უდიდესი მასის პროლეტარებად გადაქცევა აუცილებელ და ჯარდევალ პირობას წარმოადგენს. ვიდრე კაპიტალის-

ტური წყობილება არსებობს გლეხობის სიღარიბისა და კაბალისაგან თავის დაღწევა შეუძლებელია.

მეორე, წვრილგლეხური მეურნეობის განადგურებისაგან თავის დაღწევის საშუალებას წარმოადგენს პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება, პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების მოპოვება და პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში წვრილგლეხური მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნა.

მესამე, წვრილგლეხური მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნა შესაძლებელია კოოპერაციის გზით. წამოაყენეს კოოპერირების, როგორც წვრილგლეხური მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის აუცილებლობის საერთო იდეა.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მიუთითეს წვრილგლეხური მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ძირითადი გზების შესახებ. მათ მოგვცეს პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების პირობებში სოფლის მეურნეობის სოციალისტურად განვითარების ძირითადი პრინციპული მონახაზები. აქვე ხაზგასასმელია ის, რომ მათ მაშინ ჯერ კიდევ არ მოუციათ და არც შეეძლოთ მოეცათ წვრილგლეხური მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის, სოციალიზმის მშენებლობაში გლეხობის ფართო მასების ჩაბმის კონკრეტული პროგრამა. ამასთან ისინი მაშინ ჯერ კიდევ არ იძლეოდნენ და არც შეეძლოთ მოეცათ სოფლის მეურნეობის წარმოების ახალი ორგანიზაციის დახასიათება, რაც ჯერ კიდევ მომავლის საქმეს წარმოადგენდა.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ წამოყენებულმა წვრილგლეხური მეურნეობის კოოპერირების იდეამ, თავისი შემოქმედებითი განვითარება ჰპოვა ვ. ი. ლენინის კოოპერაციულ გეგმაში, რომელშიაც მოცემულია მშრომელი გლეხობის სოციალისტური გზით წარმართვის კონკრეტული პროგრამა და ღრმა მეცნიერული თანმიმდევრობით განვითარებული მოძღვრება სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის შესახებ.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)



# სამართალი

მისიელ კაპელია

## ღავის გამრჩევ პირთა სახელწოდებისათვის ძველ ქართულ მწერლობაში (V—X სს)

სამართალწარმოებაში მოსამართლე წამყვანი ფიგურა.

**მოსამართლე** — ვითარცა სადავო საქმის გამრჩევი პირი — შეიძლება სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დადგენილი ანდა, ჩვეულებითი სიმართლით, მხარეთა მიერ არჩეული ნებისმიერი პიროვნება იყოს. ამა თუ იმ პირისათვის მოსამართლეობის ფუნქციის მინიჭებიდან გამომდინარე მათ მიერ გამოსაყენებელი სამართლის წყაროც სხვადასხვაა.

**სახელმწიფო ხელისუფლების მოსამართლის** მიერ საქმის გარჩევის უფლებით მოსილი პირი ვაბატონებული კლასის (სახელმწიფოს) მიერ სანქციონირებულ კანონმდებლობაზე ამყარებს თავის განაჩენ-გადაწყვეტილებას; მაშინ როცა მოდავე მხარეთა მიერ ამორჩეული სასამართლო (ჩვეულებითი), დაუწერელ სამართალს ემყარება.

**მოსამართლეობის** ფუნქციის მინიჭებიდან გამომდინარე, მათ მიერ გამოტანილი განაჩენ-გადაწყვეტილებათა აღსრულების უზრუნველყოფის საკითხიც ორგანოა: 1) სახელმწიფო ხელისუფლების მოსამართლის მიერ გამოტანილი განაჩენ-გადაწყვეტილებანი აღსრულებაში ვაბატონებული კლასის იძულებითი ორგანოების მეშვეობით მოიყვანება; 2) ჩვეულებითი სამართლის ნორმების გამოყენებელ მოსამართლეთა გადაწყვეტილებანი კი საზოგადოების ზემოქმედებას მოყვას სისრულეში და ამ დროს, უფრო ხშირად, საჭირო არცაა რაიმე იძულებითი ზემოქმედება, — ასეა კლასობრივ საზოგადოებაში ჩვეულებითი სამართლის წესით საქმის განხილვის დროსაც.

**ჩვეულებით სამართალზე** დაყრდნობილი სასამართლოს იურისდიქციის სფერო შედარებით ვიწროა როგორც მოცულობით, ისე — ცხოვრებისეულ, ყოველდღიურად წამოჭრილ საკითხთა მარგულირებელ ნორმათა შემუშავების თვალსაზრისითაც; ამ მხრივ ჩვეულებითი სამართალი საგრძნობლად ჩამორჩება პოზიტიურ სამართალს და ეს გასაგებიცაა: ჩვეულებითა სამართალმა პრაქტიკით უნდა განამტკიცოს და დანერგოს სიახლე, მაშინ, როცა პოზიტიური სამართალი საკანონმდებლო საქმიანობით იღებს შევსებას.

**სახელმწიფო ხელისუფლების მოსამართლე** ემყარება და გამობატავს ვაბატონებული კლასის ნებას. ამდენად, კანონმდებლობის მიხედვით, მხოლოდ მის განსჯადობაშია ისეთი ხასიათის დანაშაულებანი, რომლებიც უშუალოდ მის ინტერესებზე ხელყოფას წარმოადგენენ. ჩვეულებითი სამართალი პრეტენზიას არ აცხადებს მსგავს საკითხთა მოწესრიგებაზე. აქ განისჯებიან გარკვეულ ეთნიკურ თუ ტერიტორიულ ერთეულში გაერთიანებულ პიროვნებათა შორის პიროვნებასა და საზოგადოებას შორის, თუ თვით საზოგადოების ცალკეულ კვუფთა შორის ჩვეულებით დანერგილ ურთიერთობათა დამრღვევნი.

ეს მცირე ექსკურსი იმისათვის დაგვიკრძა, რათა უკეთესი პოზიციიდან დავენახა საგანი, სადაც ერთად დევს სასამართლოს წესით საქმის გამრჩევ პირთა ტერმინოლოგიურად განსხვავებული შემდეგი სახელწოდებანი: მსაჯუ-ლი, ბჭე და მოსამართლე; ეს ტერმინები, რომელთაც სენათის ჩვეულებით სა-მართლიდან მორევსაც თუ მივეუბნებთ, ზოგადი ხასიათის დასათაურების ქვეშ მტ-ნაკლებად ითავსებენ საქმის გამრჩევ ყველა პირს: დაწყებული ჩვეულებ-ლითი სამართლის სფეროში მხარეების მიერ ამორჩეული პირიდან და დამთავ-რებული სახელმწიფოში სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი პირით.

ქართველებს ერთ-ერთი უძველესი დამწერლობა გაგვანჩია. ჩვენი ძველი მწერლობის ეგლები — ორიგინალური თუ თარგმნილი, სასულიერო თუ სა-ერო ხასიათისა — სარკეა ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულ-ტურის წარმოსახვისათვის. როგორც სასულიერო და საერო მხატვრულ თხზუ-ლებებს, ისე საისტორიო ნაწარმოებებსა და სამართლებრივი ხასიათის საბუ-თებს მრავლად შემოუნახავთ ცნობები მსაჯულის, ბჭისა თუ მოსამართლის რაობაზე.

საკითხის გარკვევას მხოლოდ ის ართულებს, რომ უმეტესი წყაროებიდან არა სჩანს: მსაჯულის, ბჭის ან მოსამართლის ზედწოდებით მოხსენებული პირ-ნი ყოველთვის ახორციელებენ სასამართლო ფუნქციას, თუ — მხოლოდ მითი-თებულ კონკრეტულ შემთხვევაში. ასევე გამორიცხული არაა მოტანილი სამი ტერმინიდან რომელიმე მათგანი პერსონაჟის პირად თვისებაზე. მის სამარ-თლიანობაზე ხაზგასმას წარმოადგენდეს და არა ჰქონდეს რა საერთო კონკრე-ტული საქმის გარჩევასთან.

საკითხი ძველ საისტორიო და სიტყვაკაზმულ მწერლობაში იღებს საფუძ-ველს, რომლებზე დაყრდნობითაც აკად. ივ. ჯავახიშვილი და აკად. ნ. ბერძენი-შვილი პირველნი — ძალიან მოკლედ და პირდაპირ — იძლევიან ტერმინების: მსაჯულის, ბჭისა და მოსამართლის ახსნას. ორივე ავტორი ამ ტერმინთა განვი-თარების ისტორიის ერთგვარ პერიოდიზაციასაც კი იძლევა მე-10 საუკუნემდე და შემდგომი პერიოდის გამოყოფით.

აკად. ივ. ჯავახიშვილის დასკვნა ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავში-რებით ასეთია: 1) X საუკუნემდე სა და ა ე ო საქმის გამრჩევი პირი მსაჯულად იწოდება; 2) ტერმინი ბჭე X—XI საუკუნეებში ჩნდება და მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში მსაჯულის აღსანიშნავად იხმარებოდა, შემ-დეგ სიტყვა ბჭე ვაჭრა და მხოლოდ მწერლობაში და სასაუბრო ენაში შემოგვი-ნახა ბჭობის სახით, რომელიც თ ა თ ბ ი რ ი ს მნიშვნელობითა იხმარებოდა; 3) საღმრთო წერილების ქართულ თარგმანებში სიტყვა ბჭე მხოლოდ შესა-ს ე ვ ლ ე დ ი კ ა რ ი ს მნიშვნელობით გვხვდება<sup>1</sup>.

აკად. ნ. ბერძენიშვილის დაკვირვება კი ასეთია: 1) ლეონტი მროველის თხზულებაში (XI საუკუნე) მოხსენებული „ბრჭე მოსამართლე არაა შემდეგი დროის გაგებით; ის არც ძველი გაგებითა მოსამართლე“, 2) ძველი გაგებით (XI საუკუნის უკან) „მოსამართლე ის იყო, ვინც სამართალს ა რ თ მ ე ვ დ ა (დაზარალებული მხარის წარმომადგენელი, ძმა, ბიძა, ნათესა-ვი, მოყვარე) ბ რ ა ლ დ ე ბ უ ლ ს (უკეთ — დამნაშავეს), ე. ი. ვინც შ უ რ ს ი ძ ი ე ბ დ ა...“; 3) XI საუკუნის შემდეგ კი „მოსამართლე იყო ზ ე ლ ი ს უ ფ ა-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, 1929, გვ. 473—477.

ლი (ერისთავი) ან მის მიერ დანიშნული პირი“; 4) „ბჭემ შინაარსი შეიცვალა: პირველად ის მაზავებე ლის მონათესავე ცნება იყო, შემდეგ მოსამართლის შინაარსისა გახდა... ლეონტის დროს ის გარდამავალ საფეხურზეა (არსებითად ასე დარჩა ის ფეოდალურ ურთიერთობის სიგრძეზე: სანახევროდ შედიატორე ან სანახევროდ მოსამართლე ახალი დროისა...)“<sup>2</sup>.

როგორც ჩანს, ივ. ჯავახიშვილი და ნ. ბერძენიშვილი საკითხს მრავალი კუთხით უკავშირდებოდნენ. სამწუხაროდ, ისინი არ უთითებენ ყველა წყაროს, რომლებზედაც თავის დასკვნებს ამყარებენ. აქად, ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ამგვარად ჯერ კიდევ გამოსარკვევია, თუ რა მიზეზი იყო, რომ ძველ სჯასა, განსჯასა და მსაჯულის მაგიერ ბუობა, განბუობა და ბჭე შემოსულა“<sup>3</sup>. ტერმინების: **მსაჯულის**, **ბჭის** და **მოსამართლის** შესწავლის, მათი ურთიერთმონაცვლეობისა თუ პარალელურად ხმარების დასადგენად მიზანშეწონილად მიგვაჩინია საკითხის შემხებარე საისტორიო თუ ლიტერატურული წყაროების ცნობები სამ პერიოდად დავეყოთ. ამ სახით პერიოდიზაციას გვიკარნახებს თვით ტერმინთა წარმომავლობა-განვითარების ვხა; ამდენად, მას საყოველთაოდ დადგენილ საისტორიო, ლიტერატურულ ან სამართლის პერიოდიზაციასთან საერთო არა აქვს რა.

პირველი პერიოდია: ქართული ორიგინალური და თარგმნილი ძეგლები (კომენი) V საუკუნიდან — ვიდრე არა უგვიანეს X საუკუნისა.

მეორე პერიოდია: XI—XII საუკუნეები.

მესამე პერიოდია: XIII—XVIII საუკუნეები, რომლის შემდეგაც ეროვნულმა სამართლებრივმა ინსტიტუტებმა ფაქტიურად არსებობა შეწყვიტა. აღნიშნულიდან ამჟამად მხოლოდ პირველ პერიოდს ვინდით შესწავლის საგნად, სადაც გვხვდება ტერმინები **მსაჯული** და **ბჭე**.

### I — მსაჯული

იაკობ ცურტაველის V საუკუნის აგიოგრაფიულ ძეგლში — „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲში“ — „შუშანიკი ჯოჯის და მის ცოლს ეუბნება: „განვისაჯნეთ მე და ვარსკენ პიტიახში მუნ, სადა იგი არა არს თუალდება წინაშე **მსაჯულისა** მის **მსაჯულთაჲსა** და მეუფისა მის მეუფეთაჲსა, ... ღმერთმან **საჯოს** მის შორის და ჩემ შორის“<sup>4</sup>.

ფსალმუნში, რომელიც, ა. შანიძის დაკვირვებით, IV საუკუნეში თუ არა V-ში მაინც უნდა იყოს ქართულად თარგმნილი, **მოსამართლის** მნიშვნელობით **მსაჯულია** ნახმარი („მსაჯულნი მათნი“ — 140 ბ)<sup>5</sup>.

VI საუკუნის 60-იანი წლების აგიოგრაფიულ ძეგლში — „მარტვლობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ“ — სარწმუნოების შემცვლელი პერობილნი წარუდგინეს ქართლის მარზაპანს: „სიტყუს-მიმგებელ იყო მათ შორის **მსაჯულისა** მიმართ ნეტარი ევსტათი“<sup>6</sup>. VIII საუკუნის ბოლოს იოანე

2 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. V, 1971, გვ. 309—319 (ხაზგასმა ჩვენი — 8. კ.).

3 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, გვ. 477.

4 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი, I, 1964, გვ. 26—27 (წყაროზე მიუთითებს ივ. ჯავახიშვილი. ხაზგასმა ჩვენთვის საინტერესო ტერმინებზე როგორც აქ ისე ქვემოთაც უყვებოდა ჩვენი — 8. კ.).

5 ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა მუხტელა შანიძემ (იხ. წინასიტყვაობა), 1960, გვ. 389.

6 ძველი აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 33, 63—65, 70.



საბანისძე „მარტვილობაჲ ჰაბო ტფილელისაჲში“ აბოს შეპყრობასთან დაკავშირებით წერს: „შეიპყრეს ნეტარი ესე მიწამჲჭ ქრისტესსი და მიიყვანეს იგა მსაჯულისა მის, რომელი იყო ამირად ქალაქსა ტფელისს“; მსაჯულმა გაათავისუფლა აბო, და ამით აღმფთვებული მოწინააღმდეგენი „შევიდეს წინაშე მსაჯულისა მის, რამეთუ სხუად მსაჯული ამირად შემოსროლ იყო ქალაქსა ტფილისს“; ახალმა მსაჯულმა გასცა აბოს კვლავ შეპყრობის განკარგულება: „მაშინ მოვიდეს მსახურნი იგი მის მსაჯულისანი და შეიპყრეს ნეტარი ჰაბო და შეიყვანეს იგი წინაშე მსაჯულისა მის და ჰრქუა მას მსაჯულმან...“; სხვა ადგილას: „უბრძანა მსაჯულმან მან კელით და ფერკით შეკრავა მისი...“. ანდა: მივიდა აბო „ქარსა მას მსაჯულისა მის ამირისასა... წინაშე მსაჯულისა მის, და ჰრქუა მას მსაჯულმან...“ და სხვა.

საღმრთო წიგნებში, კერძოდ, 897 წელს გადაწერილ ადიშის ოთხთავში, მსაჯული შემდეგ კონტექსტში გვხვდება: „ამისთვის იგინი მსაჯულ თქუენდა იყვნენ“ (მათე 12,27); „იგინივე მსაჯულ თქუენდა გექმნენ“ (ლუკა, 11,19); „მსაჯული ვინმე იყო ქალაქსა შინა“ (ლუკა 18,2); „ნუთუჲე მიგითრიოს შენ მსაჯულისა, და მსაჯულმან მიგცეს შენ სეფე-კაცსა და სეფე-კაცმან მიგცეს შენ საპყრობილედ“ (ლუკა, 12,58); „წინაშე მსაჯულთა“ (მათე 10,18).

სიტყვა მსაჯული გვხვდება ჯრუჭისა (გადაწერილია 936 წელს) და პარხლის (გადაწერილია 973 წელს) ოთხთავებშიც<sup>7</sup>.

საღმრთო წიგნის „გამოსვლათაჲს“ 978 წლის ხელნაწერში ვკითხულობთ: „ვინ დაგადგინა შენ მთავრად და მსაჯულად ჩუენ ზედა?“ (თავი 2. მუხლი 14)<sup>8</sup>.

943 წლამდე გადაწერილი „იოანე ოქროპირის ეპისტოლე II, თედორეს მიმართ გვაუწყებს: „მოიქსენე შეილო ჩემო უამი იგი, ოდეს ვერვის სარგებელ იყოს არცა მთავრობაჲ, არცა კელმწიფობაჲ, არცა მსაჯულობაჲ, არცა აზნაურობაჲ, არცა მონობაჲ“. იქვე იოანე ოქროპირი „სიკუდილისათჳს საშეჯელისაში“ წერს: „დღეს მდიდარ არნ და ზვალე გლახაკ, დღეს მსაჯულ და ზვალე დასაშეჯელ“<sup>9</sup>.

უცნობი ავტორის მიერ აკად. კ. კეკელიძის ვარაუდით 862 წლიდან 912 წლამდე დაწერილ<sup>10</sup> „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ სიტყვა მსაჯული განმკითხავის, გამსამართლებლის მნიშვნელობით იხმარება: ღმერთი „მამაჲ არს ობოლთაჲ და მსაჯული ქურივთაჲ“. სხვა ადგილას — „პარონ და მოსე იყვნეს მღვდლებრ და მსაჯულებრ ჩამოწყებით“<sup>11</sup>.

როგორც დავინახეთ, ორიგინალურ თუ თარგმნილ ძეგლებში სიტყვა მსაჯული ნახმარია საქმის გამარჩევი პირის მნიშვნელობით. ჩანს ისიც, რომ მსა-

7 ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია გამოსცა აკ. შანიძემ 1946 წ.

8 „წიგნი ძეულისა აღთქუმისანი, დაბადებისაჲ, გამოსვლათაჲ“, 978 წლის ხელნაწერის მიხედვით გამოსცა აკ. შანიძემ, ტ. 1, ნაქ. 1, 1947; მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ იმაზე, რომ, როცა თარგმნილ ძეგლთან ვეპქვს საქმე, ცხადია, მისი ვადაწერის თარიღი უფრო ვკიანოლეია, ამდენად, ჩვენს ინტერესებზე, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, უკან იხევს. ხოლო თუ ვადაწერის თარიღი ჩვენ მიერ დაყოფილი ორი პერიოდის მიჯნაზეა, ასეთი ძეგლი წინა (როგორც თარგმნილი) და შემდგომი (როგორც ვადაწერილი) პერიოდების საბუთად ერთნაირად გამოდგება.

9 მამათა სწავლანი, X და XI სელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ, აკადი შანიძის რედაქციით, 1955, გვ. 24-25, 29-31, 90, 125.

10 კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 1, 1956, გვ. 78.

11 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. 1, გვ. 110, 125.



ჯულობას ანუ სასამართლო საქმიანობას ისეთ მნიშვნელოვან საქმეზე, როგორცაა სარწმუნოების შეცვლა, ემობი, მთავარი ან მმართველი ახორციელებდა.

მთავრისა და მსაჯულის იდენტურობასთან დაკავშირებით კარგ მასალას იძლევა: „ორმოცთა მარტილობას“ (ზოგჯერ — „სებასტიელთა მარტილობად“ წოდებულ) ორი სხვადასხვა რედაქციის შედარება. პროფ. ილია აბულაძის დაკვირვებით, „ორივე რედაქცია წარმოადგენს ძველ თარგმანს, შესრულებულს ერთს ხანაში, სახელდობრ V—VIII საუკუნეებში“<sup>12</sup>.

დავეყიროვთ, თუ რედაქციებში როგორია შეცვლა ტერმინი მთავარი — მსაჯული:

I რედაქცია	II რედაქცია
<p>„აქმულებდეს მსახურებდალ კრპთა აგრაპოლ-აოზსს მთავრობასა“ (გვ. 124)</p> <p>„ესანი შეიპურნეს მთავრისა მას ბრძანებითა, აძმულებდეს გებალ ეშმაკთა. იწო მთავარმან მან სიტყუალ მათდა“ (ქმე).</p> <p>„მამან ბრძანა მთავარმან მან შეყრეა მათი, (გვ. 134)</p>	<p>ხარკსაჲ მ სკემდეს მსაჯულსა მას აგრიკოლასს“ (გვ. 124).</p> <p>„შეპიურნეს იგინი ბრძანებითა მსაჯულისაჲთა, რამეთუ არა თესადდეს ზორვად. იწო მ. ერთთვან მსაჯულმან მან მათა სიტყუალ და ქმეჲ“ (ქვე).</p> <p>„და უბრძანა მსაჯულმან მან შეყრეა, მათი. (გვ. 134)</p>

შგავს შემთხვევებთან გვაქვს საქმე ადიშის, ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავებშიც:

<p>ადიშის ოთხთავი (897 წელს გადაწერილი)</p>	<p>ჯრუჭის ოთხთავი (938 წელს გადაწერილი) პარხლის ოთხთავი (973 წელს გადაწერილი)</p>
<p>„და წინაშე მთავართა და მეფეთა მკვიცვანენ თქვენ ჩემთს“ (მათე 10, 18)</p>	<p>„და წინაშე მსაჯულთა და მეფეთა წარგიდგანენ თქვენ ჩემთს (მათე, 10, 18)</p>

მითითებული ოთხთავები იმაზედაც იძლევიან პასუხს, რომ მსაჯულიდან წარმოებული სიტყვა მსაჯულობა X საუკუნემდეც იხმარებოდა არა მოსამართლის, არამედ — მხოლოდ გამგებლის ანუ მთავრის მნიშვნელობითაც; მაგალითად: 1) ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავებში „ესე აღწერაჲ პირველ იყო მთავრობასა ასურეთს კვრინჭსსა“ (ლუკა 2,2), „მთავრობასა პონტოელისა პილატესსა ჰურიასტანს“ (ლუკა 3,1); 2) ადიშის ოთხთავში: „ესე პირველი სოფლისა აღწერაჲ იყო მსაჯულეობასა მას ასურთა ზედა კვრინჭსსა“ (ლუკა 2,2), „მსაჯულობასა პონტოელისა პლატჭსსა ჰურიასტანსა“ (ლუკა. 3,1).

როგორც ჩანს, მოწამენი აგრიკოლას ვაუსამართლებია, რომელიც A ნუსხაში მთავრად იხსენიება, ხოლო B ნუსხაში — მსაჯულად. საქმე იმაშია, რომ მთავრად მოხსენიებული აგრიკოლა რომის სახელმწიფო მოღვაწეა, იგი ჩვენი წელთაღრიცხვის 64 წელს მცირე აზიის კვესტორია, ხოლო 77 წელს კონსულობას აღწევს<sup>13</sup>. მის დროს რომის იმპერია ქრისტიანობას ეცხლითა და მახვილით სდევნიდა; ამდენად, იგი როგორც მხარის უზენაესი მოსამართლის ფუნქციის მატარებელი თვითონ არჩევს ამ ხასიათის საქმეებს. ამ შემთხვევაში მსაჯული როგორც მოსამართლე მთავართან გაივიცებით არაფერს კარგავს.

<sup>12</sup> ილია აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური მტულები „მრავალთავის“ ზოგერთი თავის წყარო, IV მარტილობაჲ ორმოცთათა, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზელნაწერთა ინსტიტუტი, მოამბე, ტ. IV, 1962, გვ. 121.

<sup>13</sup> Энцикло-едический словарь, т. XXIII, изд. Ф.А. Брокгауз и И.А. Ефрон, 1898.

ცნობილია, რომ მთავარი ან სხვა დიდმოხელე მოსამართლის ფუნქციებ-საც ფლობდა. ამდენად ისინი ზოგჯერ იხსენიებიან მხოლოდ მსაჯულობით. ძველი წყაროების მიხედვით, მთავრის ან სხვა თანამდებობის მტარებლობასთან შეთავსების გარდა მხოლოდ მსაჯულობასაც ფლობენ ესა თუ ის პირნი.

